პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ოთხშაბათი, 5 ოქტომბერი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 225 (1970)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ი უ რ ი

— დაწვრილებითი ცნობები ფრანგ მეზღვაურთა ამბოხების შესახებ.
— გაიხსნა ამერიკის შრომის ფედერაციის ყრილობა.
— საბჭოთა ახალი სრულუფ. წარმომადგენელი პოლონეთში ამხ. ბოგომოლოვი ჩავიდა ვარშავაში.
— კომპარტიის მიტინგები ბერლინში.
— ლიტვა მოითხოვს ლატვიაში გადასულ რევოლიუციონერების გაცემას.
— სპარსეთ-საბჭოთა შეთანხმების გამოძახილი ინგლისში.
— ვენის პროკურატურამ პასუხისგებაში მისცა ავსტრიის კომპარტიის ცეკა.
— შეტაკებები ფინ-იუი-სიანის ჯარებსა და გლეხებს შორის.

ოთხშაბათს, 5 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე შესდგება

ს. ს. ცაკის პრეზიდიუმის სხდომა

ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ს. ს. ცაკის მდივანი შ. მათიკაშვილი.

მონარქისტების ამოძრავება გერმანიაში და სოციალ-დემოკრატია

გერმანიის რესპუბლიკის პრეზიდენტის, ჰინდენბურგის დაბადების 80 წლის თავის დღესასწაულმა, რომელიც ორ ოქტომბერს იქნა გადახდილი, ერთხელ კიდევ მწვავედ წამოაყენა ამ ქვეყნის სახელმწიფოებრივი ფორმის საკითხი. მიუხედავათ იმისა, რომ მალე უკვე ცხრა წელიწადი შესრულდება, რაც გერმანიაში რესპუბლიკანური წყობილება გამოცხადებული, ეს წყობილება სრულებით არ შეიძლება განმტკიცებულად ჩაითვალოს. ბევრნი გერმანიას სამართლიანად უწოდებენ „მონარქისტების რესპუბლიკას“. ასეთ დახასიათებას საკმაო საფუძველი აქვს.

ჯერ მარტო ის ფაქტი რადა ღირს, რომ გერმანიას სათავეში უდგას, როგორც მისი პრეზიდენტი, ჰინდენბურგი—აშკარა მონარქისტი და ყოფილ მეფის, ვილჰელმის მარჯვენა ხელი. ნაციონალისტების ბელადს, ვესტარპს ჰინდენბურგის მემუარებიდან მოჰყავს ადგილები, სადაც უკანასკნელი გამოსთქვამს იმედს, რომ გერმანიაში მონარქია იქნება აღდგენილიო, და დასძენს: „არავის არ სჯერა, რომ ჰინდენბურგმა ხელი აიღო ამ იმედზე და მის განხორციელებაზე. ჰინდენბურგის მაგალითიდან ჩვენ ვღებულობთ [illegible] შევინარჩუნოთ ჩვენი, განსაზღვრულ სახელმწიფოებრივი წყობილების იდეალები და ვემზადოთ ამ იდეალების განსახორციელებლად“-ო. ვესტარპის დამოწმება სრულებით ზედმეტია გერმანიის ეხლანდელი პრეზიდენტის პოლიტიკური მრწამსის ნათელსაყოფად,—ისედაც ყველამ იცის, რომ ჰინდენბურგი მონარქიის აღდგენის მოტრფიალეა.

ამას ის არც მალავს. თავის იუბილეის დღეს მან, სხვათა შორის, ასე მიმართა ოფიცერთა კავშირის წარმომადგენლებს: „მადლობელი ვარ იმპერატორის და მეფის, რომელმაც [illegible] პოსტზე მომიწოდაო“. როგორც ვხედავთ, მას თავისი თავი ვილჰელმის დანიშნულად მიაჩნია. ჰოლანდიის ტერიტორიაზე თავშეფარებული ვილჰელმი ტყუილად კი არ შეჰყურებს თავის აგენტს დიდი იმედით. ამას წინედ წერილიც გამოუგზავნა მან, სადაც გულახდილად გამოსთქვამდა, რომ ჰინდენბურგი შესძლებს ნიადაგი მოუმზადოს მონარქიის რესტავრაციას. ჰინდენბურგიც ამ დავალების განხორციელებას პირნათლად ემსახურება. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ ის საპატიო თავმჯდომარეა ფაშისტური ორგანიზაციების, კერძოთ „ფოლადის მუზარადი“-ს, რომელიც რამდენიმე ასეულ ათას წევრს ითვლის თავის რიგებში. ამ ფაშისტურ ორგანიზაციების მისწრაფება ცნობილია: რევოლიუციონურ მოძრაობის განადგურება, რესპუბლიკის დამხობა, თუნდაც ის [illegible] ბურჟუაზიული იყოს, და მონარქიის აღდგენა.

მონარქიულ წყობილების რესტავრაციას ისახავს მიზნათ ნაციონალისტების პარტიაც, რომელსაც ამჟამად ყველაზე მეტი წარმომადგენლები ჰყავს რეიხსტაგში და რომელიც ხელისუფლებას უდგას სათავეში. იმავე ვესტარპმა ამ დღეებში წარმოსთქვა სიტყვა, სადაც ამბობდა, რომ ნაციონალისტები ემზადებიან სახელმწიფო გადატრიალებისათვის და ვილჰელმის ისევ წამოსასკუპებლად სამეფო ტახტზე. მსხვილი ბურჟუაზიის პარტიებიც არსებითად მომხრენი არიან მონარქიის და მის აღდგენის ცდას, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობას არ გაუწევენ.

მონარქისტულ და რესპუბლიკანურ გერმანიის ბრძოლის ნათელსაყოფად ჩვენ აქ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ერთი საგულისხმო ფაქტიც. გერმანიის რესპუბლიკის კონსტიტუციის დღეს („ვეიმარის კონსტიტუცია“) ბერლინის მსხვილ სასტუმროების პატრონებმა დემონსტრატიულად არ გამოჰკიდეს რესპუბლიკანური დროშა, ხოლო მის მაგიერად ააფრიალეს საიმპერატორო გერმანიის ბაირაღი. მთავრობას ამის წინააღმდეგ არავითარი ზომები არ მიუღია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ბერლინის მუნიციპალიტეტის დადგენილებას ხსენებულ სასტუმროებისათვის ბოიკოტის გამოცხადების შესახებ, რომელი დადგენილება ქაღალდზე დარჩა. რა უნდა იყოს ისეთი რესპუბლიკანური წყობილება, რომელსაც სასტუმროების პატრონებიც კი აბუჩად იგდებენ.

ასეთ მდგომარეობის შექმნაში უდიდესი დანაშაული პირველ ყოვლისა გერმანიის სოციალ-დემოკრატიას მიუძღვის. შორს წაგვიყვანდა იმის გახსენება, თუ როგორ გასცეს მისმა მეთაურებმა გერმანიის რევოლიუცია 1918 წელს. ვიტყვით მხოლოდ, რომ მათ მშრომელ მასების მიერ მოპოებული ძალა-უფლება ბურჟუაზიას გადასცეს. ამ მოღალატეებმა ხელუხლებლად დასტოვეს მთელი ძველი სახელმწიფოებრივი აპარატი, რომელიც თითქმის მთლიანად მონარქისტულ ელემენტებისაგან შესდგებოდა. ამ მხრივ მდგომარეობა შემდეგში არ გამოცვლილა. ჯარი, დაწესებულებები მონარქისტებითაა აღსავსე.

შემდეგ: არავის დაავიწყდება სოციალ-დემოკრატების სამარცხვინო როლი ყოფილ მეფის გვარეულობისათვის ქონების დაბრუნების საკითხში. სწორედ მათი წყალობით მრავალ ასეულ მანეთის სიმდიდრე გადაეცა რევოლიუციის მიერ გაძევებულ მეფის გვარეულობას; და ეს მაშინ, როცა გერმანიის პროლეტარიატი სიღატაკეში იღრჩობა და ორი მილიონი მუშა უმუშევრადაა დარჩენილი.

ჰინდენბურგის იუბილეს დღესაც ამ ვაჟბატონებმა გამოიჩინეს თავისი ნამდვილი სახე: მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს საიუბილეო ზეიმში,—მისალმებით, საქები წერილების მოთავსებით თუ პირადი დასწრებით.

სოციალ-დემოკრატია—ბურჟუაზიის აგენტი და ჰინდენბურგის მოკავშირე—ასეთი მისი ბუნება სულ უფრო ცხადი ხდება მშრომელ მასებისათვის. უკანასკნელნი თანდათან იგებენ, რომ კაპიტალის შემოტევისა და მონარქიის რესტავრაციის საფრთხესთან ბრძოლაში მათ ყველაზე ნაკლებ შეიძლება დაენდონ ბრაუნებს და ჰოსკეებს, რომლებიც ჰინდენბურგს უწვდიან ხელს. გერმანიის მუშათა კლასი ზურგს აქცევს ამ არამზადებს და ირაზმება კომპარტიის გარშემო, რომელიც ერთად-ერთი ხელმძღვანელობს მის განმანთავისუფლებელ მოძრაობას. ეს, სხვათა შორის, ნათელჰყვეს კომპარტიის ხელმძღვანელობით ჰინდენბურგის იუბილეს საპასუხოდ მოწყობილმა კონტრ-დემონსტრაციებმაც.

რისთვის ხდება პარტიიდან გარიცხვა?

პარტიიდან გამორიცხვის საკითხი დაისვა დღის წესრიგში მხოლოდ სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ, როდესაც ჩვენ შევეჯახეთ ახალ სიძნელეებს. ეს სიძნელეები დაკავშირებულია იმ მდგომარეობასთან, რომელშიაც სწარმოებს ჩვენი აღმშენებლობა. დღემდე თვით ის მდგომარეობა, რომელშიაც ეწყობოდა, იზრდებოდა და მტკიცდებოდა ჩვენი პარტია, მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს პარტიიდან ყველა ისეთების გაძევების საქმეს, ვისთვისაც მუშათა კლასის ინტერესები რევოლიუციისა და სოციალიზმის ინტერესები არ წარმოადგენდა პირველი რიგის საკითხს.

მაგრამ პირობები შეიცვალა. მუშათა კლასმა, დაკავშირებულმა გლეხობასთან, თავის ხელში აიღო ძალა-უფლება და ჩვენი პარტია მოექცა ამ ხელისუფლების სათავეში. პარტიაში ყოფნა რამოდენიმედ გზას ხსნიდა ხელისუფლებისაკენ. ამას შეეძლო მადა გაეხსნა ჩვენთვის უცხო და შემთხვევითი ელემენტებისათვის და აღეძრა მათში სურვილი, რომ ეძებნათ გზები ჩვენს პარტიაში შემოსასვლელად. სამოქალაქო ომის დროს, როდესაც პარტიის წევრობა მოითხოვდა გაფთრებულ ბრძოლის მოწინავე პოზიციებზე წასვლას, დამარცხების შემთხვევაში კი მოსალოდნელი იყო მკაცრი გასწორება მოწინააღმდეგის მხრივ, ასეთი ელემენტები მაინცა და მაინც ბევრი ვერ გაძვრებოდენ პარტიაში. მაგრამ ომის შეწყვეტის შემდეგ საშიშროება ჩვენს პარტიაში ბევრ არასასურველ ელემენტების შეპარვისა რეალური გახდა. მაშინ საკითხი ჩვენი პარტიის თვისებრივი მდგომარეობის შესახებ გახდა ჩვენი განსაკუთრებული ზრუნვის საგნად.

უდიდესი ყურადღებით ადევნებს ქვეყანა თვალყურს ჩვენს მშვიდობიან ყოველდღიურ მუშაობას და ჩვენი მიღწევები ერთის მხრივ იწვევს აღტაცებას და ამაღლებს რევოლიუციონურ განწყობილებას, მეორეს მხრივ კი ამრავლებს სიძულვილს და შურს. ის, ვისაც არ შეუძლია თავდადებით მუშაობა, ვინც თავის პარტიას და პარტიის წევრობას იყენებს ვიწრო პირად ინტერესებისათვის, ვისი პირადი ცხოვრებაც ეწინააღმდეგება პარტიის ცხოვრებას, ის აღარ არის პარტიის წევრობის ღირსი, ის ადრე თუ გვიან უნდა იქნეს პარტიიდან გაძევებული.

ჩვენს კლასობრივ მტერთან ბრძოლა ჩვენი ქვეყნის შიგნით და, განსაკუთრებით გარეთ, ჩვენი პირველი გამარჯვებების შემდეგ კიდევ უფრო მტრულ ურთიერთობაში გვაყენებს ამ მტრის წინააღმდეგ. ეს გარემოება კი როგორც პარტიას, ისე ყველა მის წევრებს უყენებს უფრო სასტიკ მოთხოვნილებებს. რამდენადაც უფრო მნიშვნელოვანია ჩვენი მიღწევები, მით უფრო მწვავე ხდება ბურჟუაზიულ მსოფლიოს სიძულვილი ჩვენდამი, მით უფრო აუცილებლად საჭირო ხდება ჩვენთვის ჩვენი რიგების მთლიანობა და შეკავშირება. მტრები ერთიანდებიან, ემზადებიან, და ჩვენც უნდა გავერთიანდეთ და ვიყოთ მზად. ან ბურჟუაზიის დიქტატურა, ან პროლეტარიატის დიქტატურა. არაფერი მესამე რამ არ შეიძლება. ვინც ამას ივიწყებს, ვინც ზერელედ ეკიდება პარტიის მთლიანობის საკითხს, ვინც არღვევს ამ მთლიანობას მას არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ჩვენს პარტიაში.

ამასთან დაკავშირებით საჭირო ხდება ზოგი რამ ვსთქვათ ჩვენი ოპოზიციის შესახებ პარტიაში, რომელშიაც ირიცხება მილიონზე მეტი წევრი, ბუნებრივია და აუცილებელიც ამა თუ იმ მოვლენისა და მუშაობის ამა თუ იმ მეთოდის შეფასების სხვადასხვაობა. ცოცხალ, მოქმედ პარტიაში არ შეიძლება არ არსებობდეს აზრთა მუდმივი გაცვლა-გამოცვლა, არ შეიძლება არ არსებობდეს მუდმივი ძიება იმ საკითხების რაც შეიძლება საუკეთესოდ გადასაჭრელად, რომლებსაც ცხოვრება აყენებს ჩვენს წინაშე. მაგრამ პარტიის მთლიანობის დაცვა შეიძლება მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც ამ უთანხმოებათა დაძლევა ხდება საკითხის საუკეთესოდ შესწავლისა და გამორკვევის საშუალებით და არა იმით, რომ ეს უთანხმოებანი მტკიცდებოდენ განსაკუთრებულ პლატფორმების, თეზისების და დებულებების სახით, რომელთა გარშემო თავს იყრიან პარტიის სხვადასხვა ნაწილები და აწარმოებენ ბრძოლას ურთიერთ შორის. სწორედ ამიტომაა ჩვენთან აკრძალული ფრაქციები ჩვენი პარტიის მე-10 ყრილობის შემდეგ. ვინც პარტიის შიგნით ჰქმნის ასეთ ფრაქციებს, ვინც აგროვებს ხელმოწერებს განსაკუთრებულ პლატფორმაზე, ვინც ამ პლატფორმებზე ხელის მომწერლებს თავს უყრის და აერთიანებს ნორმალურად მომქმედ პარტიის ორგანოების წინააღმდეგ მიმართულ განსაკუთრებულ ჯგუფებად, ის ნებსით თუ უნებლიეთ (ან უფრო სწორად რომ ვსთქვათ: ერთი ნებსით და სრულიად შეგნებულად, მეორე კი უნებლიედ და სავსებით გაურკვევლად, თუ რა შედეგების გამოწვევა შეუძლია ასას) საფუძველს უყრის ახალ პარტიას. ერთსა და იმავე დროს ორ პარტიაში ყოფნა კი შეუძლებელია. პროლეტარიატის დიქტატურა არ უშვებს და არ ითმენს ერთდროულად ორი პარტიის არსებობას. როდესაც ასე იქცევი, უნდა იცოდე თუ რას აკეთებ და საით მიდიხარ. ჩვენს პარტიაში ასეთ კაცს ყოველ შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეს ადგილი. მმართველ პარტიაში მის წევრებს მეტი მოეთხოვება. თუ უწინ ცხოვრების ყოველი ნაკლი ზედმეტ მასალას იძლეოდა ბრძოლისათვის ცხოვრების უწინდელ პატრონ-პატრონებთან. ფაბრიკანტებთან. მემამულეებთან და მათ წარმომადგენელ ხელისუფლებასთან, ამჟამად ასეთ ნაკლისათვის უწინარეს ყოვლისა ბრალსა გვდებენ ჩვენ. ამ ნაკლისათვის ჩვენ პასუხი უნდა ვაგოთ, ყველა ღონისძიება უნდა მივიღოთ მის მოსასპობლად. მშრომელთა უდიდეს მასების, მუშების და გლეხების წინაშე ჩვენ უნდა გავამართლოთ მათთვის „ხელმძღვანელობის გაწევის უფლება“, ჩვენს წრეში თანდათან უფრო და უფრო უნდა იმატოს თანასწორობისა და ამხანაგობის ელემენტებმა. სიტყვამ „ამხანაგი“ არა მარტო უნდა შესცვალოს უწინდელი „ბატონი“, არამედ ის აგრეთვე უნდა შეეფერებოდეს ახალ ურთიერთ დამოკიდებულებას. ვინც ფიქრობს, რომ პარტიის წევრის წოდება მას აძლევს მეტი ეკონომიური პრივილეგიების უფლებას, ვინც თავისთვის ჰქმნის ასეთ პრივილეგიებს, ის არ არის ღირსი პარტიის წევრობისა.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის ხანა—ეს ის პერიოდია, როდესაც ჩვენ უნდა შევისწავლოთ მტრის დამარცხება ყოველ დარგში, მისი დაძლევა ყოველ სფეროში, შემოქმედებითი ძალების დაგროვება, ჩვენი უპირატესობის დამტკიცება ცხოვრების მოწესრიგების საქმეში. ერთი სიტყვით შევისწავლოთ არა მარტო ბურჟუაზიული წესწყობილების დამარცხება, არამედ მისი იდეოლოგიურად აღმოფხვრაც. ყველა ის, ვინც არ შეჰგუებია ახალ ცხოვრებას, ვისაც თავი ვერ დაუღწევია ბურჟუაზიულ ჩვეულებებისაგან და ვერ დაუძლევია ძველი, დახავსებული შეხედულებები,—ყველა ესენი ვერ იქნებიან ჩვენთან.

ვითვალისწინებთ რა პარტიაში ყოფნასთან დაკავშირებულ ყველა ამ სიძნელეებს, ჩვენ წინანდებურად, ისევე როგორც ძველად, ჩვენი ძალის ნაწილი უნდა მივმართოთ იქითკენ, რომ ჩავაბათ პარტიაში მუშები, საუკეთესო გლეხები და ყველა ის, ვინც ღირსეულად შესძლებს ამ სახელის ტარებას და პირნათლად შეასრულებს ყველაფერ იმას, რასაც მოითხოვს ჩვენგან რევოლიუცია, რაც შეადგენს ამ რევოლიუციის დედა აზრს და შინაარსს და რაც ხელს უწყობს ჩვენი მშენებლობის ინტერესებს. ჩვენ ხშირად ძალიან ნაკლებ ყურადღებას უთმობთ საუკეთესო ხალხის მოზიდვას პარტიაში და ველით, რომ თვითონვე მოვიდნენ ჩვენთან და გვთხოვონ კარის გაღება: აქ ჩვენ ვიჩენთ ზედმეტ პასიურობას და ზოგჯერ საქმის გაჭიანურებასაც. თუ ჩვენ უნდა განვდევნოთ უვარგისნი, ამავე დროს უნდა ვეცადოთ, რომ მოვიზიდოთ კარგნი. როგორც ერთიც, ისე მეორეც უნდა მოვიმოქმედოთ საკმაო ინიციატივით.

რასაკვირველია, პარტიიდან გამორიცხვა ყოველთვის არ უნდა მისდევდეს ამა თუ იმ მოქმედებას, რომელიც შეუთავსებელია პარტიის წევრობასთან. პარტიის წევრის გარიცხვამდე ყოველთვის უნდა შევეკითხოთ ჩვენს თავს: იქნებ ეს შემთხვევითი დანაშაულია, შეცდომა, დროებითი სისუსტე, იქნებ არც ასე მკაცრი ზომის მიღებაა საჭირო? პარტიიდან გარიცხვა—ეს არის უკიდურესი ზომა, რომელსაც მხოლოდ მაშინ უნდა მივმართოთ, როდესაც უკვე ამოიწურა ყველა დანარჩენი გამასწორებელი ზომები, როდესაც ჩადენილია ისეთი რამ, რაც აბსოლიუტურად დაუშვებელია პარტიის წევრისთვის ან და როდესაც საქმე გვაქვს შემთხვევით პარტიაში შემოპარულ პირთან. ცალკე შეცდომა, როგორც წესი, არ ახასიათებს ადამიანს,—საქმის გარჩევის დროს მთლიანად ადამიანი უნდა განვიხილოთ და არა მარტო მისი დანაშაული, რომლისთვისაც ის პასუხისგებაშია მიცემული.

რომ ინსტანციას აქვს საშუალება გაარჩიოს საკონტროლო კომისიებში პარტიის წევრის საქმე და თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ საკონტროლო კომისიის ყოველ დადგენილებას იხილავს კიდევ სათანადო პარტიული კომიტეტი, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ სავსებით დაცული ვართ შეცდომის დაშვების შესაძლებლობისაგან. პარტიიდან გარიცხულთა დაახლოვებით ერთი მესამედი ყოველთვის აღუდგენია ცენტრალური საკონტროლო კომისიას. დაახლოვებით ამდენივე პროცენტი აღუდგენია მეორე ინსტანციას—საგუბერნიო და საოლქო საკონტროლო კომისიებს. თუ სხვა საქმეში მცირეოდენად მაინც დასაშვებია შაბლონი, აქ კი ეს ყოვლად შეუძლებელია. დანაშაულს გარდა უნდა გავითვალისწინოთ, თუ ვინ ჩაიდინა ის, ხოლო რადგან არ შეიძლება იყოს ორი ყოველმხრივ ერთნაირი ადამიანი, ამიტომ სასჯელიც არ შეიძლება იყოს ყველასათვის ერთნაირი, მტკიცე და სამუდამოდ დაწესებული. პარტკოლეგიაში ჩვენ არას დროს არ ვივიწყებთ კაცს და საბოლოო გადაწყვეტილება გამოგვაქვს მხოლოდ ბრალდებულის თანდასწრებით. მნიშვნელოვანია და საყურადღებო ის, რომ საკონტროლო კომისიების შექმნის დროს პარტიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მის მიერ დასახულ მიზნების მისაღწევად ის სასტიკ თვალყურს ადევნებს თავის წევრებს, და რომ მას ახსოვს, თუ როგორ გამხრწნელად შეიძლება იმოქმედოს სუსტ წევრებზე მათმა ყოფნამ მმართველ პარტიაში.

პარტიას ახსოვს ეს და მოაგონებს კიდეც მას თავის წევრებს. რომ შევინარჩუნოთ ჩვენი რევოლიუციონური შეგნება, ამისთვის საჭიროა შევუფარდოთ მას ჩვენი ცხოვრება. უნდა მოვახერხოთ ისე, რომ ჩვენი ცხოვრება იყოს რევოლიუციონური. რევოლიუცია მარტო შეიარაღებულ აჯანყებას კი არ გულისხმობს, რევოლიუცია საჭიროა აგრეთვე სოციალისტური მშენებლობის წვრილმან ყოველდღიურ მუშაობაშიაც. რევოლიუცია—ეს არის ყველაზე საფუძვლიანი ცოდნა, ეს არის მთელი მსოფლიოს ძირეული და გაბედული გარდაქმნა. პარტიის წევრობა ასეთ ხანაში არის უდიდესი ბედნიერება, მაგრამ ამავე დროს მეტად მძიმეც. საკუთარი თავის გადაუკეთებლად შეუძლებელია მსოფლიოს გარდაქმნა. ძველისაგან თავის დაუღწევლად შეუძლებელია ახლის შექმნა.

ა. სოლცი.

„პრავდა“. 3 ოქტომბერი.

ბრძოლა ნანკინისა და ტან-შენ-ჩის ჯარებს შორის

ინგლისელებმა ძალით დაიბრუნეს თავისი ყოფილი კონცესია ხან-კოუში

საფრანგეთის მემარცხენე პრესა მოითხოვს სასწრაფო ზომების მიღებას საბჭ. კავშირთან შეთანხმებისათვის

ინგლისელი მემალაროები მოითხოვენ რაიონულ შეთანხმებათა გადასინჯვას

ურთიერთობა საფრანგეთთან

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობა

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს დავალებული აქვს ოფიციალური უარჰყოფა ჰავასის სააგენტოს 3 ოქტომბრის ცნობისა იმის შესახებ, რომ თითქოს საფრანგეთის ელჩი მოსკოვში ერბეტი 2 ოქტომბერს ესაუბრა ჩიჩერინს რაკოვსკის უკან გაწვევის შესახებ. ჩიჩერინმა ერბეტი უკანასკნელად მიიღო 21 სექტემბერს და ამ დღის შემდეგ ჩიჩერინს არ უნახია ის და არ უწარმოებია მასთან რაიმე მოლაპარაკება.

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. საფრანგეთის პრესამ გამოაქვეყნა „იუნაიტედ პრეს“-ის მოსკოველი კორესპონდენტის ცნობა—თითქოს ამხ. ჩიჩერინს განეცხადებიოს, რომ საბჭოთა კავშირი თანახმაა რაკოვსკის უკან გაწვევაზე. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან საკავშირო დეპეშათა სააგენტოს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ „იუნაიტედ პრეს“-ის კორესპონდენტის ცნობა რაკოვსკის შესახებ არ შეეფერება სინამდვილეს. არც ჩიჩერინს და არც სხვა რომელიმე ოფიციალურ პირს უკანასკნელ დღეებში არ მიუციათ „იუნაიტედ პრეს“-ის კორესპონდენტისა ან პრესის სხვა რომელიმე წარმომადგენლისათვის ინტერვიუ და ახსნა-განმარტება რაკოვსკის საქმეზე. პირიქით, სააგენტომ მხოლოდ ის იცის, რომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ყოველთვის იყო და არის წინააღმდეგი რაკოვსკის უკან გაწვევის, რაც არა ერთხელ განუცხადა ბ-ნ ერბეტს, და ფიქრობს, რომ რაკოვსკის უკან გაწვევამ არ შეიძლება უარყოფითად არ იმოქმედოს ორივე მთავრობის დამოკიდებულებასა და მოლაპარაკებაზე მათ შორის.

საფრანგეთის მემარჯვენე პრესა რაკოვსკის უკან გაწვევის საკითხის შესახებ

პარიზი, 3 ოქტომბერი. „ევრ“ ეხება რაკოვსკის უკან გაწვევის მოთხოვნას და სწერს:

„რამდენადაც რაკოვსკი შეიძლება შეცვლილ იქნას მხოლოდ კომუნისტით, რამდენადაც არ გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ასეთ პირობებში ოდესმე ბოლო მოეღება საბჭოთა ელჩის განუწყვეტლივ უკან გაწვევას, უმჯობესი იქნება აშკარად ითქვას, რომ საფრანგეთის მთავრობას სურს ურთიერთობის ჩაშლა, ან, უკიდურეს შემთხვევაში, სთხოვოს საბჭოთა რუსეთს გამოგვიგზავნოს თავის ელჩად დიდი მთავარი“.

„ვოლონტე“ სწერს: „მაშასადამე, ველური ფაქტი მოხდა. საფრანგეთი მოითხოვს რაკოვსკის უკანვე გაწვევას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მოსკოვი პრესტიჟის საკითხს არ დაუქვემდებარებს იმ მოლაპარაკებას, რომელიც აუცილებელია ორი დაინტერესებული ქვეყნისათვის. რაც შეეხება საფრანგეთის პოზიციას, **ბრიანს უფრო მეტად, ვინემ ოდესმე, სურს განაგრძოს მოლაპარაკება, რაც** არსებითად აუცილებელია მშვიდობიანობის დასამყარებლად ევროპაში. მაგრამ თუ რაკოვსკი გაემგზავრება და მოლაპარაკება იწარმოებს ერბეტის საშუალებით, ჩვენ კვლავ წავაწყდებით მოლაპარაკების გაჭიანურებას, ხოლო **მრავალრიცხოვანი ფრანგები მოუთმენლად მოელიან საფრანგეთ-რუსეთის ინციდენტის ამოწურვას და ნორმალურ ეკონომიურ ურთიერთობის დამყარებას საფრანგეთ-საბჭოთა კავშირს შორის**“.

„პეპლ“ იმეორებს თრაზას, რომ „რაკოვსკი საბჭოთა კავშირის თვითეულ სხვა ელჩისაგან არ განსხვავდება“, გაზეთი ამასთანავე მწუხარებას გამოსთქვამს საფრანგეთის მთავრობის წინადადების გამო. „ვინაიდან ეს ჟესტი შეფასებული იქნება, როგორც წინასწარი მოწონება ანალოგიურ გამოსვლებისათვის, რომელსაც შეიძლება ადგილი ექნეს რაკოვსკის მოადგილის მიმართ“.

„ლიუმანიტე“ სწერს: „ნავთის მრეწველთ, ომის გამოწვევის მსურველთ აღარ ძალუძთ დაფარონ თავისი სიხარული. საჭირო იყო რაკოვსკის გაძევება, რომ გზა გადაელობათ რუსეთის იაფი ნავთისათვის და დაებრკოლებიათ შეთანხმების მიღწევა ვალების შესახებ. რამდენადაც არც ერთი საბჭოთა ელჩი არ არის დაცული შანტაჟის კამპანიისაგან, საფრანგეთი დადგა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ფაქტიურათ ჩაშლის წინაშე“. (ადს).

მემარჯვენე პრესა არ ისვენებს

პარიზი, 3 ოქტომბერი. მემარჯვენე პრესა ეხება ჰავასის სააგენტოს ცნობას, რომელიც შეეხება საფრანგეთის მთავრობის ღონისძიებებს რაკოვსკის მდგომარეობის საკითხის გარშემო და სრულ კმაყოფილებას გამოსთქვამს ამასთანავე მემარჯვენე გაზეთები კვლავ დაჟინებით მოითხოვენ საფრანგეთი-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის სავსებით ჩაშლას.

მემარცხენე პრესა პროტესტს აცხადებს საფრანგეთის კაბინეტის პოლიტიკის წინააღმდეგ, თუმცა ძალიან თავშეკავებულად.

„კოტიდიენ“ ამბობს, რომ ინციდენტი რაკოვსკის გარშემო ერთხელ უკვე ამოიწურა ბრიანის ჩარევის გამო, მაგრამ რეაქციონერებმა კვლავ გააჩაღეს გამწვავებული კამპანია და ერბეტის უკანასკნელი ნაბიჯები მოწმობენ, რომ ბრიანი მოექცა რეაქციის გავლენის ქვეშ. „რაკოვსკის პიროვნება—სწერს გაზეთი—ჩვენთვის დიდათ მნიშვნელოვანი არ არის, მაგრამ ჩვენ მაღლა ვაყენებთ ჩვენი მთავრობის დამოუკიდებლობას იმ ბნელ ძალებისაგან, რომლებიც [illegible] ისახავენ დემოკრატიის წინააღმდეგ“. (ადს).

პარიზი, 3 ოქტომბერი. ყველა გაზეთები ათავსებენ შემდეგ ცნობას:

„ოფიციალურ წრეებში აცხადებენ, რომ საფრანგეთის ელჩს მოსკოვში დაევალა ამ უკანასკნელ დღეებში ერთხელ კიდევ სავსებით განსაკუთრებული სახით მიაქციოს საბჭოთა მთავრობის ყურადღება გაძნელებულ მდგომარეობაზე, რომელიც შეიქმნა ამჟამად მიმდინარე მოლაპარაკების დროს, პარიზში საბჭოთა კავშირის ელჩად რაკოვსკის დატოვების გამო, **მაგრამ რაიმე ოფიციალური მოთხოვნილება საბჭ. მთავრობისათვის არ წარუდგენიათ.**

ფრანგ მეზღვაურთა ამბოხება

დაწვრილებითი ცნობები

პარიზი, 3 ოქტომბერი. „იუმანიტე“ ათავსებს ახალ დაწვრილებით ცნობებს ტულონის ამბოხების შესახებ. მღელვარებამ **სამხედრო საზღვაო საპყრობილეში იფეთქა უკვე 27 სექტემბერს, და არა 29 როგორც ამას ამტკიცებს საზღვაო სამინისტროს ოფიციალური ცნობა. თავისი ხანგრძლივობითა და მონაწილეთა რიცხვით ამ ამბოხებამ გადააჭარბა ყველა წინანდელ ამბოხებებს. 3 დღეღამის განმავლობაში საპყრობილე აჯანყებულ მეზღვაურების ხელში იყო და მხოლოდ 30 სექტემბერს, ჟანდარმერიამ, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა ჩაექრო ამბოხება რითაც არ უნდა დაჯდომოდა, იხმარა მახრჩობელა გაზები.** მაგრამ მეზღვაურები თავს იცავდენ მთელი ღამის განმავლობაში. ქალაქში მუშებმა გამართეს დიდი დემონსტრაციები. ამბოხების მონაწილეთადმი სიმპატიებს იჩენენ არა მარტო მუშები, არამედ ტულონის წვრილი ბურჟუაზიაც (ადს).

ამნისტიის პროექტი

ბერლინი, 3 ოქტომბერი. პრუსიის ლანდტაგის კომუნისტურმა ფრაქციამ შეიტანა პროექტი პრუსიის პოლიტიკურ პატიმართა ამნისტიის შესახებ გარდა იმ პირთა, რომლებსაც ბრალად ედებათ შავ რეიხსვერის, „კონსულის“ ორგანიზაციის სხვა მემარჯვენე კავშირების წევრობა (ადს).

საროსა და რენოდელის ბლოკი

პარიზი, 3 ოქტომბერი. რონის დეპარტამენტის რადიკალების და რადიკალ-სოციალისტების ფედერაციის სხდომაზე ერიოს თავმჯდომარეობით მიღებულია რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„ვინაიდან მიუხედავად ნაციონალურ ერთიანობის მთავრობის შექმნისა, რეაქციონური პარტიები არ იშლიან რესპუბლიკის მომხრეების და რადიკალ-სოციალისტების დევნას, ფედერაცია ნდობას უცხადებს პარტიის ლიდერ მორის საროს და ერთხმად უერთდება მის საარჩევნო ტაქტიკას, ე. ი. დასაშვებად მიაჩნია საარჩევნო ბლოკი სოციალისტებთან“. (ადს).

ბრძოლა უხანსა და ნანკინს შორის

განხეთქილება უხანსა და ნანკინს შორის

შანხაი, 3 ოქტომბერი. დასტურდება ხმები იმის შესახებ, რომ ვუხუს სამხრეთ-აღმოსავლეთით ნაკინის ჯარებსა და ტან-შენჩის ჯარებს შორის მოხდა შეტაკება. უხანის პოლიტიკურ წრეებში ამ შეტაკებას აფასებენ, როგორც განხეთქილებისა და აშკარა მტრობის დასაწყისს უხანისა და ნაკინ-შანხაის ჯგუფებს შორის.

შეტაკება „წითელ შუბებსა“ და ფინ-იუი-სიანს შორის

შანხაი, 3 ოქტომბერი. უცხოეთის გაზეთების ცნობით, ხენანის პროვინციაში მოხდა მთელი რიგი შეტაკებები ფინ-იუი-სიანს ჯარებსა და „წითელ შუბების“ (გლეხთა რაზმების) შორის.

ქალაქ ჩანდაში ფინ-იუი-სიანის ჯარები იძულებული გახდენ უკან დაეხიათ წითელი შუბების იერიშის გამო, მაგრამ მალე დაუბრუნდენ და დახოცეს ათასობით სრულიად უდანაშაულო კერძო პირები.

იმავე ცნობებით, ფინ-იუი-სიანის ჯარები სოფლებში სწვავენ და სძარცვავენ გლეხების სახლებს. ჩანდესა და ვეიხუფუს შორის მდებარე გზის გასწვრივ განადგურებულია ყველა სოფ.

სვატოუს დაცლა

შანხაი, 4 სექტემბერი. ჩინეთის გაზეთები ათავსებენ ცნობებს რევოლიუციონური ჯარების მიერ სვატოუს დატოვების შესახებ ღამით 2 ოქტომბერს. რეიტერის სააგენტო 3 ოქტომბერს ჰონკონგიდან იუწყება, რომ გუანდუნის თითქმის ჯარებმა საბოლოოდ დაიჭირეს სვატოუ. ამ ცნობების მიუხედავათ, სვატოუს რაიონში სამხედრო მდგომარეობა მაინც გაურკვეველი რჩება, ვინაიდან ყველა ცნობები ადასტურებენ, რომ რევოლიუციონურმა ჯარებმა სრული წესრიგით დატოვეს სვატოუ და მივიდენ ჩაოლინამდე; ამასთანავე, თვით სვატოუში არ ყოფილა მნიშვნელოვანი რევოლიუციონური ძალები. ზოგიერთი გაზეთები აქ უკან დახევაში ხედავენ რევოლიუციონური ჯარების ცდას გავიდნენ აღმოსავლეთ მდინარესაკენ და შემდეგ დაბრუნდენ ცზიანსის პროვინციაში. ჩინურ გაზეთების ცნობით, სვატოუს სავაჭრო პალატამ და აგრეთვე ქალაქში მყოფ გომინდანის პროფკავშირთა და საგზაო კავშირთა გამგეობებმა რევოლიუციონური ჯარების წასვლის შემდეგ გამოფინეს თეთრი დროშები, ამავე დროს დაიწყო იმ პირთა დევნა და დაპატიმრება, რომლებიც შემჩნეულ იქნენ თანაგრძნობაში რევოლიუციონურ ჯარებისადმი.

ჰონკონგის გაზეთების სიტყვით, რევოლიუციონური ჯარების მდგომარეობა სვატოუში გართულდა იაპონიის ჯარების გადმოსხმით, რომლებსაც საკონსულო კორპუსმა დაავალა „წესრიგის დაცვა“, და აგრეთვე ბურჟუაზიის მიერ გამოცხადებული ეკონომიური ბოიკოტით. (ადს).

ინგლისელებმა დაიკავეს თავისი ყოფილი კონცესია ხანკოუში

ხანკოუ, 3 ოქტომბერი. ხანკოუს ჩინური მოსახლეობა ძლიერ აღშფოთებულია იმის გამო, რომ ხანკოუდან მოულოდნელად გაემგზავრა ჩუან-ცზინი, ინგლისელების ყოფ. კონცესიის მმართველობის უფროსი ხანკოუში, გარეშე საქმეთა უფროსი კომისარი და ევგენი ჩენის ყოფილი თანამშრომელი; მისი გამგზავრების შემდეგ ინგლისელებმა თვითნებური წესით ჩაიგდეს ხელში ყოფილ კონცესიის მმართველობა და მმართველობის სათავეში ჩააყენეს ინგლისელი ეიტსი. ეიტსმა დაუყონებლივ გასცა ბრძანება, რათა მას დამორჩილებოდენ კონცესიის მმართველობის ყველა მოხელენი; მან აგრეთვე გასცა განკარგულება, რომ მმართველობის კანცელიარიიდან გაეტანათ სუნ-იატ-სენის პორტრეტები და ჩამოეხსნათ კედლებიდან ანტი-იმპერიალისტური ლოზუნგები. ინგლისელებმა განაცხადეს, რომ ისინი აღარ სცნობენ ჩინელის დანიშვნას კონცესიის მმართველობის უფროსის თანამდებობაზე. ინგლისელები აწარმოებენ გააფთრებულ კამპანიას იმ ხელშეკრულების ოფიციალურად გასაუქმებლად, რომელიც დასდვეს ო.მალიმ და ევგენი ჩენმა ინგლისის ყოფ. კონცესიის მმართველობის წესის შესახებ ხანკოუში და სცდილობენ ისევ ჩაიგდონ ხელში კონცესია (ადს.)

ფუზუნის დაკავებას სცდილობენ

შანხაი, 3 ოქტომბერი. 2 ოქტომბერს ჩრდილოელთა ესკადრა კვლავ შეეცადა ვუზუნის სიმაგრის (შანხაის მახლობლად) დაკავებას. შეტევა უშედეგო გამოდგა.

ამერიკელებს თავი გატონებად მოაქვთ

ვაშინგტონი, 3 ოქტომბ. ოფიციალურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების კონსულმა ნანკინში მიმართა ნანკინის მთავრობას განცხადებით, რომელიც შეეხება ახალ ბაჟებს უცხოეთიდან ნანკინის ტერიტორიაზე შემოზიდულ თამბაქოზე და ღვინოზე. კონსულმა განაცხადა, რომ თუ ეს ბაჟები დაუყოვნებლივ არ იქნა მოხსნილი, ამერიკელი იმპორტიორები მომავალში არ გადაუხდიან ნანკინის საბაჟოს იმ ბაჟებს, რომლებიც მათზე ირიცხება და სათანადო თანხებს შეიტანენ ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატების საკონსულოში (ადს).

კანტონის მუშები ელიან რევოლიუციონურ ჯარებს

შანხაი, 3 ოქტომბერი. გონკონგიდან მიღებული ცნობებით იქ არსებულმა **„კონტრ-რევოლიუციასთან მებრძოლმა საზოგადოებამ“, ზეიმით იდღესასწაულა რევოლიუციონური ჯარების გამარჯვება.**

ეს ორგანიზაცია შექმნილ იქნა ჩანკაი-შის გადატრიალების შემდეგ და მიზნად ისახავდა კანტონის ხელში ჩაგდებას. როცა ნანკინი და უხანი გაერთიანდა, ორგანიზაციაში მოხდა განხეთქილება და ამ საზოგადოების ზოგიერთი ელემენტები გამოვიდენ იქიდან და ორგანიზაცია დასტოვეს რევოლიუციონური ელემენტების ხელში.

ხმების მიხედვით, „კონტრ-რევოლიუციასთან მებრძოლი საზოგადოების ზოგიერთი წევრები გაემგზავრენ კანტონში იმ მიზნით, რომ მოაწყონ გამოსვლა მთავრობის წინააღმდეგ. გამოსვლაში მონაწილეობა უნდა მიიღონ მუშებმა და, უმთავრესად მეზღვაურებმა. **ფიქრობენ, რომ კანტონში არის 20 ათასი რევოლიუციონურად განწყობილი მუშა,** რომელნიც რევოლიუციონურ ჯარების მოახლოებას ელიან.

გონკონგის წრეების აზრით, დამხმარე ძალები, რომელნიც რევოლიუციონური ჯარების წინააღმდეგ გაიგზავნება კანტონიდან და შანხაიდან, ძალიან დაგვიანებით მივლენ დანიშნულ ადგილას.

მდგომარეობა ფრონტებზე

შანხაი, 4 ოქტომბერი. გაზეთების ცნობით, **ბრძოლა მუკდენისა და შანსის ჯარებს შორის ერთდროულად დაიწყო ორ ფრონტზე.** კალგანის რაიონში და ჩჟილის პროვინციაში, ჩენტინფუს მახლობლად. გამარჯვების შანსები ორთავე ფრონტებზე ენ სი-შანის მხარეზეა.

გაზეთები აცხადებენ, რომ ბრძოლა ჩენტინფუსთან დამთავრდა იმით, რომ **მუკდენის ჯარებმა ტინჯოუსკენ დაიხიეს. ამავე დროს გაზეთები აქვეყნებენ ცნობას მუკდენის პარტიის დაშლის შესახებ. მუკდენის პარტია დასუსტდა მას** შემდეგ, როცა ხან-ლინ-ჩუნი გადავიდა სამხრეთელების მხარეზე. (ადს)

ბლოკი ჩან-ძო-ლინის წინააღმდეგ

ტოკიო, 3 ოქტომბ. გაზეთი „ტოკიო ასახი“ ეხება ენ სი-შანის გამოსვლას მუკდენელების წინააღმდეგ და აცხადებს, რომ ეს გამოსვლა შედეგად მოჰყვა კავშირის დადებას ენ სი-შანის, ფინ-იუი-სიანის, ტან-შენ-ჩის და ანფუისტურ პარტიას შორის.

გაზეთის სიტყვით, ახალი მოკავშირეების მიერ პეკინის დაკავების შემდეგ, დუან ძი-ჟეუი, ანფუისტების ბელადი, გამოვა, როგორც შუამავალი ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის.

ჩინეთის შრომის ფედერაციის მოწოდება

შანხაი, 3 ოქტომბერი. წყნარ ოკეანეს შრომის ფედერაციის ორგანო „პანპასიფიკ უორკერ“-ში გამოქვეყნებულია სრულიად ჩინეთის შრომის ფედერაციის მოწოდება, რომელშიაც აღნიშნულია ფედერაციის მოღვაწეობისა და ბრძოლის პროგრამა ეხლანდელ კრიტიკულ პერიოდში.

თუმცა, ნათქვამია მოწოდებაში, **ფედერაცია იძულებულია იმუშაოს არალეგალურად** უ-პეი-ფუსა და სუნ-ჩუან-ფანის ბატონობის ქვეშ, **მაგრამ ის მაინც განაგრძობს თავის მოღვაწეობას და ხელმძღვანელობას უწევს მუშების რევოლიუციონურ ბრძოლას“.**

დასასრულ მიმართვა მოუწოდებს ნამდვილ დემოკრატიულ სახალხო რევოლიუციონურ მთავრობის შექმნისაკენ, ფედერაციისა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის დაცვისა და მხარის დაჭერისაკენ და მთელი ქვეყნის მუშების მთლიანობისაკენ. (ადს)

ჰანრი ბარბიუსი საქართველოში გამომგზავრების წინ

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან).

დღეს, საფრანგეთის სახელგანთქმულმა მწერალმა-კომუნისტმა ანრი ბარბიუსმა, რომელიც ამჟამად სტუმრად იმყოფება მოსკოვში, ხოლო რამოდენიმე დღის შემდეგ საქართველოსაკენ აპირებს გამომგზავრებას, მიიღო თქვენი გაზეთის თანამშრომელი.

— თუ ავადმყოფობამ არ შემიშალა ხელი,—განაცხადა ამხ. ბარბიუსმა საუბარში.—ორი დღის შემდეგ დაახლოებით მე ვაპირებ საქართველოში გამგზავრებას. საქართველოს ნახვით ფრიად დაინტერესებული ვარ. პირველ ყოვლისა მაინტერესებს თქვენი ქვეყნის ნახვა, იქ მომუშავე ამხანაგებისა და აგრეთვე მათი მუშაობის გაცნობა; მაინტერესებს აგრეთვე საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების გაცნობა და იმის გაგება თუ რა მდგომარეობაშია თქვენში ლიტერატურა, მხატვრობა და საერთოდ ხელოვნება. მიზიდავს თქვენი ლამაზი ქვეყნის ბუნება, რომელზედაც მე ბევრი მსმენია.

— საბჭოთა კავშირში ჩემი ჩამოსვლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია ნამდვილი მდგომარეობის და ვითარების შესწავლა-გაცნობა იმ ქვეყნის, სადაც მუშების და გლეხების ხელისუფლებაა დამყარებული. იგივე მიზანი ექნება აგრეთვე ჩემს გამგზავრებას საქართველოში. საქმე იმაშია, რომ დასავლეთ ევროპაში იმპერიალისტები და მენშევიკები ათასგვარ ჭორებს ავრცელებენ მუშურ-გლეხურ ქვეყნის შესახებ, გაჰკვიან ისინი საქართველოზეც, რომელიც მათი თქმით, დაჩაგრულია რუსეთის მიერ. ისინი უტიფრად აცხადებენ, რომ საქართველო რუსეთმა თავის კოლონიად გადააქცია, რომ საქართველოში რუსეთი ბატონობს და სხვა. საფრანგეთის მენშევიკები მეტის-მეტ ერთგულებას იჩენენ ამ მხრივ. რენოდელმა მაგალითად საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ გაილაშქრა და „მენშევიკურ დაჩაგრულ საქართველოს“ „ადვოკატობა“ ერთგვარ თავის საქმედ გაიხადა. ის სარგებლობს ყოველგვარ შემთხვევით, რომ გაილაშქროს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მე ვიცი, რა თქმა უნდა, რომ ყველაფერი ის, რასაც ჩმახავენ რენოდელები და იმპერიალისტები არ არის მართალი, რომ კამპანია, რომელსაც ისინი აწარმოებენ არის ცილისწამებისა და ჭორების კამპანია. მაგრამ საფრანგეთში მარტო ასეთი ცილისწამების კამპანია როდი სწარმოებს. იქ ბრძოლასაც აწარმოებენ ამ ჭორების და ჭორიკანების წინააღმდეგ. არიან ამხანაგები, რომლებიც საფრანგეთის მშრომელ მასებს და საზოგადოებრივ აზრს აწვდიან ნამდვილ ცნობებს, როგორც საბჭოთა კავშირის საერთოდ, ისე კერძოთ საქართველოს ნამდვილი მდგომარეობის შესახებ. პირადათ მეც მომიხდა რამოდენიმე წერილის მოთავსება ამ საკითხის შესახებ. და აი, რომ უკეთ გავეცნობოდი ყველაფერს, რომ დაწვრილებით შემესწავლა რა ხდებოდა როგორც საბჭოთა კავშირში მთლიანად, ისე საქართველოში, მე გადავსწყვიტე აქეთ გამომგზავრება და ყველაფრის პირადათ, საკუთარი თვალით დათვალიერება.

მე ვეცდები რაც შეიძლება მეტი მასალები შევკრიბო თქვენი ქვეყნის მდგომარეობის შესახებ, იმისათვის, რომ შემდეგ, საფრანგეთში დაბრუნებისას, ფაქტებით და სტატისტიკური მასალებით ხელში გავილაშქრო იმათ წინააღმდეგ, ვინც ჭორის კორიანტელს აყენებს რევოლიუციონურ საბჭოთა კავშირის გარშემო.

ჩემი თვალით ნახულს და გაგონილს მე გადავსცემ საფრანგეთის მშრომელებს და გავაბათილებ რენოდელის ჭორებს.

ძალიან ვსწუხვარ—განაცხადა დასასრულ ამხანაგმა ბარბიუსმა,—რომ თქვენში მე მხოლოდ რვა დღეს დავრჩები. ამ ხნის განმავლობაში მე უნდა გავიცნო და დავათვალიერო ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი სამივე რესპუბლიკა: საქართველო, სომხეთი და აზერბეიჯანი. ვიცი, რომ ვერ მოვასწრებ ბევრი რომ ვნახო, მაგრამ სამწუხაროდ მეტი დრო ჩემს განკარგულებაში არ არის“.

ვლ. ბერაძე.

მოსკოვი, 26 სექტ.



En attendant que [illegible] donné de pouvoir le faire effectivement, je tends ma main aux camarades rédacteurs et aux lecteurs du Communiste Géorgien, qui [illegible] ce beau pays!

Henri Barbusse

Moscou, 26 sept. 1927

ავტოგრაფის თარგმანი

„კომუნისტს“

იმის მოლოდინში, რომ მომეცემა ამის რეალური შესაძლებლობა, მე აქედანვე ხელს ვუწვდი ამხანაგ რედაქტორებს და მკითხველებს ქართული „კომუნისტისას“, რომელიც ემსახურება დიად საქმეს ლამაზ ქვეყანაში.

ჰანრი ბარბიუსი.

მოსკოვი, 26 სექტ. 1927 წ.

ამხ. ბარბიუსის მოლოდინში

მოსკოვი

(ტელეგრაფით)

ამხ. ბარბიუსი 4 სექტემბერს გამოფრინდება ჰაეროპლანით ხარკოვში, სადაც დაჰყოფს ორ დღეს. შემდეგი მარშრუტი—მინერალური წყლები და კავკავი. კავკავიდან ავტომობილით ჩამოვა ტფილისში.

ინგლისის მუშათა პარტიის ყრილობა

ბლეკპული, 3 ოქტომბ. მუშათა პარტიის ყრილობის 3 ოქტომბრის დილის სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მუშათა პარტიის შემადგენლობიდან მასწავლებელთა ლიგის გამორიცხვის საკითხმა. ეს საკითხი აღძრა რამოდენიმე დელეგატმა, რომელთა საპასუხოდ **მაკდონალდმა** განაცხადა, რომ ლიგის ყრილობას გასული წლის დეკემბერში დაეტყო კომუნისტური გავლენის საგრძნობი ზრდა, რამაც აიძულა „მუშათა პარტიისადმი ლოიალურად განწყობილი“ რამოდენიმე წევრი გასულიყო ლიგიდან.

დასასრულ მაკდონალდმა აღნიშნა, რომ ლიგა „გამოეხმაურა იმ უჯრედების მოწოდებას, რომლებიც ემორჩილებიან ხელმძღვანელობას უცხოეთიდან და სცდილობენ ზიანი მიაყენონ მუშათა პარტიას“, რის გამო აღმასრულებელი კომიტეტი იძულებული გახდა გამოერიცხა ლიგა მუშათა პარტიისაგან.

მასწავლებელთა ლიგის თავმჯდომარემ **რედგრავმა** შეიტანა წინადადება, რომ უარყოფილი ყოფილიყო აღმასკომის ანგარიშის ის ნაწილი, რომელშიაც მოყვანილია ლიგის გამორიცხვის მიზეზები. რედგრავმა აღნიშნა, რომ ჩვეულებრივ მუშათა პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებს პარტიიდან რიცხავენ მხოლოდ სათანადო დისკუსიის შემდეგ, ლიგა კი გამორიცხულ იქნა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე და მას საშუალება არ მისცეს გამოსულიყო თავის დასაცავად.

დეპუტატმა **კრიკმა**, რომელიც მემარცხენე ფრთას ეკუთვნის, მხარი დაუჭირა რედგრავის წინადადებას და აღმასკომს მოუთმინელი დამოკიდებულება მასწავლებელთა ლიგისადმი შეადარა განსაკუთრებულ მოთმინებას, რომელიც გამოჩენილ იქნა მეზღვაურთა რეაქციონურ კავშირისადმი ხევლოკ ვილსონის მეთაურობით.

რედგრავის წინადადება უარყოფილ იქნა ხმების დიდი უმრავლესობით.

საღამოს სხდომაზე ირჩეოდა მუშათა პარტიის საფინანსო საქმეები და საკითხი „დეილი ჰერალდ“-ის შესახებ.

ყრილობის მემარცხენე წრეებმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს ასე შეაფასეს ყრილობის პირველი დღე: „აღმასკომს მთელი ყრილობა „ბრჭყალებში“ უჭირავს და ატმოსფერა ყრილობაზე ასე ცუდი არასოდეს არ ყოფილა“ (ადს).

ჰინდენბურგის წინააღმდეგ

ბერლინის მუშების ხმა

ბერლინი, 3 ოქტომბერი. გერმანიის კომპარტიამ 2 ოქტომბერს ბერლინში მოაწყო 14 მიტინგი დახურულ შენობებში, ვინაიდან ხელისუფლებამ აკრძალა კომუნისტური დემონსტრაცია, რომელიც ჰინდენბურგის დაბადებიდან 80 წლის შესრულების დღეს უნდა გამართულიყო.

ყველა შენობები, სადაც მიტინგები მოეწყო, სავსე იყო ხალხით. მიტინგებზე მიღებულ იქნა საპროტესტო რეზოლიუციები ბურჟუაზიული ბლოკის მთავრობის წინააღმდეგ. რეზოლიუციები მოუწოდებენ მშრომელთა ბლოკის შექმნისაკენ.

მთელ რიგ რაიონებში მოხდა შეტაკება მუშებსა და პოლიციის შორის. დაპატიმრებულია მიტინგების 300 მონაწილე.

მუშათა კვარტალებში სახლები პროტესტის ნიშნად მორთული იყო წითელი დროშებით (ადს).

რესპუბლიკის პრეზიდენტი კაიზერის კურთხევით

ბერლინი, 3 ოქტომბერი. პოლიტიკურ წრეებში დიდ მნიშვნელობას აძლევენ ჰინდენბურგის პასუხს ოფიცერთა კავშირის მისალმებაზე.

„დეიტჩე ცეიტუნგ“-ს ჰინდენბურგის პასუხი მოჰყავს ასეთი სახით:

„გმადლობთ მეგობრული სიტყვისათვის, რომლითაც მომმართეთ, ვმადლობ ყოვლად შემძლე ღმერთს, რომელიც მიწევს ხელმძღვანელობას და იმპერატორსა და მეფეს, რომელმაც მომიწოდა სათანადო თანამდებობაზე; გმადლობთ აგრეთვე ყველას, ვინც ყოველთვის მხარს მიჭერდა“.

ამ პასუხში პოლიტიკური წრეები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს სიტყვებს იმპერატორისა და მეფის შესახებ, ესე იგი ვილჰელმ მეორეს შესახებ.

პოლონეთის „სოციალისტები“

ვარშავა, 3 ოქტომბერი. გაზეთ „კურიერ პორანნის“ ცნობით, საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის დეპარტამენტის დირექტორმა პეპესოველმა გოლუბკომ განცხადება შეიტანა პარტიიდან გასვლის შესახებ.

„ეპოკა“ ადასტურებს ამ ხმებს და დასძენს, რომ პეპესის ცენტრალური კომიტეტიდან გადის იავორსკი — პარტიის ვარშავის კომიტეტის და ვარშავის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე. საერთოდ მოელიან, რომ პილსუდჩიკები დასტოვებენ პეპეესის რიგებს.

„გლოს პრავდი“-ს აზრით, პეპესის გათიშვა ახლო მომავლის საქმეა. (ადს).

მორაჩევსკის გამორიცხვის მოტივები

ვარშავა, 3 ოქტომბერი. გამოქვეყნებულია ცნობა პოლონეთის სოციალისტურ პარტიიდან მორაჩევსკის გამორიცხვის მოტივების შესახებ. მორაჩევსკის დანაშაული მდგომარეობს იმაში, რომ ის შევიდა პილსუდსკის პირველ კაბინეტში პარტიის ნებართვის გარეშე. (ადს).

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელის მოწერა სპარსეთ-საბჭოთა შეთანხმებაზე

ამხ. მიქოიანის სიტყვა

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. სპარსეთ-საბჭოთა შეთანხმებებზე ხელის მოწერის დროს, მისასალმებელი სიტყვით, რომელიც მიმართული იყო **ალი-გოლი-ხან ანსარისადმი,** გამოვიდა ამხ. **მიქოიანი.**

მიესალმა რა მინისტრს, ამხ. მიქოიანმა განაცხადა, რომ მისმა აქტიურმა მონაწილეობამ მოლაპარაკებაში შესაძლებელი გახადა პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობის ყველა სადაო საკითხების სასურველად გადაჭრა ორივე ქვეყნის შორის.

„მეფის რუსეთის წინანდელი ურთიერთობა აღმოსავლეთის ქვეყნებთან, განაცხადა შემდეგ ამხ. მიქოიანმა, დამყარებული იყო აღმოსავლეთის ხალხების ჩაგვრაზე. **საბჭოთა მთავრობა თავის ურთიერთობას აღმოსავლეთის ქვეყნებთან, კერძოდ სპარსეთთან, საფუძვლად უდებს ხალხების სრული თანასწორობისა და მათი პოლიტიკურ და სამეურნეო ინტერესების დაცვის პრინციპს“.**

შეეხო რა ხელმოწერილ შეთანხმებებს, ამხ. მიქოიანმა მიუთითა, რომ საბჭოთა კავშირის მძიმე ეკონომიურმა მდგომარეობამ, — რაც შედეგად მოჰყვა მსოფლიო და სამოქალაქო ომებით გამოწვეულ ნგრევას, — და აგრეთვე ორთავე სახელმწიფოს სხვადასხვა სამეურნეო სისტემებმა, მოლაპარაკების პროცესში წარმოშვეს ერთგვარი დაბრკოლებანი. მაგრამ ეს დაბრკოლებანი დაძლეულ იქნენ, ვინაიდან **ორთავე სახელმწიფოს სურდა შეთანხმების მიღწევა,** რაც საუკეთესოდ უზრუნველჰყოფდა ორივე ქვეყნის ინტერესებს. სპარსეთ-საბჭოთა მოლაპარაკება დაწყებული იყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა მოსკოვში იმყოფებოდა სპარსეთის სასახლის მინისტრი — **თეიმურტაში.** ის გარემოება რომ მოლაპარაკებას ხანგრძლივი ხასიათი ჰქონდა, იმას მოწმობს, რომ ორივე მხარე საქმიან მუშაობაში შეეცადა საუკეთესოდ უზრუნველეყოთ თავის ინტერესები.

„სპარსეთის მთავრობა, — სთქვა ამხ. მიქოიანმა, — თქვენი სახით ჰპოვა სპარსეთის სახელმწიფო ინტერესების საუკეთესო დამცველი. ჩვენ კი თქვენი მხრით ყოველთვის ვხვდებოდით კეთილ სურვილს მიგვეღწია შეთანხმებისათვის და გადაგვეჭრა ყველა სადაო საკითხები საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის.

დღევანდელი დღე იქნება ისტორიული საზეიმო დღე ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში. ჩვენ ამ დღეს გამოვსთქვამთ სურვილს, რომ ჩვენი ეხლანდელი მეგობრული ურთიერთობა, რომელიც ეხლახან ჩამოყალიბდა ხელმოწერილი აქტებით, განვითარებულიყო და განმტკიცებულიყო მომავალში, მიუხედავათ მტრების ყოველგვარი ცდებისა.

ჩვენ ვუსურვებთ აგრეთვე სპარსეთის ხალხს სრულ კულტურულ და სამეურნეო აყვავებას, რასაც ყოველნაირად ხელს შეუწყობთ“.

ამხ. ლეჟავას სიტყვა

შემდეგ გამოვიდა რ. ს. ფ. ს. რ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ამხ. **ლეჟავა.**

მიესალმა რა მინისტრს რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის სახელით ამხ. ლეჟავამ აღნიშნა, რომ მას „არაფერი აღარ დარჩენია დაუმატოს მინისტრის იმ ნაყოფიერი მოღვაწეობის დახასიათებას, რომელიც მოგვცა თავის სიტყვაში ამხ. **ჩიჩერინმა.** ჩვენი ხალხების სწორედ იმ ღრმა გაგებამ, რომელიც გამოიჩინა ალი-გოლი-ხან ანსარიმ მოლაპარაკების დროს შესაძლებელი გახდა, მიუხედავად მთელ რიგ დაბრკოლებებისა, სასურველად დამთავრებულიყო მოლაპარაკება“.

„ჩვენ, სთქვა ამხ. ლეჟავამ, დღევანდელ ხელშეკრულებამდე რამდენიმე წლის განმავლობაში ვაწარმოებდით ვაჭრობას და ჩვენი ვაჭრობა წლითი-წლობით იზრდებოდა და ვითარდებოდა მართალია, ჩვენ მიერ განვლილი გზა არ ყოფილა თავისუფალი შეცდომებისაგან. მაგრამ საერთო ღონისძიებებისა და რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის მოღვაწეობის წყალობით, ვახერხებდით შეცდომებისა და გაუგებრობათა თავიდან აცილებას. დღეს **ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ, ჩვენი მეგობრული სავაჭრო და საქმიანი ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდა.**

ნებას მივსცემ ჩემ თავს გამოვსთქვა რწმენა, რომ **ეხლახან ხელმოწერილ ხელშეკრულებათა საფუძველზე სპარსეთ-საბჭოთა ვაჭრობა კიდევ უფრო ჩქარი ტემპით იწყებს გაშლას და განვითარებას,** რამდენადაც ამას მოითხოვს ორთავე ხალხის ინტერესები. რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატა ყოველნაირ დახმარებას გაუწევს, ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში სპარსელ ვაჭრებს“. (ადს)

სპარსეთ-საბჭოთა შეთანხმების გამოძახილი

„დეილი ტელეგრაფ“-ი ცუდ გუნებაზეა

ლონდონი, 3 ოქტომბერი. „დეილი ტელეგრაფ“-ის დიპლომატიური კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ სპარსეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება, რომელსაც, მისი სიტყვით, სპარსეთმა ხელი მოაწერა მხოლოდ თავისი „ჩრდილოელ მეზობლის შიშით“, გამსჭვალულია „ანტი-ბრიტანული იდეით“.

„ეს გავლენა, — სწერს კორესპონდენტი, — წარმოადგენს სავსებით განსაკუთრებულ ინტერსს და მას ფხიზელი ყურადღება უნდა მიაქციონ ინგლისის და ინგლის-ინდოეთის მთავრობებმა. ახალი ხელშეკრულება საშუალებას უსპობს სპარსეთს გადავიდეს ოსმალეთის ან ავღანისტანის მხარეზე იმ შემთხვევაში, თუ კონფლიქტი მოხდა რუსეთსა და რომელიმე ამ სახელმწიფოს შორის“. (ადს).

სიმართლე საბჭ. კავ. შესახებ

რეველი, 3 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულმა ესტონეთის პროფკავშირთა დელეგაციის თავმჯდომარემ **გრიმპელმა** წაიკითხა საჯარო მოხსენება მუშების კრებაზე თავისი მოგზაურობის შესახებ. მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე. გრიმპელმა, სხვათა შორის უარჰყო რეველის გაზეთების სხვადასხვა ჭორები მისი ჩვენების შესახებ პოლიტიკურ პოლიციაში.

შენიშვნა: ესტონეთის მემარჯვენე გაზეთებმა სენსაციური სათაურებით გამოაქვეყნეს ცნობა, თითქოს გრიმპელმა პოლიტიკურ პოლიციაში დაკითხვის დროს სთქვა, რომ საბჭოთა პრესა სულ სხვანაირად ათავსებდა განცხადებებს, რომელთაც ის აკეთებდა საბჭოთა კავშირში. (ადს).

ბერლინი გაფიცვის წინ

ბერლინი, 3 ოქტომბერი. ბერლინის ტრამვაის მუშებში ჩატარდა კენჭის ყრა მუშებისა და ადმინისტრაციას შორის მომხდარი კონფლიქტის საკითხში. კენჭის ყრის შედეგები ასეთია: **გაფიცვის დაუყოვნებლივ გამოცხადებას ხმა მისცა 11.819 მუშამ** (სულ კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღო 12.141 კაცმა). მაგრამ მუშათა რწმუნებულთა კრებამ, რომელიც შეიკრიბა ზომების შესამუშავებლად გაფიცვის გამოცხადებისათვის, პროფკავშირთა ბელადების გამოსვლის შემდეგ 37 ხმის უმრავლესობით უარჰყო წინადადება გაფიცვის გამოცხადების შესახებ (ადს).

უკანასკნელი ცნობები

გავასის ოფიციალური ცნობა

პარიზი, 4 ოქტომბერი. თანახმად ბრიანის ინსტრუქციებისა, რომლებიც ტელეგრაფით გადაეგზავნა მას მინისტრთა საბჭოს ოთხშაბათის სხდომის შემდეგ, ერბეტი ესაუბრა ჩიჩერინს. ერბეტმა ერთხელ კიდევ მიუთითა ჩიჩერინს იმ უხერხულობაზე, რომელიც გამომდინარეობს რაკოვსკის დატოვებიდან საბჭოთა კავშირის ელჩის თანამდებობაზე პარიზში. ამ უხერხულობის მიზეზია ის პოლემიკა, რომელიც გამოიწვია რაკოვსკის ხელმოწერამ უმცირესობის დეკლარაციაზე. იმ მომენტში, როდესაც ორივე ქვეყანას შორის უნდა დაიწყოს მოლაპარაკება თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების მიზნით. ჩიჩერინმა აღუთქვა ერბეტს, რომ ამ საუბარს აცნობებს თავის კოლეგებს აღმასრულებელ კომიტეტიდან. მაგრამ დღემდე არავითარი გადაწყვეტილება მიღებული არ არის“. (ადს).

ამხ. იურენევი ვენაში

ვენა, 4 ოქტომბ. საბჭოთა კავშირის ახალი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ავსტრიაში ამხ. იურენევი 1-ლ ოქტომბერს ჩამოვიდა ვენაში (ადს).

გერმანელ კომუნისტების პროცესი ლეიპციგში

ლეიპციგი, 4 ოქტომბ. დღეს უზენაეს სასამართლოში დაიწყო გერმანიის კომპარტიის ცეკას საქმის გარჩევა. პასუხისგებაშია მიცემული 13 კომუნისტი, მათგან 9 შედიოდა კომპარტიის ცეკას შემადგენლობაში 1923 წლამდე. ბრალდებულთ შორის არის: **ტელკერი, შეკკერტი, ვერნლე, კენენი, რემელე** და **პფეიფერი** — რეიხსტაგის დეპუტატები, **ებერლეინი** და **კი** — პრუსიის ლანდტაგის დეპუტატები, **ბოტჰერი** — საქსონიის ლანდტაგის დეპუტატი, **შუმანი, ფრეილიხი** და **ლინდაუ** — რეიხსტაგის ყოფილი დეპუტატები. საბრალდებლო აქტში კლარა ცეტკინ აღნიშნულია „გაქცეულად“. ყველას ბრალდება სახელმწიფო ღალატის მზადება. ეს პროცესი მოწყობილია იმ მიზნით, რომ ნიადაგი მოუმზადონ კომპარტიის დაშლას და დააშინონ მუშათა მასები, რომლებიც თან და თან შორდებიან სოციალ-დემოკრატიას და გადადიან კომუნისტების მხარეზე.

სასამართლოს თავმჯდომარე სენატორმა **ნიდნერმა** განაცხადა, რომ ბრალდებულნი არ გამოცხადდენ სასამართლოში. ყველა ბრალდებულთა სახელით დამცველმა **ოგუსმა** შეიტანა წინადადება საქმის გადადების შესახებ. ამის საპასუხოდ ნიდნერმა წინადადება მისცა სასამართლოს მიიღოს ზომები ბრალდებულთა მოსაყვანად სასამართლოში, ხოლო ამასთან ერთად აღნიშნა, რომ ეს წინადადება არ ვრცელდება დეპუტატის უფლებით მქონე ბრალდებულებზე, რომლების შესახებაც პროკურატურა სათანადო წინადადებას შეიტანს პარლამენტში.

ბერლინი, 4 ოქტომბერი. გერმანიის კომპარტიის ცეკამ გამოიტანა დადგენილება, რომელშიც წინადადებას აძლევს ცეკას საქმეზე პასუხისგებაში მიცემულ პარტიის წევრთ არ გამოცხადდენ სასამართლოში. ამასთან ერთად ცეკამ მიმართა მუშებს მოწოდებით გააძლიერონ ბრძოლა ბურჟუაზიული იუსტიციის, მთავრობის ბურჟუაზიული ბლოკის წინააღმდეგ და პოლიტპატიმართა საყოველთაო ამნისტიისათვის. (ადს).

ამხ. ბოგომოლოვი ვარშავაში

ვარშავა, 3 ოქტომბერი. დღეს ვარშავაში ჩავიდა საბჭოთა კავშირის ახალი სრულუფლებიანი წარმომადგენელი პოლონეთში ამხ. **ბოგომოლოვი.**

სადგურზე ამხ. ბოგომოლოვს შეხვდენ პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო ნაწილის დირექტორის მოადგილე, აღმოსავლეთის განყოფილების უფროსი და საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი და [illegible] წარმომადგენლობის თანამშრომლები. (ადს).

ინგლისის მემაღაროები

ემხრობიან რაიონულ შეთანხმებათა გადასინჯვას

ლონდონი, 3 ოქტომბ. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში მემაღაროეთა ფედერაციის მდივანმა **კუკმა** განაცხადა, რომ მემაღაროეთა თითქმის ყველა ორგანიზაციებმა მოიწონეს ლანკაშირის ორგანიზაციის წინადადება, რომ მიღებული იქნეს ზომები მწარმოებლებთან ამჟამად არსებულ შეთანხმებების გაუქმებლად. განზრახულია მემაღაროეთა ფედერაციის ყველა წევრების დაკითხვა იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა მიღება აუცილებელია, რომ მიღწეულ იქნეს ეხლანდელ რაიონულ შეთანხმებების შეცვლა შეთანხმებით სრულიად ინგლისის მასშტაბით (ადს).

მემარჯვენე ლიდერების მანევრი

ლონდონი, 3 ოქტომბერი. გაზეთი „ექსპრეს ლეიბორ“-ი იუწყება, რომ მემაღაროეთა ფედერაციის ლიდერები მუშათა პარტიის ლიდერებთან ერთად იმუშავებენ ნახშირის მრეწველობაში „რეფორმების გატარების პრაქტიკულ პროგრამას“. ეს პროგრამა ეცნობება ბლეკპულის ყრილობას რიგს გარეშე რეზოლიუციის სახით.

გაზეთის ცნობიდან ირკვევა, რომ ეს რიგს გარეშე რეზოლიუცია შემუშავებულია მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომის მემარჯვენე ფრთის მიერ, როგორც კონტრ-მანევრი ლანკაშირის მემაღაროეთა ფედერაციის რეზოლიუციის საპასუხოდ; უკანასკნელი რეზოლიუცია განზრახული იყო ფედერაციის აღმასკომის უკანასკნელ სხდომაზე და მოითხოვდა ამჟამად არსებულ შეთანხმებათა გაუქმებას (ადს).

ამერიკის ყვითელ პროფკავშირების ყრილობა

ნიუ-იორკი, 3 ოქტომბ. ამერიკის შრომის ფედერაციის ყრილობას, რომელიც დღეს გაიხსნა, ფედერაციის თავმჯდომარემ **გრინმა** წარუდგინა წინასწარი მოხსენება; მოხსენებაში ხაზგასმულია ფედერაციის „კონსტრუქტიული“ პოლიტიკა და უკანასკნელის მისწრაფება გაატაროს თანამშრომლობა მწარმოებლებთან (ადს).

კაპაბლანკა—ალიოხინი

ბუენოს-აირესი, 3 ოქტომბერი. კაპაბლანკა-ალიოხინის მატჩის მე-8-ე პარტია გადაიდო მე-4-ე სვლის შემდეგ. (ადს).

ამხ. ჩიჩერინი ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. **ჩიჩერინმა** საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ განაცხადა შემდეგი:

„საკრედიტო ოპერაციებს, რომლებსაც საბჭოთა მთავრობა აწარმოებს, არა აქვთ მარტო ეკონომიური მნიშვნელობა. სესხის წარმატებით გავრცელება ქვეყნის შიგნით უდავოდ მოწმობს იმას, რომ საბჭოთა ქვეყანა ენდობა თავის მთავრობას და ამიტომ საზღვარგარეთ გამალებით ადევნებენ თვალყურს ჩვენს შინაურ საკრედიტო ოპერაციების მსვლელობას. ჩვენი სამეურნეო მშენებლობა სწრაფი ნაბიჯით წავა წინ, თუ მასში დავაბანდებთ ახალ კაპიტალს, მაგრამ ჩვენ მაინც არ ვწყვეტთ მოლაპარაკებას დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან და ცალკე კაპიტალისტებთან სესხის მიღების გარშემო. ჩვენი სახალხო მეურნეობის ზრდა, ჩვენი ჯანსაღი ფინანსიური მდგომარეობა და მოსახლეობის ნდობა საბჭოთა მთავრობისადმი წარმოადგენენ ყველაზე დამარწმუნებელ არგუმენტს დასავლეთ ევროპის კაპიტალისტებისათვის. ამიტომ ინდუსტრიალიზაციის სესხის განაღდების კამპანიას, რომელიც ამჟამად სწარმოებს საბჭოთა კავშირში, აქვს არა მარტო ეკონომიური, არამედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც. აქტივობა და ინტერესი სესხისადმი, რომლებიც წარმოადგენენ ამ საკრედიტო ოპერაციის წარმატებით ჩატარების საწინდარს, დიდ გამოძახილს ჰპოვებენ საზღვარგარეთ. ეს აქტივობა და ინტერესი კიდევ ერთხელ დაანახვებს ბურჟუაზიულ ქვეყნების მთავრობებს, თუ რამდენად უიმედოა მათი ოცნება—გასტეხონ საბჭოთა მთავრობა, ან და ყოველ შემთხვევაში ხელი მაინც შეუშალონ ჩვენს სამეურნეო ზრდას. ყველა ის, ვინც მუშაობს სესხის გავრცელებაზე ან და ხელი აქვს მოწერილი სესხზე, ხელს უწყობს ჩვენს სამეურნეო მშენებლობას და ამასთან ერთად ამაგრებს საბჭოთა კავშირის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობას“. (ადს).

უცხოელი გლეხები ოქტომბრის დღესასწაულზე

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირთა კავშირმა ოქტომბრის ზეიმზე მოიწვია აღმოსავლეთისა და დასავლეთის სხვადასხვა საგლეხო ორგანიზაციებისა და კავშირების 100-მდე გლეხი-წარმომადგენელი: ირკვევა, რომ გლეხთა დელეგატები ჩამოვლენ: გერმანიიდან—12 კაცი, ჩეხო-სლოვაკიიდან—10 კაცი, საფრანგეთიდან—9, სამხრეთსლავიიდან—9, მექსიკიდან—7, ჩინეთიდან 10, იაპონიიდან—4, ინდოეთიდან—3 და სხვ.

დელეგატები მოსკოვში ჩამოვლენ დაახლოვებით 25 ოქტომბრისათვის. ოქტომბრის ზეიმის დასრულების შემდეგ დელეგატები დაათვალიერებენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებს. ყველგან საგლეხო ორგანიზაციებში დაიწყო თანხების შეგროვება დელეგატთა სამგზავრო ხარჯების დასაფარავად. (ადს).

სუნ-ძინ-ლინი და ევგენი ჩენი თბილისში

შეხვედრა სადგურზე

გუშინ, ნაშუადღევის 4 საათზე ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა უხანის მთავრობის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი **ევგენი ჩენი** და სუნ-იატ-სენის ქვრივი **სუნ-ძინ-ლინი.**

სუნ-ძინ-ლინ

სადგურზე სტუმრების პატივსაცემად ჩამწკრივებული იყო ქართული ჯარის ნაწილების საპატიო ყარაული.

ჩამოსულ სტუმრებს შეეგებენ საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი—იუსტიციის სახალხო კომისარი ამხ. **ი. ვარძიელი,** საგარეო საქმეთა კომისარიატის რწმუნებულის მოადგილე ამხ. **კვიტაშვილი,** თბილისის აღმასკ. თავმჯდომარე ამხ. **ლ: სუხიშვილი,** პროფკავშირების წარმომადგენელნი, საბჭოების წევრ ქალთა სრ. საქართველოს ყრილობის დელეგატები, რკინის გზის სახელოსნოების მუშები, მუშა-ქალები და სხვ.

ამხ. ვარძიელის სიტყვა

საქართველოს მთავრობის სახელით სტუმრებს მიესალმა ამხ. **ვარძიელი,** რომელმაც, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვით მიმართა ჩამოსულთ:

საქართველოს მუშები და გლეხები უდიდესი ინტერესით და სულიერი მღელვარებით ადევნებენ თვალყურს ჩინეთის ხალხის ბრძოლას თავის ქვეყნის განთავისუფლებისათვის.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში და კერძოთ საქართველოში კიდევ უფრო განამტკიცებს ძმურს კავშირს საბჭოთა კავშირის ერებსა და ჩინეთის ხალხს შორის.

ამხ. ბ. მაჩაიძის მისალმება

საქართველოს პროფკავშირების სახელით სტუმრებს მიესალმა ამხ. **ბ. მაჩაიძე,** რომელმაც გადასცა ქართველი მშრომელი ხალხის თანაგრძნობა ჩინეთის დიდ განმათავისუფლებელ მოძრაობისადმი.

ევგენი ჩენის საპასუხო სიტყვა

თავის საპასუხო სიტყვაში **ევგენი ჩენმა** მადლობა გადაუხადა მთავრობის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვედრისათვის და ამასთან განაცხადა შემდეგი:

ჩინეთის მშრომელთა რევოლიუციონური მოძრაობა ისარგებლებს საბჭოთა კავშირის რევოლიუციონური პროლეტარიატის გამოცდილებით და საერთაშორისო პროლეტარიატის თანაგრძნობით და დახმარებით იგი შესძლებს გამარჯვების მოპოვებას, როგორც უცხოეთის მჩაგვრელ იმპერიალისტებზე, ისე შინაურ მოღალატეებზე.

საუბარი სუნ-ძინ-ლინსა და ევგენი ჩენთან

ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში **ევგენი ჩენმა და სუნ-ძინ-ლინმა** განაცხადეს:

იმ სიტყვებში,—რომელიც საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს მოვისმინეთ პროლეტარიატის წარმომადგენლებისაგან, გამოსჭვივის მოუთმენლობა ჩინეთის რევოლიუციის ნელი ტემპის გამო, თუმც ეჭვი მის საბოლოო გამარჯვებაზე არავისაგან არ გვსმენია. რასაკვირველია, თქვენ—დიდი ოქტომბრის რევოლიუციის მებრძოლთ ვერ შეგაშინებთ და იმედს ვერ წარგიკვეთთ ჩინეთის რევოლიუციის დროებითი დაბრკოლებანი და მარცხი. სამი მთავარი პრინციპი სუნ-იატ-სენისა: მუშების და გლეხების აქტიური ჩაბმა რევოლიუციონურ მოძრაობაში, ჩინეთის კომპარტიასთან თანამშრომლობა და თანამშრომლობა საბჭოთა კავშირის ერებთან—განხორციელდება.

პირველი პრინციპი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს რევოლიუციონური მოძრაობის წარმატებისათვის, უკვე რამოდენიმედ განხორციელებულია ჩინეთში. თქვენთვის უკვე ცნობილია თუ რა მხურვალე მონაწილეობას იღებენ ამჟამად რევოლიუციონურ ბრძოლებში ჩინეთის მუშათა და გლეხთა მასები, — რაც, როგორც თქვენი გამოცდილება გვიჩვენებს, გამარჯვების საიმედო საწინდარია.

თუ გომინდანში შემავალი ზომიერი ელემენტები შეშინდენ იმის გამო, რომ მოძრაობამ მიიღო კლასიური ხასიათი, მოძრაობაში ჩაება მუშების და გლეხების ფართო მასსები, რომელთაც უკვე სთქვეს თავისი სიტყვა, თუ ამ გამცემლებმა არა თუ ხელი აიღეს სუნ-იატ-სენის მეორე და მესამე პრინციპის განხორციელებაზე, ე. ი. კომპარტიასა და საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობაზე; — ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ არ არსებობს სუნიატსენის ნამდვილი გომინდანი, რომელიც სავსებით შესძლებს მისი დამაარსებლის იდეალების განხორციელებას. არა, ის ცოცხალია, არ მომკვდარა და კვლავ განაგრძობს თავის რევოლიუციონურ მუშაობას.

ჩვენ — სუნ-ძინ-ლინი და ევგენი ჩენი ვართ მისი წარმომადგენელნი და ჩამოველით აქ— თქვენთან — სუნ-იატ-სენის საოცნებო ქვეყანაში.



ევგენი ჩენ

თქვენ კარგად იცით, რომ ყოველი ქვეყნის რევოლიუციას ახასიათებს თავისი ქვეყნის სპეციფიური თავისებურებანი, აქვს თავისებური პირობები, რომელნიც ამა თუ იმ გზით წარმართავენ რევოლიუციონურ მოძრაობას. ჩვენ ჩამოვიტანეთ აქ—საბჭოთა კავშირში ჩინეთის რევოლიუციის ფაქტებს, რევოლიუციონური მდგომარეობის ყოველმხრივი ცოდნა იმ მიზნით, რომ ამ ფაქტების ყოველმხრივი გარკვევით და გაშუქებით ჩვენს საბჭოთა ამხანაგებთან ერთად გამოვიყვანოთ სათანადო დასკვნები და აგრეთვე ვისარგებლოთ იმ გამოცდილებით, რომელმაც თქვენ გამარჯვება მოგაპოვებიათ.

ჩვენი აქ ჩამოსვლა და ჩვენ მიერ აქ წარმოებული მუშაობა ცოცხალი მაჩვენებელია იმისი, რომ არსებობს და სცოცხლობს მემარცხენე გომინდანი, რომელიც გვერდს არ უქცევს სუნიატსენის პრინციპებს, რომელნიც გვავალებენ ჩვენ კომპარტიასა და საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობას.

ჩინეთის მუშები და გლეხები უკვე აქტიურად მონაწილეობენ რევოლიუციონურ მოძრაობაში. და იდნავი ეჭვიც კი არა გვაქვს მათ საბოლოო გამარჯვებაში, მიუხედავათ იმისა, რომ მას ჰყავდა მრავალი მოღალატე წინამძღოლი.

გამარჯვების საუკეთესო გზაა თანამშრომლობა ჩინეთის კომპარტიასთან. ამიტომ ჩვენ ვაცხადებთ:

„გაუმარჯოს მემარცხენე გომინდანის ერთსულოვან თანამშრომლობას კომპარტიასთან“.

—:—

სუნ-ძინ-ლინის და ევგენი ჩენის გამგზავრება ბორჯომში

წუხელ ღამის 11 საათზე სუნ-ძინ-ლინი და ევგენი ჩენი გაემგზავრენ ბორჯომში.

პარტიული ცხოვრება

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკაში

პარტ. განათლება საბჭოთა აღმოსავლეთის ეროვნებათა შორის

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. საბჭოთა აღმოსავლეთის ეროვნებათა შორის პარტიული განათლების საკითხის გარშემო საკ. კ. პ. (ბ) ცეკაში გახსნილ თათბირზე მოსმენილ იქნა ეროვნულ უმცირესობათა განყოფილების გამგის ამხ. დიმანშტეინის მოხსენება პარტაქტივის მუშაობის შესახებ. მოხსენების მთავარ დებულებას შეიცავდა საკითხი საბჭოთა პარტიულ სკოლის პროგრამის შეთანხმება ადგილობრივ ნაციონალურ პირობებთან და ცალკე რესპუბლიკებისათვის სხვადასხვა ტიპის სკოლების მოწყობა. გარდა ამისა, მომხსენებელმა გააშუქა საკითხი საბჭოთა პარტიულ სკოლების ქსელისა და მეცადინეობის ვადის შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს თითქმის ყველა დელეგატებმა.

შემდეგ თათბირმა მოისმინა მთელი რიგი მოხსენებები: პარტგანათლების მეთოდების შესახებ, აღმოსავლეთის ხალხისათვის მუშაკების მომზადებისა და აღმოსავლეთის ხალხთა შორის ანტი-რელიგიური პროპაგანდის შესახებ.

უკანასკნელი მოხსენების გარშემო გამართულ კამათში, ორატორები ერთხმად აღიარებდენ, რომ საჭიროა აღმოსავლეთის ეროვნებათა შორის ანტი-რელიგიური კამპანიის უფრო ენერგიულად ჩატარება. (ადს).

ფრაქციონერების და დეზორგანიზატ. წინააღმდეგ

სტალინო, 4 ოქტომბერი. სტალინოს ოლქის პარტიულმა მასამ მოიწონა დადგენილება ანტიპარტიული სტამბის მონაწილეთა პარტიიდან და ამხ. ტროცკის და ვუიოვიჩის კომინტერნის აღმასკომის შემადგენლობიდან გამორიცხვის შესახებ. მაღაროებში და ქარხნებში მოწვეულ პარტკრებებზე მიღებულია რეზოლიუციები, რომლებიც სასტიკათ გმობენ ოპოზიციის მოქმედებას. პარტიული მასა თავის გამოსვლებში მოითხოვს სათანადო პარტორგანოებისაგან სასტიკ ბრძოლას ოპოზიციის წინააღმდეგ. (ადს).

კოსტრომა, 4 სექტემბერი. ქ. კოსტრომის ყველა საფეიქრო ფაბრიკების პარტუჯრედებმა, რომლებიც აერთიანებენ მრავალ ათას კომუნისტებს, გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელიც იწონებს ამხ. ტროცკის და ვუიოვიჩის გამორიცხვას კომინტერნის აღმასკომის რიგებიდან. პარტიის წევრები მოითხოვენ ცეკასაგან, რათა მან საზღვარი დაუდვას ოპოზიციის გამთიშველ მუშაობას. (ადს).

ტულა, 4 ოქტომბერი. ტულის სახ. ქარხანა № 1-ის პარტუჯრედმა სწორად სცნო დადგენილება იმ 14 ოპოზიციონერის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს არალეგალურ სტამბის მოწყობაში. (ადს).

ფრაქციული მუშაობისათვის

ოდესა, 4 ოქტომბერი. ოდესის საოლქო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა 30 სექტემბრის სხდომაზე განიხილა ოდესის ორგანიზაციის წევრთა საქმე. ტროცკისტული ოპოზიციის მომხრეთ. **შელერის, იაგწევსკის, ლეფკოს, ერმენის, შმუკლერის, შმოტოვის, დუბროვინის, კალაშნიკოვს, კაგანს; ფუკსს; შეფტერ-მაქსიმოვს** და **კოლესნიკოვს** ბრალად ედებოდათ ოპოზიციის არალეგალური კომიტეტის მოწყობა და სხვა მთელი რიგი ანტიპარტიული მოქმედებანი რომელნიც მიმართული იყო პარტიის მთლიანობს დარღვევისა და ცეკას და ცენტრ. საკ. კომ. გაერთიანებულ პლენუმის დადგენილებათა დარღვევა.

ვინაიდან ოპოზიციონერთა ჯგუფმა საოლქო საკონტროლო კომისიაში უარი განაცხადეს თავისი შეცდომების აღიარებაზე. პრეზიდიუმმა დაადგინა ყველა ზემოხსენებული პირები, ამხ. კალიშნიკოვის გარდა, გამორიცხოს პარტიიდან; ამხ. კალიშნიკოვის საქმე ცალკე იქნება განხილული (ადს).

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

რეზოლიუცია

მიღებული ხაშურის პარტორგანიზაციის მიერ

მოისმინა რა ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება შინაპარტიულ მდგომარეობისა და ს. კ. პ. (ბ) ცენტრ: კომიტეტის და ც: საკ: კომისიის ივლის-აგვისტოს გაერთიანებულ პლენუმის მუშაობის შედეგებზე, ხაშურის პარტორგანიზაციის საზოგადო და ა. ლ. კ. კ. კრება, ერთსულოვნად მხარს უჭერს პლენუმის დადგენილებებს.

ხაშურის ორგანიზაციის საერთო კრება აღნიშნავს, რომ კომპარტიის მთლიანობის და სიმტკიცის გავლენით ოპოზიცია იძულებული შეიქნა ნაწილობრივად ეცნო თავის შეცდომები და უკან დაეხია, ყოველ შემთხვევაში ამას ადასტურებს მისი რვა აგვისტოს განცხადება, მაგრამ ის არ იძლევა იმის გარანტიას, რომ მომავალში ოპოზიცია კვლავ არ აწარმოებს პარტიისა და მის ცეკას წინააღმდეგ ბრძოლას.

ხაშურის ორგანიზაციის კრება, უერთდება რა ც. კ. და ც. ს. კომისიის პლენუმის დადგენილებას ოპოზიციის ლიდერებისათვის სასტიკი გაფრთხილების შესახებ, ამასთანავე აღნიშნავს, რომ ც. კ. და ც. ს. კ. პლენუმმა ყოველგვარი ზომები მიიღო, რათა ოპოზიცია დაუბრუნდეს ლენინიზმის გზას:

საზოგადო კრება გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ეს იქნება ოპოზიციის უკანასკნელი გაფრთხილება და თუ ოპოზიციონერების მიერ მომავალში კიდევ დარღვეული იქნება როგორც ც. კ. პლენუმის დადგენილებანი, აგრეთვე თუ კიდევ აწარმოებენ ფრაქციულ მუშაობას, ასეთი ამხანაგები განდევნილი უნდა იქნენ კომპარტიის რიგებიდან, ვინაიდან ამას მოითხოვს პარტიის მთლიანობა და საბჭოთა ხელისუფლების კეთილდღეობა. ხაშურის ორგანიზაცია მუდამ იქნება კომპარტიის ლენინურ ცეკასთან.

ერწოს თემის ორგანიზაციაში

18 სექტემბერს შესდგა ერწოს პარტორგანიზაციის გაერთიანებული სათემო კონფერენცია, რომელმაც მოისმინა ამხ. შიშნიაშვილის მოხსენება შინაპარტიულ მდგომარეობის შესახებ. მიღებულ რეზოლიუციაში სხვათა შორის ნათქვამია:

„ერწოს თემის პარტორგანიზაციის სათემო კონფერენცია ერთსულოვნად უერთდება ც. კ. და ც. ს. კ. აგვისტოს პლენუმის დადგენილებებს და გმობს ოპოზიციის ლიდერების გამთიშველ მუშაობას, კონფერენცია მოითხოვს ხელმძღვანელ ორგანიზაციისაგან გადამჭრელი ზომების მიღებას იმათ მიმართ, ვინც ცდილობს ლენინის პარტიის მთლიანობის შერყევას და ამით ნებსით თუ უნებლიეთ ხელს უწყობს მშრომელი ხალხის კლასიურ მტრებს ანტისაბჭოთა მუშაობის საწარმოებლად“.

ქარელის თემის პარტაქტივში

ქარელის თემის პარტაქტივის კრებამ, მოისმინა რა ამხ. შ. მიქელაძის მოხსენება საერთაშორისო და შინაპარტიულ მდგომარეობის შესახებ, მთლიანად და სავსებით უერთდება აგვისტოს პლენუმის დადგენილებებს ოპოზიციონერთა გამთიშველი მუშაობის შესახებ და აღუთქვამს ყოველგვარ დახმარებას ლენინის პარტიის მთლიანობისა და სიმტკიცის კიდევ უფრო გასაღრმავებლად.

პარტაქტივის კრება აღნიშნავს, რომ ცეკას მიერ აღებული ხაზი როგორც სოციალისტური აღმშენებლობის, ისე საერთაშორისო საკითხების გადაჭრის საქმეში, არის სრულიად სწორი, რასაც შეუძლია მიგვიყვანოს სრულ გამარჯვებამდე.

დღევანდელ გართულებულ საერთაშორისო პირობებში, თვითეული კომუნისტის მოვალეობაა გვერდში ამოუდგენ ლენინურ ცეკას და ხელი შეუწყოს სოციალისტური აღმშენებლობის წარმატებით დაგვირგვინებისათვის.

ნორიოს პარტორგანიზაციაში

ნორიოს პარტორგანიზაციის კონფერენციამ, მოისმინა რა ამხ. **გორდელაძის** მოხსენება ც. კ. და ც. ს. კ: აგვისტოს პლენუმის შედეგების შესახებ, სავსებით იწონებს პლენუმის ყველა დადგენილებებს: კონფერენცია აღნიშნავს, რომ ლენინურ ცეკას სწორი ხელმძღვანელობის მეოხებით საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობა თანდათან მტკიცდება და უმჯობესდება.

კონფერ. გაეცნო რა ოპოზ. ფრაქციულ და გამთიშველ მუშაობას, მოითხოვს როგორც ადგილობრივ ისე საკავშირო ხელმძღვანელ ორგანიზაციებისაგან გადამწყვეტი ზომების მიღებას. კომუნისტური პარტია მუდამ იყო მთლიანი და არავის არ უნდა მიეცეს ნება ამ მთლიანობის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოების.

სოფლის უჯრედების მუშაობა საქართველოში

(სოფლის უჯრედების მდივნების თათბირის გამო)

სოფლად მუშაობა არის პარტიის ერთერთი ძირითადი ამოცანა. სწორედ ამითვე სოფლის უჯრედების და საკანდიდატო ჯგუფების მუშაობა, საქართველოს სოფლის სინამდვილის პირობებში, უნდა წარმოადგენდეს პარტიის მთავარი ყურადღების საგანს.

სოფლის უჯრედების წინაშე მდგარი ამოცანები თავის დროზე გარკვევით იყო ჩამოყალიბებული საქ. კომ. პარ. (ბ) ცეკას დებულებაში სოფლის უჯრედების შესახებ.

„სოფლის უჯრედების წინაშე, — ნათქვამია ამ დებულებაში,—სდგას შემდეგი ამოცანები: სოფლის უჯრედებმა თავის ხელმძღვანელობის ქვეშ უნდა მოაქციონ მოჯამაგირე, ღარიბი და საშუალო გლეხობა; ჩააბან ისინი საბჭოთა მშენებლობაში და წაახალისონ კოოპერატიულად დარაზმვისა და საკუთარი კულტურულ-სამეურნეო დონის ამაღლების საქმეში. უჯრედმა უნდა მიიღოს ზომები საბჭოების მუშაობის გამოსაცოცხლებლად, აქტიური მონაწილეობა მიაღებინოს მასში უჯრედის წევრთ და უპარტიო გლეხებს, გამოიჩინოს ინიციატივა მეურნეობის კოლექტიურ ფორმების მოწყობის საქმეში და ხელი შეუწყოს სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელებას, უჯრედმა უშუალო მუშაობა უნდა აწარმოვოს ღარიბ გლეხობას შორის (კრებები, ჯგუფები) და აგრეთვე საზოგადო საქმეში ჩაბმით (საბჭოები, კოოპერაცია, პროფკავშირები და სხვ.) აღზარდოს მოჯამაგირე, ღარიბი და საშუალო გლეხობის ფართე უპარტიო აქტივი, რითაც განამტკიცებს მუშათა კლასისა და ღარიბი გლეხობის კავშირს საშუალო გლეხობასთან, სოფლის კულაკური ზედაფენის წინააღმდეგ. ამასთან მთელი თავისი მუშაობა სოფლად უჯრედმა უნდა შეუფარდოს სოფლის სხვადასხვა ფენების სულიერ განწყობილებას, მოთხოვნილებებს და კულტურულ დონეს“.

თუ ამ დებულების თვალსაზრისით განვიხილავთ სოფლის უჯრედებისა და საკანდიდატო ჯგუფების მუშაობას, მაშინ საჭიროა, პირველ ყოვლისა, აღვნიშნოთ ის საერთო ძირითადი მიღწევები, რომლებიც ახასიათებენ საქართველოს სოფლის უჯრედების მიერ უკანასკნელ ხანებში ჩატარებულ მუშაობას.

ამ რამოდენიმე ხნის წინად ეს ძირითადი მიღწევები თავის დადგენილებაში აღნიშნა აგრეთვე საქ. კომ. პარტ. (ბ) ცეკას სამდივნომაც.

„უჯრედები, — ნათქვამია ამ დადგენილებაში, — ყველგან იჩენენ საკმაო პოლიტიკურ გამჭრიახობას, მტკიცედ და გადაუხრელად იცავენ საქ. კომ. პარ. (ბ) ცეკას ხაზს და ძირშივე სპობენ ოპოზიციონური მიმდინარეობის ყოველგვარ ჩანასახს; მუშაობა ღარიბ გლეხობის შორის, საბჭოების გამოცოცხლება, საცალო ფასების დაკლება და პარტიული ცხოვრების სხვა ძირითადი მომენტები ნაწილობრივ გამოხატულია სოფლის უჯრედების მუშაობაში; მუშაობას მიეცა გეგმიანი ხასიათი, თანდათან ისპობა ინტრიგები, ლოთობა და სხვა მავნე გადახრანი, აღმოფხვრილია სამხედრო კომუნიზმის ნაშთები უჯრედთა ბიუროები ეჩვევიან ხელმძღვანელობას სოფლის უჯრედების მუშაობაზე“.

ცალკე უნდა აღინიშნოს უჯრედების მიღწევები პარტიის მთლიანობისათვის ბრძოლის საქმეში, ის ფაქტი, რომ სოფლის უჯრედებში, ისიც მათ მეტად უმნიშვნელო რიცხვში, მოიპოვება მხოლოდ თითო ოროლა „ოპოზიციონერი“, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მიეწეროს აპარატის მკაცრ რეჟიმს, სოფლის უჯრედების წევრთა პასივობას ან და მათ მიერ უთანხმოებათა არსებითი შინაარსის გაუგებრობას, როგორც ამის ახსნას სცდილობს ოპოზიცია. პირიქით, თუ ოპოზიციამ სასტიკი დამარცხება იგემა თავის ცდაში, რათა თავისი გამთიშველი მუშაობა გადაეტანა სოფლის პარტიული ორგანიზაციების რიგებში, ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ სოფლის კომუნისტების მთელმა მასამ სავსებით შეიგნო ოპოზიციის გზის დამღუპველობა, შეიგნო, რომ ოპოზიციის გზა არის პარტიის დაშლის გზა. პარტიის მთლიანობის აზრმა, მთლიანობის, რომელიც წარმოადგენს ყველა საფრთხეებისაგან თავდაცვის ძირითად საწინდარს, ერთ მთლიან ძალად შეადუღა სოფლის მთელი პარტიული მასა; ოპოზიცია ვერავითარი თავისი ფრაქციული ხრიკებით ვერ შეარყევს მთლიანობის ამ შეგნებას. სოფლის პარტიული მასა მთლიანად და სავსებით შემჭიდროვდა ლენინის ცეკას გარშემო. ეს არის ძირითადი მიღწევა სოფლის უჯრედების მუშაობაში, მიღწევა, რომელიც გზას უხსნის ორგანიულ შემოქმედებით მუშაობას.

მეორე ძირითადი მიღწევა სოფლის უჯრედების მუშაობაში არის ის, რომ, წარსულ წლებისაგან განსხვავებით, როდესაც სოფლის უჯრედები თავის უმთავრეს ყურადღებას მიაქცევდენ „დიდი“ პოლიტიკის საკითხებს, აქტიურობის ხასიათს მოკლებულ საკითხებს, ეხლა დღევანდელი სინამდვილის საკითხებმა, როგორც, მაგალითად: მუშაობამ ღარიბ გლეხობას შორის, საცალო ფასების დაკლებამ და პარტიულ-საბჭოთა ცხოვრების სხვა ძირითადმა საკითხებმა თავისი ნაწილობრივი გამოხატულება ჰპოვეს უჯრედების მუშაობაში.

სოფლის უჯრედების მუშაობაში არანაკლებ მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს გეგმიანი მუშაობის სისტემის განმტკიცება, არანორმალურ მოვლენების—ლოთობის, ინტრიგის თანდათანი აღმოფხვრა და სამხედრო კომუნიზმის ნაშთების საბოლოო ლიკვიდაცია.

ამასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს სოფლის პარტიული მასის მიერ შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპების სწორად გაგების ფაქტი. უკვე ნიადაგი აღარა აქვს შინაპარტიული დემოკრატიის გაფართოვებით ახსნა-განმარტებას, რაც დამახასიათებელია ოპოზიციონურად განწყობილ ან და ოპოზიციონერების მიერ ამ საკითხზე შეცდომაში შეყვანილ ამხანაგებისა, — იმ გაფართოვებულ განმარტებას, როცა შინაპარტიული დემოკრატია წარმოდგენილია როგორც რაღაც განუსაზღვრელად „თავისუფალი“ რამ, რომელიც არ ითმენს ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას ზემდგომ ორგანოების მხრივ.

პარტაქტივის ფართოდ ჩაბმა საბჭოების გადარჩევის კამპანიაში, ფასების დაკლება, ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ და მუშაობა ღარიბ გლეხობასთან, პარტორგანოთა მუშაობის საქმიანი კრიტიკის თავისუფლება უჯრედთა ბიუროების გადარჩევის დროს, უჯრედთა ბიუროებისა და მაზრკომების შემადგენლობის მნიშვნელოვნად გადახალისება მასში დაბალი აქტივის შეყვანის გზით, პარტაქტივის კადრების გაფართოვება პრაქტიკულ მუშაობაში უჯრედთა წევრების ჩაბმის გზით, აგრეთვე პოლიტსკოლების ქსელის გაფართოვება, — ყველაფერი ეს წარმოადგენს ნამდვილი შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპების განხორციელების საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთს და ერთად ერთ სწორ გზას.

უკანასკნელ ხანებში სოფლის უჯრედებმა მოახერხეს უპარტიო გლეხური აქტივის ფართო ფენების შემჭიდროვება თავის გარშემო. ეს შემჭიდროვება მიდიოდა საბჭოთა დემოკრატიის გაფართოვების ხაზით და ფართო უპარტიო მასების მოზიდვით საბჭოთა-სამეურნეო და კულტურულ შემოქმედებით მუშაობაში—სათემო და სასოფლო საბჭოების სექციების, კოოპერატივების გამგეობის და სხ. საშუალებით.

კომკავშირისა და პიონერ-ორგანიზაციების მუშაობა თანდათან მეტ ყურადღებას იპყრობს სოფლის უჯრედების მხრივ. წვრილმან მეურვეობის ელემენტები თანდათან ადგილს უთმობენ საქმიან ხელმძღვანელობას. კომკავშირისა და პიონერ-ორგანიზაციათა სამუშაო მეთოდებისა და ფორმების საერთო გაუმჯობესების შედეგად შემჩნეულია მათი ავტორიტეტის ზრდა. ამას მოწმობს საბჭოების გადარჩევის უკანასკნელი კამპანია, როდესაც გლეხობა არა თუ არ გამოდიოდა კომკავშირის კანდიდატურების წინააღმდეგ, არამედ, პირიქით, თვითვე აყენებდა მათ.

გამოცდილებამ საკანდიდატო ჯგუფების მოწყობის საქმეში გამოიღო ერთგვარი დადებითი შედეგები, როგორც, მაგალითად: პარტ-ქსელის გაფართოვება, ორგანიზაციისაგან წინად მოწყვეტილ კანდიდატების ჩაბმა მათ მუშაობაში და, როგორც ამის შედეგი, მათი ჩაბმა პარტიის პრაქტიკულ მუშაობაში.

ამ მიღწევებთან ერთად საჭიროა აღინიშნოს სოფლის უჯრედების მუშაობაში შემჩნეული მთელი რიგი არსებითი ნაკლულოვანებები.

ასე, მაგალითად, მუშაობას ღარიბ გლეხობას შორის დღემდე არა აქვს მიქცეული მუდმივი და საკმაო ყურადღება. ის ჯერ კიდევ ეპიზოდიურ ხასიათს ატარებს. ღარიბი გლეხობის 868 კრებიდან, რომლებიც გაიმართა 1927 წ. 1-ლ იანვრიდან იმავე წლის 1 ივნისამდე 14 მაზრასა და ავტონომიურ რესპუბლიკებში 75 პროც. მოდის მხოლოდ საბჭოების გადარჩევის კამპანიის პერიოდზე. ზოგიერთი სოფლის ორგანიზაციები (აფხაზეთის, ოზურგეთის, ზუგდიდის, გორის, რაჭის). ნაწილობრივ ყოფა-ცხოვრებითი მოსაზრებებით (აფხაზეთი) და ნაწილობრივ კულაკობის პროცენტის უმნიშვნელობის გამო (რაჭა) სრულიად არ აწარმოებდენ მუშაობას ღარიბ გლეხობას შორის. ხოლო სხვა ადგილებში კი, სადაც სწარმოებს მუშაობა ღარიბ გლეხობას შორის, ადგილი აქვს ღარიბი გლეხობის ჯგუფების ორგანიზაციული განცალკევების, მათ მიერ საბჭოების მაგივრობის გაწევის და ადმინისტრატიული ფუნქციების მითვისების ცდებს (დუშეთის მაზრა).

ეს ფაქტები მოწმობს, რომ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს და სოფლის უჯრედებს ჯერ კიდევ კარგად არ შეუთვისებიათ ღარიბთა შორის მუშაობის მნიშვნელობა და მეთოდები იმ დროს. როდესაც ჩვენ ვდგევართ ღარიბი გლეხობის აქტივობის ზრდისა და საშუალო გლეხობასთან მისი შემჭიდროვების წინაშე კულაკობის საწინააღმდეგო ბრძოლაში.

ასეთივე მოვლენას აქვს ადგილი მოჯამაგირეებს შორის მუშაობაშიც.

საყურადღებოა ის მაგალითი, რომ გაგრის მაზრაში (აფხაზეთი) არსებულ საბჭოთა მეურნეობაში 800-დე მოჯამაგირე მუშაობს, არსებითად არავითარი მუშაობა არ სწარმოებს. ეს მაგალითი მით უფრო საყურადღებოა, რომ აფხაზეთი—ეს ისეთი ქვეყანაა, სადაც მოჯამაგირეობა ყველაზე მეტადაა განვითარებული.

რასაკვირველია, მუშაობის სისუსტის მიზეზები უნდა ვეძიოთ, არა მარტო სოფლის უჯრედების პასივობაში, არამედ იმაშიც, რომ მოჯამაგირე დამოკიდებულია დამქირავებლისაგან.

„რა გამოვა იქიდან, თუ მე საბჭოში ამირჩევენ,—აცხადებდენ ზოგიერთი მოჯამაგირეები საბჭოების გადარჩევის დროს,—სულ ერთია — ჩემი დამქირავებელი არ მომცემს საბჭოში მონაწილეობის ნებას“.

„თუ მოჯამაგირე სხდომებზე ივლის, ვილა იმუშავებს მის მაგიერ, ან და რით ცხოვრებს ის?“—თავის მხრივ ამბობდენ კულაკები.

აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თუ მოჯამაგირის დამოკიდებულება მისი დამქირავებლისაგან გულს უკრუებს მას თავის მონაწილეობაზე საბჭოთა მუშაობაში სოფლად, ამაში დამნაშავეა იმდენად არა თვითონ ის, რამდენადაც სოფლის მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ადგილობრივი ქვედა ორგანიზაციები. რომლებიც არ იჩენენ საკმაო სიმტკიცეს მოჯამაგირეობის უფლებრივი მდგომარეობის დაცვის საქმეში.

შესაძლებელია ამით აიხსნება მოჯამაგირეთა სუსტად შესვლა პარტიაში. ასე, მაგალითად, 587 განცხადებიდან, რომლებიც შემოტანილ იქნა 1926 წ. ოქტომბერ-დეკემბერში 9 მაზრაში, მხოლოდ 24 განცხადება მოდის მოჯამაგირესა და სოფლის მუშაზე. კიდევ უფრო სანიმუშოა, რომ დანარჩენ 7 მაზრაში მიღებულ განცხადებებიდან მხოლოდ ორი განცხადება ეკუთვნის მოჯამაგირეს.

საერთოდ სოფლის უჯრედების მუშაობაში ადგილი აქვს შემდეგ ნაკლულოვანებებს:

ყრილობების, კონფერენციების და პლენუმების რეზოლიუციების არა საკმაო დამუშავება, მაშინ, როდესაც ამას დღევანდელ მომენტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება; სუსტი მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში და უპარტიო, კერძოთ მოჯამაგირე და ღარიბი გლეხობის არა საკმაოდ მოზიდვა უჯრედის ღია კრებებზე; კომკავშირის სუსტი მუშაობა მოჯამაგირეებს შორის, ამ უკანასკნელთა არა საკმაოდ ჩაბმა კომკავშირის რიგებში, დისციპლინის დარღვევის ნაწილობრივი შემთხვევები (ლოთობა, რელიგიურ წესების შესრულება), სოფლის კომკავშირელთა დაბალი პოლიტიკური დონე და არა საკმაო მონაწილეობა სოფლის მეურნეობის კულტურულად წარმოებისა და ინტენსიფიკაციის საქმეში; არა დამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის გაწევა პიონერ-ორგანიზაციებზე კომკავშირის მხრივ, მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შეუთანხმებლობა ბავშვების მოთხოვნილებებთან, სოფლის ინტელიგენციის (მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები) ჩაუბმელობა ბავშვთა კომუნისტურ ორგანიზაციების მუშაობაში, ანტირელიგიური პროპაგანდის სისუსტე და წინამძღოლთა საკმაოდ მომზადებული კადრის უყოლობა; მუშაობის სისუსტე ქალთა შორის, ფორმალური მიდგომა მათი ჩაბმისადმი მშენებლობაში (საბჭოებში არჩევა), მოჯამაგირე ქალთა ეკონომიური უფლებების არა საკმაოდ დაცვა და მათი სუსტად დარაზმვა (აფხაზეთი); სოფლის უჯრედების მუშაობის სისუსტე მოსახლეობის გასამხედროების საქმეში და მოსახლეობის ჩაუბმელობა მასიურ ნებაყოფლობით საზოგადოებებში, მაშინ, როდესაც ეს მუშაობა, საბჭოთა კავშირისათვის ომის საფრთხის პირობებში, უნდა წარმოადგენდეს სოფლის უჯრედების მთავარ საზრუნავ საგანს; უჯრედების მიერ არა პარტიულ ორგანიზაციების საქმეებში უშუალო ჩარევის ნაწილობრივი შემთხვევები (გორი) და არა საკმაო ყურადღების მიქცევა სოფლის ყოფა-ცხოვრებითი საკითხებისათვის (საგადასახადო საქმე, მშენებლობა, საძოვრების საკითხი, დაზღვევა და სხვ.); არა საკმაო ყურადღების მიქცევა უპარტიო გლეხთა აქტივის შექმნის საკითხისათვის. ამ მიმართულებით გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯები უმეტეს შემთხვევაში ამოიწურება სოფლის უპარტიო აქტივისტების ჩაბმით ღარიბი გლეხობის კრებებში, ისიც უმთავრესად საარჩევნო კამპანიების დროს, და თემსაბჭოს სექციების მუშაობაში; აქტივისტების ჯგუფების ორგანიზაციულად ჩამოყალიბების ცდა (ქუთაისი), აქტივობის განსაზღვრა ფორმალური ნიშნით (საბჭოს წევრობა, კოოპერატივების გამგეობა და სხვ.) და აქტივისტების დაწინაურება ზევიდან; საკანდიდატო ჯგუფების მუშაობისათვის არა საკმაო ხელმძღვანელობის გაწევა მაზრის კომიტეტების მხრივ, უგეგმობა საკანდიდატო ჯგუფების მუშაობაში, პარტ-დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, კერძოთ საწევრო გადასახადების სისტემატიურად გადაუხდელობა, რელიგიურ წესების შესრულება და საწევრო უფლებების მითვისება (პარტიაში მიღება და გარიცხვა).

ასეთია მიღწევები და ნაკლულოვანებები საქართველოს სოფლის უჯრედების მუშაობაში.

სოფლის უჯრედთა მდივნების თათბირი, რომელიც ახლო ხანში იხსნება, გაითვალისწინებს მთელი განვლილი მუშაობის გამოცდილებას და დასახავს პარტიულ-საბჭოთა მშენებლობის გზებს სოფლად.

ნაკლულოვანებათა ფხიზელი გათვალისწინება, აქტივობა და ის შეგნება, რომელმაც ერთ მთლიან ძალად შეადუღა სოფლის მთელი პარტიული მასა და რომელზედაც იმსხვრევა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მტრების ყოველგვარი ცდა,— წარმოადგენს ჩვენი სოფლის სამეურნეო და კულტურული დაწინაურების საუკეთესო საწინდარს, იმ დაწინაურების, რომელმაც უნდა მიიყვანოს და მიიყვანს კიდეც ჩვენს სოფელს საბოლოო მიზნამდე: სოციალისტური მეურნეობის გამარჯვებამდე, ხოლო ამითვე გამარჯვებამდე უვიცობასა და სიბნელეზე, რომელიც,— ეს უნდა აღინიშნოს,— ჩრდილავს ახალი გამოღვიძებული საბჭოთა სოფლის სინამდვილეს.

სორელი.

ბორჯომის ორგანიზაციის მე-8-ე პარტკონფერენცია

1-ლ ოქტომბერს ბორჯომის რკინისგზის კლუბში შესდგა ბორჯომის რაიონის ორგანიზაციების პარტ-კონფერენცია, დღის წესრიგში დასმული იყო საკითხები: 1. რაიკომის ანგარიში, 2. სამპროფბიუროს მუშაობის ანგარიში. 3. შინა-პარტიული მდგომარეობის შესახებ გორის მაზრაში, 4. არჩევნები რაიკომის წევრების და სამაზრო კონფერენციის დელეგატების.

რაიკომის მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად და კონფერენციის სხვა საკითხებზეც გამოტანილი იქნა შესაფერისი დადგენილებანი.

კონფერენციამ დიდი ყურადღებით მოისმინა მოხსენება ც. ს. კ. რწმუნებულის გორის მაზრაში ამხ. პაქსაშვილის, რომლის მოხსენების ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღო 20 ამხანაგმა, რომლებიც ერთსულოვნათ ილაშქრებდენ ოპოზიციის წინააღმდეგ და მოითხოვდენ ოპოზიციონერ ფრაქციონერების პარტიიდან გარიცხვას.

კამათში გამოვიდა ოპოზიციონერი ამხ. კ. პაქსაშვილი, რომელმაც დაჰგმო ოპოზიციის გზა და მოუწოდა ოპოზიციაში მდგომ ამხანაგებს მათაც დაგმონ ოპოზიციის გზა, რადგან ეგი დამღუპველია პარტიისათვის.

კამათის შემდეგ კონფერენციამ ერთხმად გამოიტანა დადგენილება, რითაც სთხოვს სამაზრო კომს და ცეკას, რათა მიიღონ პარტიის გამთიშველთა წინააღმდეგ რადიკალური ზომები, აგრეთვე გამოტანილი იქნა დადგენილება ამხ. ონ. არევაძის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ, რომელიც ოპოზიციონერია და ეწევა ფრაქციულ მუშაობას.

ბოლოს კონფერენციამ აირჩია რაიკომი და სამაზრო კონფერენციის დელეგატები.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ შესდგა რაიკომის სხდომა. სადაც, რაიკომის პ.-მ. მდივნათ ერთხმად არჩეული იქნა ამხ. ე. გალუსტოვი.

ზ. ბ—ძე.

კომკავშირში

ახკომკავშირი ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. გამოქვეყნებულია საკ. კომ. პ. (ბ) ცენტ: საკ: კომისიის საკ: ახ: ლ: კ: კ. ცეკას წერილი საკ. ახ. ლ: კომკავშირის მონაწილეობის შესახებ სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში.

„საკ. კომ. პ. (ბ) ცენ: საკ: კომისია და საკ: ახ. ლ: კ: კ.—ცეკა ნათქვამია წერილში—ფიქრობენ, რომ სახელმწიფო აპარატის „გარდაქმნისათვის“ და სახელმწიფოებრივ აპარატში არსებულ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში პარტიას უდიდეს დახმარებას გაუწევს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობა. საკ. ახ. ლ. კ: კავშირმა თავის წევრების და უპარტიო მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის შეგნებაში ბიუროკრატიზმისადმი, საქმის გაჭიანურებისადმი, უმოქმედობისადმი სიძულვილის ჩანერგვასთან ერთად, უნდა განუმარტოს თავის წევრთ და ამ ახალგაზრდობას, რომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლა გამოიხატება არა მარტო ცალკე ბიუროკრატების გამხილებაში, არამედ მოითხოვს სახელმწიფოებრივ და კოოპერატიულ აპარატის მუშაობის მეთოდის მთელი სისტემის გარდაქმნას. ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში კომკავშირის მონაწილეობის უკვე მიღებული გამოცდილების შედეგები იმის მაჩვენებელია, რომ ამ ამოცანის ახალგაზრდობის წინაშე დასმის იდეა მთლიანად სწორია. მაგრამ პრაქტიკამ დაგვანახა, რომ საკ. ახ. ლ. კ. კავშირის საწარმოო და სოფლის უჯრედები სუსტ მონაწილეობას ღებულობენ ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში, უფრო ხშირად არავითარ მონაწილეობასაც არ ღებულობენ და იჩენენ სრულ გამოუცდელობას ბიუროკრატიზმთან ბრძოლის კონკრეტულ ამოცანების შესრულების დროს. საკ. კომ. პ. (ბ) ცენ: საკ: კომისია და საკ: ახ: ლ: კ. კ. ცეკა ფიქრობენ, რომ საკ. ახ. ლ. კ. კავშირის ორგანიზაციების ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ და სახელმწიფოებრივი აპარატის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში, უნდა გამოიხატოს შემდეგში: საკ. ახ. ლ. კ. კავშირის თვითეულმა კომიტეტმა უნდა გამოჰყოს წარმომადგენელი მუშა და გლეხთა ინსპექციის ადგილობრივ ორგანოში კავშირისათვის და საერთო მუშაობის საწარმოებლად ახალგაზრდობის მასების მოსამზადებლად ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად.

საკ. ახ. ლ. კ: კავშირმა ტანვარი საზოგადოებრივ მოღვაწეობის წესით, უნდა გამოჰყოს კომკავშირელები მუშათა და გლეხთა ინსპექციის საჩივართა ბიუროებში სამუშაოთ. საკ. ახ ლ: კ: კავშირის კომიტეტებმა უნდა გამოჰყონ კომკავშირელთა ჯგუფები მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ ჩატარებულ გამოკვლევებში და რევიზიებში მონაწილეობის მისაღებად. საჭიროა უფრო ფართოდ იქნეს დაყენებული ლენინის მოძღვრების კომკავშირელების მიერ შესწავლის საქმე. განსაკუთრებით ლენინის მოძღვრების იმ ნაწილის შეთვისება, რომელიც ეხება სახელმწიფოს, ბიუროკრატიზმთან ბრძოლას და სახელმწიფოებრივ აპარატის გაუმჯობესებას. ახალგაზრდობის ჩაბმა მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ წარმოებულ მუშაობაში უნდა სწარმოებდეს ნება-ყოფ. თვითეულ ახალგაზრდას უნდა მიეცეს ისეთი სამუშაო, რომელიც მას აინტერესებს. კომკავშირის ყველა უჯრედები უნდა ამოწმებდენ როგორც სოფლის და წარმოების ამა თუ იმ ორგანიზაციის მუშაობას, ისე ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოების მოქმედებას. კომკავშირის საფაბრიკო-საქარხნო უჯრედებმა საქმიან ნიადაგზე უნდა დააყენონ კომკავშირელთა მონაწილეობა საწარმოო თათბირებში და კოოპერატივების სარევიზიო კომისიებში: საქმიან ნიადაგზე უნდა დააყენონ აგრეთვე ბრძოლა ნათლიმამობასთან და პროტექციონიზმთან და სათანადო ენერგია უნდა გამოიჩინონ პარტიულ, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციებში შემჩნეულ ნაკლოვანებათა გასწორების საქმეში. საბჭოთა უჯრედებმა თავის მუშაობის მთავარ ამოცანად უნდა დაისახონ საბჭოთა მუშაკების ახალი კადრის აღზრდა, ისეთი კადრის რომლისთვისაც უცხო იქნება ბიუროკრატიზმი და კარიერიზმი. თვითეულმა უჯრედმა მუდამ თვალ-ყური უნდა ადევნოს იმას, რათა ყურადღებით მოეპყრან დაწესებულებაში მოსულ მშრომელთ, მოისმინონ მათი თხოვნები, ანგარიში გაუწიონ მათ მოთხოვნილებათ და რომ მათი საქმეების გარჩევა დაწესებულებებში სწარმოებდეს დაუგვიანებლად. ყველა უჯრედების ძირითად ამოცანას წარმოადგენს იმის გამორკვევა, თუ როგორ ხორციელდება მიღებული დადგენილება. რათა გაუდვილდეს კომკავშირს ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში ახალგაზრდობის მასების ჩაბმა მუშათა და გლეხთა ინსპექციის ადგილობრივ ორგანოებს ევალებათ. კომკავშირელების და უპარტიო მშრომელ ახალგაზრდობის ყველა საჩივრების სასწრაფო განხილვა. გარდა ამისა ეს ორგანოები უნდა იძლეოდენ ცნობას ნაკლის თავიდან ასაცილებლად მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ მიღებულ პრაქტიკულ ზომების შესახებ. უნდა ადევნებდენ თვალყურს, რათა წარმოებების და დაწესებულებების ადმინისტრაცია, აგრეთვე პარტიული და პროფესიონალური ორგანოები ყველა ზომებით ხელს უწყობდენ კომკავშირელთა ორგანოებს ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში.

საკ. კომ: პ: (ბ) საკონტროლო კომისიამ და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებმა უნდა მიიღონ ზომები იმ კომკავშირელთა დასაცავად, რომლებსაც დაუწყებენ დევნას ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ წარმოებულ [illegible] კრიტიკისათვის (ადს)

საბჭოთა საქართველო

წერილები

კულაკები უნდა განიდევნონ საბჭოებიდან

სოფლის მშრომელი მოსახლეობის დამცველი არიან სასოფლო საბჭოები თავიანთი აღმასკომებით.

კანონმდებლობის მიხედვით საბჭოების არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ მშრომელ მოსახლეობას. იმავე კანონმდებლობით საბჭოებში არჩეულ იქნენ იგივე მშრომელი ელემენტები.

კულაკები, ჩარჩ-ვაჭრები, ხალხის მყვლეფელები და თვითმპყრობელობის დროს გლეხობის შემწუხებლები საბჭოებიდან განდევნილი არიან. მათ არა აქვთ უფლება არა თუ დეპუტატობის არამედ არჩევნებში მონაწილეობისაც.

ყოველ არჩევნების დროს სპეციალურად შედგენილი საარჩევნო კომისიები წინასწარ ირკვევენ, ვის აქვს საარჩევნო ხმის უფლება და ვინ შეიძლება არჩეულ იქნენ საბჭოებში.

ასეთი ზომებით ჩვენი საბჭოები დაცულია უცხო ელემენტებისაგან, მაგრამ გამონაკლისს შემთხვევებს მაინც ვხვდებით ზოგიერთ, ჯერ კიდევ კულტურულად ჩამორჩენილ სოფლების საბჭოებში.

ასეთ ადგილებში თითო-ოროლა კულაკური ელემენტები კიდევ ახერხებენ საბჭოებში გაძვრენას და ცდილობენ იქ მათი პირადი ინტერესების დაცვას. ამასთანავე ისინი ხელს უშლიან საბჭოების ნაყოფიერ მუშაობას და ცდილობენ მშრომელი ხალხის თვალში სახელი გაუ ჭოთა ხელისუფლებას.

საბედნიეროდ, ასეთი შემთხვევები ძალზე მცირეა. კულაკური ელემენტები ვერ ახერხებენ თავის მიზნის მიღწევას, ვინაიდან მშრომელმა გლეხობამ დიდი ხანია კბილიბი გაუსინჯა მათ შავ ზრახვებს, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ზომები არ მივიღოთ იმათ წინააღმდეგ, რომლებიც კიდევ ცდილობენ საბჭოები გამოიყენონ თავიანთი პირადი ინტერესებისათვის.

რა გვმართებს ასეთ შემთხვევაში?

სოფლის პარტორგანიზაციებმა, მშრომელმა ინტელიგენციამ და შეგნებულმა გლეხობამ ყოველთვის უნდა ამხილონ მშრომელი გლეხობის წინაშე სოფლის კულაკების შავი ზრახვები და განუმარტონ მათ, რომ საბჭოებში კულაკური ელემენტების გაძვრომა ნიშნავს საბჭოს ნაყოფიერ მუშაობის მოდუნებას და საბჭოს მუშაობისათვის ხელის შეშლას.

საბჭოები არის ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარი, მუშებისა და მშრომელი გლეხობის დიქტატურის განმტკიცებელი ორგანოები და იქ არ უნდა გავაჭაჭანოთ მშრომელი ხალხის არც ერთი მოწინააღმდეგე.

გლეხი.

სოფ. მოხისი, გორის მაზრა

თავის სასარგებლოდ აჭახრაკებენ საქმეს

სოფელ მოხისის საბჭოს შემადგენლობაში, რაღაც მანქანებით შეპარულან ყოფილი „პომოშნიკი“, ძველი დროის მამასახლისის მარჯვენა ხელი ს. დაფნიძე, კულაკები გ. გოჩიაშვილი, [illegible] ნოზაძე და თამარა ნოზაძე. მიუხედავად [illegible] რომ ამათ თავიანთი წარსულით და აწ[illegible] საარჩევნო უფლებაც კი არ უნდა ქონოდათ, სოფლის ხელისუფლების საქმეც კი უგდიათ ხელში და თუ ვინმეს მათთვის რაიმე უწყენინებიათ, დღეს სამაგიეროს უხდიან.

მოვიყვანთ ამის მაგალითს. ამავე სოფლის გლეხი დ. ნავროზაშვილი, რომელიც სიღარიბის გამო იმყოფება თბილისში დროებით სამუშაოდ, შეეკითხა გ. გოჩიაშვილს, მიეცემოდა თუ არა მას თავისი კუთვნილი მიწის ნორმა, როგორც ფიზიკურ მუშას. გოჩიაშვილი მას შემდეგ პასუხს აძლევს: ვინაიდან შენ ჩემს ხელში ჩავარდი, მე ვიცი როგორ ნორმასაც მოგცემო.

რა თქმა უნდა, ნავროზაშვილისათვის ასეთი სიტყვები არ იყო მოულოდნელი, ვინაიდან მან მხოლოდ 1921 წელს დააღწია თავი თ. ნოზაძის ოჯახის სამსახურს, რომელიც ერთი უღელი ხარის მოხმარებაში ნავროზაშვილს სამ დღეს აბარინებდა ვენახს.

გარდა იმისა, რომ ეს კულაკები თავიანთ ტყავს იფარავენ საბჭოში, არც მოძმე ბობოლა გლეხობას სტოვებენ უყურადღებოდ. 1923 წელს მიწის კომიტეტმა სამოსახლო ადგილი მისცა ღარიბ გლეხს ლ. ამბოკაძეს. დღეს ძმებმა ქარუხნიშვილებმა დავა გაუმართეს და სასამართლოში არბეინებენ მას.

ქარუხნიშვილებს მენშევიკების ბატონობის დროს გაჩაღებული ვაჭრობა ჰქონდათ ს. მოხისში და ტყავს აძრობდენ გლეხობას. მიმდინარე წლის საბჭოთა არჩევნების დროს შავ სიაში იყვნენ შეტანილნი, რადგან დღესაც არ სტოვებენ ხალხის ყვლეფას. ქარუხნიშვილები მით არიან გათამამებულნი, რომ საბჭოში ზის მათი სიძე გ. გოჩიაშვილი და ილა ქარუხნიშვილის ცოლის და თამარა ნოზაძე.

სამაზრო აღმასკომმა ამას ყურადღება უნდა მიაქციოს.

ბქაური.

საზეიმო საღამო საგარეჯოში

ორ ოქტომბერს, საგარეჯოს რაიონის მშრომელმა გლეხობამ იდღესასწაულა მათი კედლის გაზეთ „სინათლე“-ს მე-100 ნომრის გამოცემა. დილიდანვე სოფელს მხიარულობა ეტყობოდა. საგარეჯოს უფრო თვალსაჩინო ქუჩები მორთული იყო წითელი დროშებით, პლაკატებით და „სინათლე“-ს ძველი სანიმუშო ნომრებით. გლეხობა თავს იყრის იმ ალაგას, სადაც უნდა გამოაკრან საიუბილეო ნომერი.

დაახლოვებით დილის ათ საათზე, გაზეთიც გამოჩნდა, რომელიც აურაცხელი გლეხები ათვალიერებდენ და კითხულობდენ.

საღამოს რვა საათზე, საზეიმო სხდომა იხსნება ადგილობრივ სახალხო თეატრში. პირველად მოხსენებით გამოდის რედკოლეგიის თავმჯდომარე ამხ. ალ. ბედიაშვილი, რომელიც აცნობს დამსწრეთ გაზეთის დაარსების ისტორიას და მის მუშაობას. შემდეგ იწყება მილოცვები ადგილობრივ დაწესებულებების წარმომადგენელთაგან და მისალოც წერილებისა და დეპეშების კითხვა, რასაც დამსწრენი ოვაციებით შეხვდენ.

განსაკუთრებულ ყურადღებას მიიპყრო გაზეთ „კომუნისტის“ და „ახალი სოფლის“ რედაქციების მილოცვამ. „ახალი სოფლის“ რედაქციამ მიიღო აგრეთვე შეფობა გაზეთ „სინათლეზე“.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა წარმოდგენა.

ივ. დრეიძე.

წერილებიდან

სოფ. ლეციცხვაიე, სენაკის მაზრა

ხელი შეუწყვეს საერთო საქმეს

სოფ. ლეციცხვაიეს 7 წლედის საადმშენებლო კომისია და მშრომელი გლეხობა უღრმეს მადლობას უძღვნის ქ. სოხუმის მცხ. არტ. გვალიას და იმ ამხანაგებს, რომელთაც გაიღეს თავიანთი წვლილი სასკოლო შენობის ასაგებად: არტ. რუსია 3 მან., ფ. კორძახია 3 მან., არტ. გვალია 10 მან., გიორგი სეტუშიძე 2 მ:, კონდ. ჩაგანავა 3 მან. ს. მაღლაკელიძე 3 მან., მ. გაბისონია 5 მ., აქვს. გაბისონია 5 მ., ალ. ჯახუა 2 მ:, ნ: ჯახაია 3 მან:, ლ. ძაგანია 5 მან., ათან. გოიაზნოვა 1 მ., ილ. ძაგანია 3 მან:, პ: ყალიჩავა 2 მან., ან. დიხამინჯია 2 მან., იგ. რატიანი 3 მან., ისს. ჯახუა 3 მან.; ან. წითლიძე 2 მან., ჯ. ჯოჯუა 3 მან., გრ: ხაინდრავა 2 მან., ანტ. ხარჩილავა 3 მან. და აქვს. წოწორია 5 მან. სულ საადმშენებლო კომისიამ მიიღო 73 მან.

საადმშენებლო კომისიის სახელით
ა. თოფურია.

დ. წალვერი, გორის მაზრა

ქოხ-სამკითხველო მოუწყობელია

დაბა წალვერში არის სამკითხველო, რომელშიაც საკმაოდ მოიპოვება წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, მაგრამ სხვა მხრივ სამკითხველოს მდგომარეობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. შენობის სახურავი უვარგისობის გამო ჩამოდის წყალი, არის უსუფთაობა და სხვა.

ამ სამკითხველოთი სარგებლობს როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ისე საგარაკოდ ჩამოსულებიც და ამიტომ საჭიროა მისთვის მეტი ყურადღების მიქცევა.

მ. გელაშვილი.

მანავი, თბილისის მაზრა

უმოქმედო გლეხკომი

კარგა ხანია, რაც სოფელ მანავში არსებობს გლეხკომი, მაგრამ მისი მუშაობა ყოველთვის მოიკოჭლებდა. საქმე იმაშია, რომ მისი ხელმძღვანელები ყოველთვის ზერელედ უყურებდენ გლეხკომს, რის გამო ის თითქმის ზედმეტ ბარგად მიაჩნდათ.

აღმასკომიც ნაკლებ ყურადღებას აქცევს გლეხკომს. თვით გლეხკომის მესვეურნი არ არიან გლეხკომის წევრები და აბა გლეხი, რომელიც ამას უყურებს, რასაკვირველია წევრად არას დროს არ შევა გლეხკომში.

მარტო სიღარიბის მოწმობების გაცემით და პელეში ორიოდე ფუთი სიმინდის თუ პურის შენახვით არ გამოიხატება გლეხკომის მუშაობა.

საჭიროა ხელმძღვანელების შერჩევა და სწორი ხელმძღვანელობა თემკომის და აღმასკომის მიერ.

გ. გარსიაშვილი.

საგარეჯოს თემი „ზარი-კახეთი

გახსენით ქოხ-სამკითხველოები

წარსულ წლებში სოფელ ნინოწმინდაში და ვაიოწმინდაში არსებობდა ქოხ-სამკითხველოები, რომლებშიაც აურაცხელი გლეხობა იყრიდა თავს და კითხულობდენ ჟურნალ-გაზეთებს, წელს კი ორივენი დაიკეტა.

გლეხობა მოითხოვს სამკითხველოს გახსნას, მაგრამ მათ არავინ ყურადღებას არ აქცევს.

საჭიროა ამ სოფლებში ისევ გაიხსნას ქოხ-სამკითხველო.

ივანიკა.

სოფლის ქრონიკა

— **აგრონომიული ბაზა.** ახალქალაქის აღმასკომი მაზრაში აწყობს აგრონომიულ ბაზას. ბაზის მოსაწყობად გადადებულია 15.000 მანეთი.

— **გლეხთა სახლი.** დუშეთში ნოემბრის პირველ რიცხვებში გაიხსნება გლეხთა სახლი.

— **მუშათა კლუბი.** ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულის დღის ტყიბულში გაიხსნება მუშათა ახალი კლუბი.

— **ინვალიდთა სახლი.** ფოთის აღმასკომი ახლო ხანში დაამთავრებს ინვალიდთა სახლის მოწყობას.

— **სანატორიუმი.** დამთავრდა გულრიპშის (აფხაზეთი), სანატორიუმის მოწყობა - შეკეთება.

— **გამოფენა.** ოქტომბრის დღესასწაულებისათვის ბათომში ეწყობა აჭარისტანის მიღწევების გამოფენა.

— **ჩაის მცენარეობა.** ოზურგეთის მაზრაში ამჟამად სწარმოებს ნიადაგის გამოკვლევა ჩაის ახალი პლანტაციების გასაშენებლად.

— **სკოლების შეკეთება.** წელს აჭარისტანში შეკეთებულ იქნა ყველა სასოფლო სკოლები.

მუშათა ცხოვრება

დღეს, 5 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, ჩვენი რედაქციის ბინაზე შესდგება გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა საერთო კრება. მუშკორთა ბიუროს წევრები უნდა გამოცხადდენ სრულ 5 საათზე

უბედურ შემთხვევების შესახებ

აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილება ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს ქალაქის ქუჩებში წესრიგის დასამყარებლად და უბედურ შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

მიუხედავად ამისა, უბედურ შემთხვევების რიცხვი თანდათან მატულობს, ტრამვაის რონოდების უწესო და არა თანაბარ მოძრაობას ბოლო არ ელება.

რასაკვირველია, ყოველ უბედურ შემთხვევებში არ შეიძლება ბრალი დავდოთ ვატმანებს. ხშირად მოქალაქენიც არღვევენ ქუჩებში მოძრაობის წესს, მაგრამ უფრო ხშირად, რომ დიდი დანაშაული მიუძღვით თვით ტრამვაის წამყვანებს, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ვატმანის ეს დანაშაული კი უმეტეს შემთხვევაში გამოწვეულია ტრამვაის დირექციის დაუდევრობით. დირექცია მთავარ ქუჩებზე ვერ ნიშნავს, საკმაოდ გამოცდილ ვატმანებს. ხშირად ისეთ ქუჩებზე, როგორიც არის პლეხანოვის და რუსთაველის პროსპექტები, მოწაფეებს ან ახალ ვატმანებს უშვებენ. ჩვენის აზრით, უბედურ შემთხვევების ერთ-ერთ მიზეზად, ეს გარემოება უნდა ჩაითვალოს.

მთავარ ხაზზე უნდა ინიშნებოდეს რაც შეიძლება ძველი და გამოცდილი ვატმანი. მოწაფეები და ახალი ვატმანები კი დირექციამ უნდა გაგზავნოს ისეთ ხაზზე, სადაც არ არის მაინცდამაინც დიდი მოძრაობა.

გარდა ამისა, ყველა მუშა რონოდებზე, რომლებსაც ხშირად მთავარ ქუჩებზე უხდებათ მოძრაობა, მუშაობენ ტრამვაის პარკის მუშები, რომლებსაც არავითარი გამოცდილება არა აქვთ ტრამვაის წაყვანაში. ეს ალბად იმით არის გამოწვეული, რომ პარკის მუშები ჯამაგირს ღებულობენ მეოთხე განაკვეთით, ნამდვილი ვატმანები კი მე-6 განაკვეთით .ისე, რომ დირექცია ამით მომჭირნეობას ატარებს, მაგრამ თუ ამას შეუძლია მოიტანოს როგორც ადამიანთა მსხვერპლი, ისე სხვა საგრძნობი ზარალი, ამას ანგარიშს არ უწევს.

პირველ ოქტომბერს, ღამის პირველ საათზე, სადგურის ქუჩაზე მომხდარ უბედური შემთხვევის მთავარი მიზეზიც სწორედ ეს არის. ეს იყო მუშა-რონოდა, რომელსაც მართავდა არაგამოცდილი ვატმანი, არამედ პარკის მუშა, რომელიც არ იყო კარგად გაცნობილი არც ტრამვაის მოწყობილობას და არც გზის მდგომარეობას. გამოუცდელ მუშის ვატმანად გაშვებას ყოველთვის შეუძლიან გამოიწვიოს უბედური შემთხვევა.

ტრამვაის დირექციამ ანგარიში უნდა გაუწიოს ამ გარემოებას და მომავალში უბედურ შემთხვევების თავიდან ასაცილებლად მიიღოს ზომები, რათა ყველა მუშა-რონოდებზე დანიშნული იქნენ გაწვრთნილი ვატმანები. ეს არ გამოიწვევს მაინც და მაინც დიდ ხარჯებს. უბედურ შემთხვევებიდან კი ნაწილობრივ უზრუნველყოფს.

ა. ენ—ძე.

ტრამვაელებში

1 ოქტომბერს, ტრამვაის მუშათა კლუბში შესდგა ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. დღის წესრიგში იყო: მოხსენება ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობის შესახებ და კოლექტიურ ხელშეკრულების ვადის გაგრძელება.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთეს ამხ. კაჭკაძე და ამხ. გოდაბრელიძემ .მათ ვრცლად გააცნეს დამსწრეთ ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობა და მოუწოდეს ყველას მხურვალე მონაწილეობა მიიღონ სესხის ობლიგაციების გავრცელებაში. კრებამ დაადგინა ტრამვაის ყველა მუშამ მოაწეროს ხელი აღნიშნულ სესხს და შეიძინოს მისი ობლიგაცია.

კოლექტიურ ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ ილაპარაკა ამხ. მარიამიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ოქტომბრის პირველს კოლექტიურ ხელშეკრულებას გაუვიდა ვადა. საჭიროა ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დადება, მაგრამ იმისათვის, რომ კავშირს საშუალება მიეცეს გადასინჯოს ძველი ხელშეკრულება და ახალი შეადგინოს უფრო სწორად, კომუნალურ მეურნეობის კავშირის ცენტრ. გამგეობამ საჭიროდ მიაჩნია კოლექტიურ ხელშეკრულებას გაუგრძელდეს ვადა მომავალ წლის პირველ იანვრამდე.

კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ დაადგინა:—კოლექტიური ხელშეკრულების ვადა გაგრძელებული იქნეს სამი თვით.

მუშკორი ს. ხოჯაევი.

გამოიყენეთ ადგილობრივი ძალა

(მთავარი სახელოსნო)

მთავარ სახელოსნოს სამჭედლო - სამქროში მეურვეს თანამდებობაზე გადმოიყვანეს სხვა საამქროს მუშები, რომლებსაც თავის დღეში არ უმუშავიათ სამჭედლოს სამქროში.

აღნიშნულ სამქროში კი ბევრნი არიან ისეთი მუშები, რომლებიც მრავალი ხნის განმავლობაში მუშაობენ ცეცხლში და დღე-დღეზე ელოდებიან სამუშაოს გამოცვლას და მეურვეთ გადაყვანას. არც სამქრო ადმინისტრაცია და არც ადგილკომი არ იწუხებენ თავს ცეცხლში მომუშავე მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მთავარ სახელოსნოს და კერძოდ კი სამქროს ადმინისტრაცია უნდა ცდილობდეს პირველ რიგში სამუშაო გააუმჯობესოს იმ სამქროს მუშას, რომელსაც ესაჭიროება ესა თუ ის ხელოსანი. შავი მუშები ნელნელა გამოყენებულ იქნენ ხელოსნებთან სამუშაოდ.

მუშკორი ზალიშვილი.

ეს დაწესებულება ზედმეტია*)

ახლო მომავალში რკინის გზებზე ჩატარდება ადმინისტრატიული ხარჯების 20 პროც. შემცირება. ეს ხელს შეუწყობს რკ. გზაზე ბიუროკრატიზმის მოსპობასა და გაბერილ შტატების შემოკლებას. რკ. გზებზე ბევრია ასეთი დაწესებულებანი, რომელთა გაუქმება დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს ტრანსპორტს. ასეთია გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა (უდრ) ანგარიშები, რომლის არსებობა რკინის გზებზე ზედმეტად უნდა ჩაითვალოს. ა.-კ. რწმუნებულების მოვალეობას შეადგენს მჭიდრო კავშირი იქონიონ რკ.გზ. პოლიტსამმართველოსთან შეათანხმონ შტატში ჩასარიცხი მუშა-მოსამსახურენი და სხ. უნდა ითქვას, რომ ამისათვის მთელი შტატის ყოლა გაუმართლებელია. ამ საქმის შესრულება შეუძლიანთ წითელ სპეცებს და სხვა დაწინაურებულ მუშებს.

ამ ორგანოების შესანახად აურაცხელი ფული იხარჯება .ეს იმ დროს, როდესაც თბილისში ბლომადაა საკონტროლო ორგანოები, რომელთა საშუალებით შეიძლება სხვადასხვა საკითხების მოგვარება - მოწესრიგება.

განსაკუთრებით მეორე რაიონში ეს დაწესებულება არ არის საჭირო. ის იწვევს ზედმეტ ხარჯებს და, გარდა ამისა, ხშირად ართულებს კიდეც საქმეს.

რაც შეეხება ამ დაწესებულების მიერ გაზეთში მოთავსებულ შენიშვნების გამოკვლევას. რომელზედაც მუშაობს ერთი კაცი, — ეს საქმე შეიძლება შეასრულოს, როგორც ადმინისტრატიულმა განყოფილებამ, ისე პროფკავშირის ორგანოებმა, მხოლოდ საამისოდ ცალკე კაცი უნდა ჰყავდეთ გამოყოფილი.

ამ მოვლენას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს როგორც რკ. გზის გამგეობამ. ისე საგზაო კომიტეტმა და გააუქმოს ის დაწესებულება, რომელიც თვეში 2.500 მან. ზედმეტ ხარჯს აძლევს რკინის გზას.

მუშკორი საქმის მცოდნე.

კუზიანს საფლავი გაასწორებს

სად. ჰალადიდის უფროსი მოქ. ასათიანი არა ერთხელ ყოფილა შენიშნული ბოროტმოქმედებაში და სხვა წესრიგის დარღვევაში. ის ბოროტმოქმედობის გამო სად. გურჯაანიდან გადაყვანილი იქნა პატარა, არა კომერციულ სადგურზე.

მაგრამ ასათიანი არც აქ ივიწყებს თავის ჩვეულებებს. ხშირად სვესვებით ანებებს თავს სადგურის მუშაობას და თავისი თანაშემწესთან ერთად მიეშურება სამიკიტნოში „ყელის გასაგრილებლად“.

ამას წინეთ მოქ. ასათიანმა საქეიფოდ წაიყვანა სამიკიტნოში თავის თანაშემწე გაბრიაძე. მორიგის ადგილზე კი დასტოვა სრულებით გამოუცდელი მეისრე. ცოტა ხნის შემდეგ სად. ქვალონმა მოითხოვა კვერთხი ამკრეფი მატარებლისათვის. კვერთხი მისცა მეისრემ და მატარებელი მიიღო დაკავებულ პირველ ლიანდაგზე. მემანქანის ყურადღებით და სასწრაფოდ მიღებულ ზომების წყალობით, მატარებლების დაჯახება აცილებულ იქნა. სამსახურისადმი ასეთი გულგრილობამ ასათიანის და გაბრიაძის მხრივ სისტემატიური ხასიათი მიიღო. მოქ. ასათიანის წარსულ და ახლანდელ მოქმედებებიდან სჩანს, რომ მას გზის ინტერესები არაფრად მიაჩნია. ის მავნე ელემენტია ტრანსპორტისათვის და შეუძლია სხვა პატიოსანი მშრომელიც ჩაითრიოს ჭუჭყში და ბოროტ საქმეებში.

ამიტომ რკ. გზის გამგეობამ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს მოქ. ასათიანის სამსახურიდან მოსახსნელად და მისი პასუხისგებაში მისაცემად.

მუშკორი რკინისგზელი.

„წითელი შოლტი“-ს ოთხი წლის თავი

2 ოქტომბერს, ავტო კლუბში, საქონლის სადგურის მტვ. მუშების კულტ. კომისიამ, კედლის გაზეთის № 46 „წითელი შოლტი“-ს ოთხი წლის თავის აღსანიშნავად, მოაწყო საზეიმო საღამო, რომელსაც დაესწრენ სატრანსპორტო კავშირის წარმომადგენლებიც. კლუბის დარბაზი მოფენილი იყო „წითელი შოლტი“-ს ნომრებით.

საზეიმო საღამოს ხსნის ამხ. სტეფანოვი.

კედლის გაზეთთან არსებულ მუშკორთა წრის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. კალანდაძე. მომხსენებელმა გააცნო დამსწრეთ კედლის გაზეთის მნიშვნელობა და აღნიშნა „წითელი შოლტი“-ს. როგორც მიღწევები, ისე ნაკლიც. ამის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა სატრ. კავშირის კულტგანყოფილების გამგემ, ამხ. ორჯონიკიძემ, რომელმაც აღნიშნა კედლის გაზეთის მნიშვნელობა კულტურულ დარგში და მოუწოდა ყველას ჩაებან მუშკორთა წრეში.

მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვეს აგრეთვე ამხ. ჯიბუტიმ, ელიაშვილმა და სხ. მისასალმებელი ლექსი წაიკითხა ამავე დარგის მუშამ ამხ. სოსო ხიდისთაველმა.

საზეიმო სხდომის შემდეგ სოსო ბიბურიშვილის ხელმძღვანელობით წარმოდგენილი იქნა ირაკ. ორბ. პიესები „ფიცი“ და „მონადირე“. წარმოდგენა კარგად ჩატარდა. კარგები იყვნენ ფილიპე ჯიბუტი (მოხუცი) ქვარელი (ყანი) და შ. ლორთქიფანიძე (ლიუსა), დასასრულ ამავე დარგის ქართლ-კახური მომღერალთა გუნდმა შარო თარხნიშვილის ხელმძღვანელობით შეასრულა სხვადასხვა სიმღერები, რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებელზე.

სოსო ხიდისთაველი.

---

*) საკითხის გარჩევის წესით.

რედ.

ტერიტორიალური ნაწილების მანევრები

(წერილი მანევრების ასპარეზიდან)

მიიწურა საერთო შეკრების ვადა. ერთი თვის განმავლობაში გაძლიერებული სამხედრო - პოლიტიკური მეცადინეობა, სწავლების უფრო პრაქტიკული მეთოდებით უნდა დაგვირგვინდეს. ცვალებადელი სოციალისტური სამშობლოს ყოველ დაძახილზე მზად უნდა იყოს. ცვალებადელი ამ მოკლე დროში ისე უნდა მომზადდეს, რომ გახდეს საკმაოთ გათვითცნობიერებული და გაწვრთნილი მებრძოლი.

* * *

29 სექტემბერს დაიწყო მანევრები. წინასწარ, როგორც ნაწილებში, ისე ზოგიერთ სამოქალაქო ორგანიზაციებში, ჩატარებული იქნა მოხსენებები მანევრების მნიშვნელობა - ამოცანების შესახებ.

სამხედრო ცოდნის და გამოცდილების გაღრმავება, ჩატარებულ სწავლების შედეგების პრაქტიკულად გამომჟღავნება, მოსახლეობასთან დაახლოვება და მოსახლეობის გასამხედროება — აი უმთავრესი ამოცანები მანევრების.

ყოველთვის მოძრავი და მომქმედი კომკავშირი აღფრთოვანებით ეგებება ქვეყნის თავდაცვისათვის მზადებას. ნაწილებს უერთდება მოხალისე კომუნარები.

შუაღამისას ბანაკი წამოიშალა და მწყობრ რაზმებათ გაემართა „ბრძოლის“ ველისაკენ. ისმის ცხენების ფეხთა თქარა - თქური, მძიმე და მსუბუქ ქვემეხების (ზარბაზნების) მოძრაობის ხმაური, ჯავშნოსან ავტომობილების გრიალი და სხვა. იქმნება რაღაც არაჩვეულებრივი რიტმი მხედრული მოძრაობისა. „წითლებს“ წინასწარ აქვთ დაკავებული პოზიცია, ისინი გამაგრებული არიან მოგერიებისთვის. „ლურჯები“ მიდიან შეტევაზე. შეტევის სამი საფეხური უნდა იქმნას განვლილი: 1) მოძრაობა მიახლოვებამდე (ამ დროს შეიძლება ნაწილების რაზმეულად სვლა, მოსახლეობისათვის საუბრების, წარმოდგენების, კინოსა და სხვათა მოწყობა), 2) მიახლოვება (ეს ის პერიოდია, როდესაც ლაშქარი მოქცეულია „მოწინააღმდეგის“ არტილერიის შორეული ცეცხლის სფეროში, აქედან უკვე იწყება ლაშქრის გადაჯგუფება და უახლოეს მიახლოვებისათვის მზადება, შეხამება, შენიღბვა და სხვა), 3) მიახლოვება თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლის მანძილზე და იერიშზე გადასვლა.

* * *

იოიჟრაჟა. ნაწილები სოფლის მახლობლად ისვენებს. სოფელმა გაიღვიძა. თოფებ გადაკიდებულმა ბავშვებმა გამორეკეს ნახირი. აგერ დედაკაცები ხბოებს მირეკებიან, იქით შინაურ ფრინველებს უხმობენ, აქ კიდევ რამოდენიმე დედაკაცი , მხრებზე კოკებ - შემოდგმული წყაროსაკენ მიემართებიან. ჭრელი პირსახოცებით ტუჩებ - აკრული მოხუცი დედაკაცები ფუსფუსებენ. საბძელს მოფარებული, კუთხიდან ცნობის მოყვარე უძლევ შავ-გორახა თვალებით იცქირება ტანსახლეტილი და წვივებ - შეტრუსული ყმაწვილი ქალი. მიწაში შეფლულ და ძველებური ზანიან სახლებიდან გამოძვრენ ტიტლიკანა ბავშვები. გლეხი იწყებს თავის შეუწყვეტელ გარჯას. ისმის შემოძახილი „შამოო“...

* * *

ცალკ - ცალკე და ჯგუფ - ჯგუფად წითელ არმიელები, მეთაურები და პოლიტმუშაკები მართავენ მშრომელებთან საუბარს. ეცნობიან სოფლის ჭირ - ვარამს. უხსნიან მანევრების მნიშვნელობას, ესაუბრებიან საერთაშორისო, გასამხედროების და სხვა საჭირბოროტო საკითხების ირგვლივ. წითელ არმიელები განსაკუთრებული სიფრთხილით ეპყრობიან გლეხების ქირნახულს. ხეხილს და ყურძენს ხელსაც არ ახლებენ, იმ შემთხვევაში, როდესაც გლეხი თავის ნებით მატიკებს — წითელ არმიელები ძალით იღებიან სათასურს. მადლიერი გლეხობა „ილოცება“ და „თქვენი ჭირიმე ბიჭებო“-თი გულუხვობს.

* * *

ამ დროს მოისმის მოტორიან არწივების ხრიალი, პროპელერები გამძაფრებით მკვეთავენ ჰაერს და ფოლადის ფრთები მიაპობს სივრცეებს. აეროპლანები „მოწინააღმდეგისაა“. წითელ არმიელები ეხამებიან ადგილმდებარეობას, რათა შეუმჩნეველი დარჩენ საჰაერო მზვერავისაგან. ჰაეროპლანებმა სოფელს „ყუმბარები“ „ესროლა“. დიდხანს და გულმოდგინეთ უტრიალებდენ „ლურჯების“ მხარეს, შემდეგ ისევ წითლებისაკენ გადაფრინდენ და რაღაცა აინშნეს. საღამოსას ნაწილები მოსახლეობისთვის მართავენ წარმოდგენებს, უჩვენებენ კინო - სურათებს, ურიგებენ წიგნებსა და პლაკატებს, ამოქმედებენ ხაგიტაციო საბარგულებს და სხვა.

* * *

მეორე დღისთვის ჰაეროპლანები ისევ დასტრიალებენ „ბრძოლის“ ველს. „მოპირდაპირეების“ მზვერავთა რაზმები ხვდებიან ერთმანეთს. ისვრიან თოფებს, დრო და დრო ისმის ქვემეხების გრუხუნი. საღამოსას არტილერიის ცეცხლი ძლიერდება. სწარმოებს თანდათანი მიახლოვება. ღამე ცოტა ხნით ძლიერი ქარი და წვიმა მოჰყიდა, ეს, რასაკვირველია, ხელს არ უშლის წითელარმიელებს და ისინი მიისწრაფვიან გადამწყვეტ „შეტაკებისაკენ“. შუაღამისას ნაწილები საბრძოლო განწესრიგებით კვლავ მიუახლოვდენ უშუალო „ბრძოლის“ ხაზს. დილიდან იწყება ჯგუფური ტაქტიკით შეტევითა და მოგერიებითი „ბრძოლა“. გაღმით მოსჩანს კვადრატიულ სივრცეზე ჭადრაკისებურ წყობით ჯგუფებათ მიმოფანტული მომგერიებელი მხარე. ამოღმით ასეთივე ჯგუფებათ გაშლილია შემტევი ნაწილები, რომელმაც უნდა მოახდინოს „მოპირდაპირის“ ფრონტის გარღვევა. მისცეს [illegible], იქუხა თოფებმა, აკაკანდა ტყვიამფრქვევები, აგრუხუნდენ ორივე მხრივ ქვემეხები; ზოგი ესვრიან ერთმანეთს საზუდოებს, ზოგი ცეცხლს უხსნის მომგერიებელ მხარის მოწინავე ძალებს, რათა შემტევ ნაწილებს წინსვლა აუადვილოს. ასე იქცევა მომგერიებლის ქვემეხებიც, ცდილობს შემტევი ნაწილების წინსვლას ხელი შეუშალოს. „მოპირდაპირეების“ ერთის - მეტად დაახლოვების მომენტში, არტილერიას ცეცხლი გადააქვს შემდეგ ზოლებში. შემტევის პირველი რაზმეული (ეშელონი) თავს ესხმის მომგერიებლის მოწინავე ძალებს. ინიციატივა შემტევის ხელშია. მომგერიებელი ძალებს იკრებს და კედაროებიდან ცდილობს კონტრ - იერიშზე გადასვლას, მაგრამ რაზმეული დაჯგუფებულია ისე, რომ იბრძვის წინაც და კედაროებსაკენაც. შემტევი მხარის პირველ რაზმეულს (ეშელონს) მიჰყვება მეორე რაზმეული. პირველი რაზმეულის და მომგერიებელი მხარის მოწინავე ძალების „დარჩენილი“ ნაწილი ბრძოლას განაგრძობენ კედაროთი. მეორე რაზმეული თავს ესხმის მომგერიებელთა შემდეგ ჯგუფებს. მომგერიებელი ჯგუფები საპირო წინააღმდეგობას უწევენ, მაგრამ შემტევი რაზმეულის გაცხოველებული იერიშის გამო იძულებული ხდებიან კედაროზე გადავიდენ და იქიდან გაუხსნან ცეცხლი. მაგრამ მეორე რაზმეულიც ისეა დაჯგუფებული, რომ „მოწინააღმდეგეს“ კედაროს მხრითაც „ებრძვის“. მეორე რაზმეულს მიჰყვება მესამე, მეოთხე და სხვა დამცველი რაზმეულები. გზადაგზა სხვადასხვა საბრძოლო იარაღების გამოყენებით — დაახლოვებით მეორდება ბრძოლის პირველი სახეები. „ბრძოლა“ გრძელდება მანამ, სანამ შემტევი მხარე მართლაც გაარღვიდეს ამ კვადრატიულ სივრცეზე გაშლილ ფრონტს და ხელთ იგდებდეს მომგერიებლის არტილერიას. რასაკვირველია, მომგერიებლი მხარეც ცდილობს ყოველ შესაძლებელ მომენტში გადმოვიდეს კონტრ - შეტევაზე.

* * *

მანევრები დასრულდა. თვითეულმა მონაწილემ პრაქტიკულად დაინახა ბრძოლის სხვადასხვა მომენტები და განსაკუთრებით ველთა ჯგუფური ტაქტიკით ბრძოლის წარმოება. მანევრები მეტის მეტი ნაყოფიერებით ჩატარდა. ცვალებადელებმა დაამტკიცეს, რომ ისინი ამ მოკლე დროში დიდის ენერგიით ეკიდებოდენ სწავლებას და კიდევაც მიიღეს სათანადო ცოდნა. ისინი ამ ცოდნას უფრო გააღრმავებენ თავიანთ სოფლებსა და წარმოებებში; გაუზიარებენ მას სხვებსაც და ამით მოსახლეობის გასამხედროების საქმეს უფრო დააჩქარებენ.

ლ. კალანდაძე.

ამხ. ვ. კოგალიას ხსოვნას

23 სექტემბერს, არამიანცის სახელობის საავადმყოფოში გარდაიცვალა ს. კუმისის 4 წლიან შრ. სკ. მასწავლებელი ვალიკო მურზას ძე კოგალია. მან თავისი დაუშრეტელი ენერგიით დიდი ნდობა მოიპოვა, როგორც თავის მოწაფეთა შორის, ისე გლეხებში.

ამხ. ვალიკო მარტო მასწავლებლობით როდი კმაყოფილდებოდა. ის თავისუფალ დროს დიდი ინტერესით ასრულებდა გლეხკომის ყოველ დავალებას. დიდი მუშაობა მიუძღოდა აგრეთვე ყოველგვარ საზოგადო შრომაში, რითაც როგორც მასწავლებელთა შორის, ისე გლეხობის თანაგრძნობა დაიმსახურა.

ამხ. ვალიკო ჯერ სრულიად ახალგაზრდა. (21 წლის) იყო და დიდ იმედებს იძლეოდა ,მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა უდროოდ გამოასალმა წუთი-სოფელს.

ჩვენთვის, მისი პირადი ამხანაგებისათვის, მით უფრო სამძიმოა ამხ. ვალიკოს დაკარგვა.

მშვიდობით ძვირფასო ამხანაგო!

მ. გვანცელაძე.

ინდუსტრიალიზაციის სესხი

ობლიგაციების გასაღება

შაბათს, 1 ოქტომბერს შესდგა ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკში ხსენებულ ბანკის და საქ. სამ. სამ. ბანკის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება, რომელზედაც ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ჩხენკელმა. მომხსენებელი ვრცლათ შეეხო, თუ რა მნიშვნელობა ეძლევა ინდუსტრიალიზაციის სესხს, ქვეყნის წარმოების გაძლიერების საქმეში და მოუწოდა კრების მონაწილეთ შეიძინონ ობლიგაციები. კრებამ სესხზე ხელის მოწერის კამპანიის მოწყობა დაავალა ორივე ბანკის ადგილკომებს. ორშაბათს, 3 ოქტომბერს, საქ. სას.-სამ. ბანკის ადგილკომმა დიდის წარმატებით ჩაატარა სესხზე ხელის მოწერის კამპანია. სესხზე ხელი მოაწერა თანამშრომელთა 100 პროც. სულ შეძენილი იქნა 1000 მანეთის ობლიგაციები. ამჟამად მიმდინარეობს თანამშრომელთა მიერ განმეორებით ხელის მოწერა სესხზე.

ამხ. ბეკზადიანი სპარსეთთან დადებულ ხელშეკრულების შესახებ

ა.-კ. ვაჭრობის კომისარმა ამხ. ბეკზადიანმა, ჩვენს თანამშრომელთან საუბარში შემდეგი განაცხადა სპარსეთთან დადებულ ხელშეკრულების შესახებ:

ოსმალეთთან ხელშეკრულობის დადება ინგლის საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტისთანავე და შემდეგ სპარსეთთანაც იმ დროს, როდესაც საფრანგეთის ბურჟუაზიული წრეები აწარმოებენ ანტი-საბჭოთა კამპანიას—საუკეთესო პასუხია იმპერიალიზმისათვის, რომელიც ცდილობს საბჭოთა კავშირის იზოლიაციას. მეორე მხრივ ეს აქტი ამტკიცებს აღმ. ქვეყნების კეთილ განწყობილებას საბჭოთა კავშირისადმი. აღმოსავლეთის ქვეყნები გრძნობენ საბჭოთა კავშირთან ნორმალურ ურთიერთობის დამყარების საჭიროებას.

ოსმალეთ-საბჭოთა და სპარსეთ-საბჭოთა ხელშეკრულებებმა, კიდევ ერთხელ ჩასცა განმანადგურებელი მახვილი ბურჟუაზიულ დიპლომატიას. სასიხარულოა, რომ სპარსეთთან მოლაპარაკება, რომელიც ასე გაგრძელდა, დამთავრდა ორივე მხარისათვის სასურველათ.

სპარსეთ-ოსმალეთის მოსაზღვრე ამიერ-კავკასია მოწოდებულია განახორციელოს ხელშეკრულობიდან გამომდინარე დიდმნიშვნელოვანი ამოცანები. საბჭოთა ა.-კავკ. ყოველმხრივ შეუწყობს ხელს—საბჭოთა კავშირის და სპარსეთის საქონლის ბრუნვის გაფართოებას. ახლათ დადებული ხელშეკრულობა კიდევ უფრო განამტკიცებს არსებულ სავაჭრო ურთიერთობას და დიდათ შეუწყობს ხელს სპარსეთის სახალხო მეურნეობის აღორძინებას. სპარსეთის სოფლის მეურნეობის განვითარება გააძლიერებს მისს მსყიდველობითი უნარიანობას, რაც თავის თავად გამოიწვევს საბჭოთა ექსპორტის გაძლიერებას.

ამაში მდგომარეობს ხელშეკრულობის სარგებლიანობა ორივე ქვეყნისათვის.

ხელშეკრულობის დადების შემდეგ, საბჭოთა სამეურნეო ორგანოებმა უნდა გააფართოონ თავისი მუშაობა და სპარსეთის ვაჭრებთან უნდა დაამყარონ უფრო მჭიდრო ურთიერთობა.

უნდა განვაცხადო, რომ საბჭოთა სამეურნეო ორგანოების მუშაობა სპარსეთში მე წარმოდგენილი მაქვს როგორც სპარსეთის ვაჭრების მუშაობის დამატება, რომელიც ეხმარება და უადვილებს მათ საქმიანობას, ასრულებს რა — როგორც საექსპორტო, ისე საიმპორტო დავალებებს საკომისიო საფუძვლებზე.

მე მრწამს, რომ სპარსეთის ვაჭრებსა და საბჭოთა სამეურნეო ორგანოებს შორის ადგილი არ ექნება კონკურენციას. საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციები ხელს შეუწყობენ სპარსეთთან სათანადო ურთიერთობის განმტკიცებას.

ამ რწმენით ვესალმებით მოლაპარაკების გამარჯვებით დაბოლოვებას, რაც ისტორიის დიდ მნიშვნელოვან აქტში გამოიხატა.

სახკომსაბჭოში

2,000 მან. კოლექტიურ მეურნეობათ

სახკომსაბჭომ დაავალა ამხ. ვ. ცაგარელს, მიიღოს საქართველოს კოლექტიურ მეურნეობისათვის გადადებული თანხა 2.000 მან. რაოდენობით და გადასცეს იგი საქართველოს კოლექტიურ მეურნეობათა ბიუროს.

ჭაობის ამოშრობა ჭიათურის რკ. გ. სადგურთან

სახკომსაბჭომ მიმართა ა.-კ. გზათა სამმართველოს ჭიათურის რკ. გზის სადგურთან არსებული ჭაობი, როგორც განთვისებულ ზოლში მდებარე, ამოშრობილ იქნეს ა.-კ. რკ. გზათა სამმართველოს მიერ.

ზეკარის გზის ხიდების შეკეთება

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ქუთაისის სამაზრო აღმასკომს წარადგინოს სახკომსაბჭოში. სახ. საგეგმო კომისიის მეშვეობით, ზეკარის გზაზე არსებულ ხიდების შეკეთების ტეხნიკური ხარჯთ-აღრიცხვა.

ქაღალდის ქარხანა

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ს.მ.უ.ს. წარადგინოს სახკომსაბჭოში ახალი პროექტი საახალშენო კომიტეტის დებულებისა და პროექტი ასაგებ ქაღალდის ქარხნის სამუშაოთა მთავარი ინჟინერის სამმართველოს შესახებ.

მზადება ოქტომბრის რევოლიუციის 10 წ. თავისთვის

ცეკავშირში

ცეკავშირის გამგეობა ემზადება ოქტომბრის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებათ. [illegible] სამომხმარებლო კოოპერატივებს და რაიონულ ინსტრუქტორებს მან დაუგზავნა ცირკულიარები, სადაც განმარტებულია, თუ რაში უნდა გამოიხატოს კოოპერაციის მონაწილეობა ოქტომბრის დღესასწაულში და როგორ უნდა იქნეს ის ჩატარებული.

ცირკულიარებში ნათქვამია, რომ ყველა კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა ეს დღესასწაული ისე უნდა ჩაატარონ ისე, რომ კოოპერაციაში შეკავშირებულმა მშრომელთა მასამ ნათლად წარმოიდგინოს ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობა და ის მიღწევები, რომელიც ოქტომბერმა მიანიჭა კოოპერაციას. ამ დღეს მშრომელთა მასა უნდა გაეცნოს საერთოდ საბჭოთა კოოპერაციას და კერძოდ ადგილობრივ კოოპერატივების მიღწევებს და მომავალ პერსპექტივებს.

სპეციალურად ამ დღის აღსანიშნავად გამოვა წიგნები: „კოოპერაციის განვითარების გზები“, „კოოპერაციის ისტორია, თეორია და პრაქტიკა“ — 178 სურათით და ოქტომბრის რევოლიუციის ბელადთა ალბომით და სხვა.

ამასთანავე გამოიცემა პლაკატები და ლოზუნგები დასურათებულ ქაღალდზე.

ოქტომბრის რევოლიუციის ისტორიის შემსწავლელი წრე

ს. ორჯონიკიძის სახელობის რკინისგზელთა კლუბთან 10 ოქტომბრიდან არსდება ქართულ და რუსულ ენებზე ოქტომბრის რევოლიუციის ისტორიის შემსწავლელი წრე.

წრეში ჩაწერა შეიძლება კლუბში 5 ოქტომბრამდე.

უროლოგიური ამბულატორია

1924 წლამდე საქართველოში არ არსებობდა სპეციალური სამკურნალო დაწესებულება უროლოგიურ (უროლოგია—ქირურგიის დარგი, რომელიც აწარმოებს საშარდე ორგანოების დაავადებათა შესწავლას და მკურნალობას); ავადმყოფთათვის. საშარდე ორგანოების დაავადებათა შესწავლა და მკურნალობა ამ დროშ და ევროპაში და რუსეთის ზოგიერთ უნივერსიტეტებში არ ყოფილა დამყარებული, შემოღებულ სპეციალურ მეთოდებზე. ამავე დროს ქირურგიის ამ დარგის შესწავლა მოითხოვს სრულიად განსაკუთრებულ სპეციალურ დიაგნოსტიურ საშუალებებს, როგორც მაგ. ცისტოსკოპია (შარდბუშტის ელექტრონით გაშუქება სპეციალური ინსტრუმენტების საშუალებით). ურეტროსკოპია (შარდსადინარის ელექტრო - შუქით განათება), პიელოგრაფია— (თირკმელების მენჯების სურათის გადაღება რენტგენის სხივების საშუალებით) და სხვა.

ჩვენში საშარდე ორგანოების დაავადებათა შესწავლა და მკურნალობა თანამედროვე მეთოდებით დაიწყო 1924 წლიდან, როდესაც პროფ. გ. მ. მუხაძის თაოსნობით და ხელმძღვანელობით ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტში (ყოფ. მიხეილის საავადმყოფო) ჰოსპიტალურ ქირურგიულ კლინიკასთან მოეწყო უროლოგიური განყოფილება, მწოლიარე ავადმყოფებისათვის.

ამა წლის 1 ოქტომბრიდან ამავე ინსტიტუტში გაიხსნა უროლოგიური ამბულატორია, სადაც უფასოთ სწარმოებს მოსიარულე უროლოგიურ ავადმყოფთა, როგორც შესწავლა (ცისტოსკოპია, ურეტროსკოპია, პიელოგრაფია და სხვ.), ისე სპეციალური მკურნალობა.

ასეთი დაწესებულება პირველია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერ-კავკასიის ფედერაციაში და იგი უსათუოდ დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ქ. ვ.

პოლიგრაფ-ტრესტის წარმოებათა კონცენტრაცია

სახალხო მეურ. უმ. საბჭომ დაადგინა წარმოების რაციონალიზაციის მიზნით მოახდინოს პოლიგრაფიულ ტრესტის წარმოებათა კონცენტრაცია. პოლიგრაფიულ ტრესტს დაევალა წარმოების კონცენტრაციის საკითხი დაამუშაოს საწარმოო თათბირებზე და შეუთანხმოს სათანადო კავშირებს.

სამრეწველო - საგეგმო კომისიას დაევალა დაჩქარებით წარმოადგინოს აღნიშნულ წარმოებათა კონცენტრაციის გეგმა და ამავე დროს პოლიგრაფიულ ტრესტთან ერთად დაამუშაოს 1927—28 საანგარიშო წელში პოლიგრაფიულ ნაწარმოებებზე ფასების დაკლების საკითხი წიგნის და სხვა საბეჭდ მასალების გაიაფების მიზნით.

ბეჭდვითი ნაწარმოებებზე ფასების დაკლებასთან დაკავშირებით, იმავე განყოფილებას და ტრესტს წინადადება მიეცათ ორი კვირის განმავლობაში გამოარკვიონ პოლიგრაფიულ წარმოებების დავალიანებათა რაოდენობა.

ხორცის გასაიაფებლად

უკანასკნელ ხანებში თბილისში ადგილი აქვს საქლავ საქონლის შემორეკვის გაძლიერებას. ამის გამო კერძო ბაზარზე ხორცის ფასს დაკლება ემჩნევა.

ხორცის დამამზადებელი ორგანიზაციები კი ჯერ ისევ ძველ ფასებში აწვდიან ხორცს მომხმარებლებს.

ამის გამო, თბილისის მუშკოოპის წარმომადგენელმა თბილისის საქონლის ბირჟის ხორცეულის სექციის უკანასკნელ სხდომაზე აღძრა საკითხი, რათა ხორცის დამამზადებელმა ორგანიზაციებმა, რომლებიც აწვდიან ხორცს სამომხმარებლო კოოპერატივებს, შეამცირონ ფასები ხორცზე.

სექციამ სასურველად სცნო ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა და წინადადება მისცა ხორცის დამამზადებელ ორგანიზაციებს მოკლე ხანში წარუდგინოს სექციას მასალები ხორცის ფასების კალკულიაციის გადასასინჯად.

კალკულიაციის საკითხს სექცია განიხილავს მორიგ სხდომაზე და გადასცემს მას დასამტკიცებლად ვაჭრობის კომისარიატს.

საქართველოს საბჭოების წევრ მუშა და გლეხ ქალების პირველი ყრილობა

მეორე დღე

დილის სხდომა

სახალხო ჯანმრთელობა

(მომხსენებელი ამხ. ბ. კუჭაიძე)

თუ რამდენად წინ მიდის ჩვენში სახალხო-ჯანმრთელობის დაცვის საქმე,—ამბობს მომხსენებელი, მოწმობს სახ. ჯანმრთელობის ბიუჯეტის თანდათანობითი ზრდა. თუ 1925-26 წელს ჯანმრთელობის საქმისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადაიდო 1.500.000 მანეთი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან—2.900.000 მან., 1926-27 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საწოლთა რიცხვი 1985-დან გაიზარდა 4.265-მდე; გადიდდა აგრეთვე საექიმო პუნქტების რიცხვი, რომელიც ამჟამად 885 უდრის (ომამდე იყო 38); საფერშლო პუნქტების—143; მოწყობილია 57 საექიმო კაბინეტი; ომამდე კი ასეთი კაბინეტები 4 არ აღემატებოდა. გარდა ამისა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში იგზავნებოდა თვალთა, ყურთა და სხვა სპეც. სნეულებათა რაზმები, გინეკოლოგიური რაზმები და სხვა. ამავე პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა და გაფართოვდა სოციალური დაზღვევა და დაზღვეულთა დახმარება. გადადებულია თანხა შეადგენს 1,700,000 მან., ხოლო ადგილობრივიდან—3,500,000 მან. ანუ 11 პროც: მეტს. ომამდე ყოველ მცხოვრებზე ჯანმრთელობაზე ჩვენში იხარჯებოდა სულ 58 კაპიკი; ამჟამად კი 2 მან. 58 კაპიკი. ბიუჯეტის გადიდებამ ჯანმრთელობის კომისარიატს საშუალება მისცა გაეფართოებია და გაეუმჯობესებია როგორც საექიმო დახმარების საქმე, ისე პროფილაქტიური ღონისძიებები. თუ ომამდე საქართველოში საავადმყოფოების რიცხვი 40 არ აღემატებოდა, ეხლა მათი რაოდენობა 83 აღის,

ამჟამად დაზღვეულთა რიცხვი 386 ათასს აღწევს. საექიმო და სამკურნალო დახმარება საგრძნობლად გაუმჯობესდა. წინ წაიწია აგრეთვე მედიკამენტების და წამლების მომარაგებამ. თუ ომამდე მედიკამენტების 95 პროც. უცხოეთიდან შემოდიოდა; ამჟამად ჩვენს მოთხოვნილების 75 პროც. ვაკმაყოფილებთ ადგილობრივ დამზადებულ საუკეთესო ღირსების მედიკამენტებით. ექიმთა რიცხვიც სწრაფი ტემპით იზრდება; უმჯობესდება მათი კვალიფიკაციაც და სპეციალობაც. ეხლა საქართველოში მუშაობს უკვე 1389 ექიმი—სხვადასხვა სპეციალობისა. თანდათან უმჯობესდება ექიმთა სამუშაო პირობებიც. სოფლად წასულ ექიმებს ეძლევათ მთელი რიგი შეღავათებისა, რის გამო მათი რაოდენობა სოფლად იზრდება, ამჟამად რაიონების დიდ უმრავლესობას ჰყავს სხვადასხვა სპეციალობის ექიმი, ამასთან ერთად სწარმოებდა და სწარმოებს დიდი პროფილაქტიური მუშაობა; ხდება მუშა-მოსამსახურეების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, მათი სისტემატიური მიგლინება აგარაკებზე, მალარიის ბუდეების—დაჭაობებულ ადგილების ამოშრობა, სწარმოებს სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობა და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება კომისარიატი სოციალურ სნეულებებთან ბრძოლას და მათ შორის, ვენერიულ ავადმყოფობასთან საწინააღმდეგო ღონისძიებებს. იხსნება სპეციალური დისპანსერები, იგზავნება საგანგებო ექსპედიციები და სწარმოებს ენერგიული მუშაობა ვენერიულ ავადმყოფობის მთავარ მიზეზის—პროსტიტუციის მოსასპობად. ამ მიზნით იხსნება სპეც. პროფილაქტორები, ეწყობა სახელოსნოები, სადაც სამუშაოდ იგზავნებიან გაჭირვების გამო ქუჩაში სამეძავოდ გამოსული ქალები და სხვ.

კერძოთ, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი მიზნათ ისახავდა მუშა და გლეხ ქალთა ჯანმრთელობის დაცვას. ამ მიზნით ეწყობოდა დედათა და ბავშვთა კონსულტაციები, იგზავნებოდა სოფლათ ექიმი-გინეკოლოგები და მეანე ქალები, ქარხნებთან და წარმოებებთან ეწყობოდა ძუძუმწოვართა ბაგები. ყველა ამ ღონისძიებებმა შესამჩნევად გააუმჯობესეს ქალთა და ბავშვთა ჯანმრთელობა; რის გამოც სიკვდილიანობამ იკლო. თუ 1912 წელს ჩვენში ბავშვთა სიკვდილიანობა 23 პროც. უდრიდა, 1925 წელს იგი 13,7 პროც. დავიდა: თუ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური წარმატება ჩქარი ტემპით წავიდა და სახალხო ჯანმრთელობის ბიუჯეტი იმავე ტემპით გაიზარდა, უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ ჯანმრთელობის დაცვის საქმე ჩვენში მკვიდრს ნიადაგზე დადგება (ტაში).

კამათი ამხ. კუჭაიძის მოხსენების გარშემო

ამხ. კუჭაიძის მოხსენებამ გამოიწვია გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა. დეპუტატი ქალები ჯანმრთელობის კომისარიატის ყურადღებას მიაქცევდენ შემდეგ გარემოებებზე: საჭიროდ სცნობდენ სოფლად ექიმთა რიცხვის გადიდებას, ადგილობრივ ენის მცოდნე მედპერსონალის გაგზავნას, განსაკუთრებით მეანე ქალებისას, ფრომლისობა ფართო ასპარეზს უხსნის ექიმბაშებს, რომელნიც მსხვერპლად იწირავენ ჩამორჩენილი კუთხეების უვიც მოსახლეობას,

ოპონენტები მოითხოვდენ აგრეთვე, გაძლიერდეს მუშაობა ბავშვთა და დედათა კონსულტაციების მოსაწყობად, საავადმყოფოებში საწოლთა რიცხვის გასადიდებლად; გახშირდეს აგრეთვე სპეციალური ექსპედიციების მივლინება, მიყრუებულ კუთხეებში, ქინაქინის და სხვა სამკურნალო წამლების მიწოდება და სხვ. კერძოთ ამხ. ვ. ჯაფარიძემ საჭიროდ სცნოს დაიწყოს მუშაობა ჩვენი ქალების გასასამხედროებლად, რაც შემდეგში უნდა გამოიხატოს;—ქალებმა უნდა შეისწავლონ ავადმყოფთა პირველი დახმარების აღმოჩენა, დაჭრილთა მოვლა-წამლობა, ჭრილობის შეხვევა; წითელარმიელებისთვის ტანსაცმელის შეკერვა და სხვ.

კამათი დამთავრდა ამხ. კუჭაიძის საბოლოო სიტყვით, სადაც მან აღნიშნა, რომ კომისარიატი თავის მუშაობას საფუძვლად დაუდებს ყრილობის დელეგატების მიერ უაღრესად საქმიან შენიშვნებს და მოსაზრებებს.

სხდომის დასასრულ ყრილობამ მიიღო ამხ. კალინინისადმი და სომხეთ-აზერბეიჯანის ქალთა ყრილობებისადმი გასაგზავნ დეპეშების ტექსტი.

საღამოს სხდომა

სახალხო განათლება საქართველოში

(ამხ. გ. გოგუაძის მოხსენება)

მომხსენებელი აკეთებს სახალხო განათლების საერთო მდგომარეობის ზოგად მიმოხილვას და ვრცლად ჩერდება ჩვენი სასკოლო ცხოვრების იმ საკითხებზე, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებული არიან ქალთა საზოგადოებრივი მოღვაწეობის საკითხებთან. მომხსენებელი მიმოხილვას იწყებს ჩვენი სასკოლო სისტემის ძირითად საფეხურიდან,—პირველად იგი ეხება სკოლის შასაკამდე აღზრდას, რომელსაც მომხსენებლის სიტყვით, გასაბჭოებამდე საქართველოში თითქმის არავითარი ტრადიციები არ ჰქონია. მიუხედავათ ამ საქმის სიახლისა, სკოლის შასაკამდე აღზრდის საქმეში მიღწეულია დიდი შედეგები. სკოლის შასაკამდე აღზრდას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კერძოთ ქალთა განთავისუფლებისა და მის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოყვანისათვის. საბავშვო ბაღში ბავშვის მიბარებით, მშრომელი ქალი თავისუფლდება იმ მრავალგვარი მზრუნველობითი შრომისაგან, რომელსაც ბავშვი მისგან მოითხოვს, რითაც მას—ქალს საშუალება ეძლევა თავის ენერგია მოახმაროს სათემო-სამეურნეო საქმეებს და, რაც მთავარია საზოგადოებრივ - პოლიტიკურ მოღვაწეობას. მეორე მხრივ თვით ბავშვი, საბავშვო დაწესებულებებში ღებულობს უკეთესს აღზრდას, ან უფრო უკეთ ემზადება სკოლისათვის, სწორედ ამ გარემოებით ხელმძღვანელობდა განათლების კომისარიატი, როცა მთავარ ყურადღებას აქცევდა სკოლის შასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა ორგანიზაციას საქართველოში, გასაბჭოებამდე ჩვენში არსებობდა მხოლოდ 2 საბავშვო ბაღი, ამჟამად საქართველოში არსებობს 76 საბავშვო ბაღი, მაგრამ ეს რიცხვი კომისარიატს არ მიაჩნია საკმარისად და განზრახულია საბავშვო ბაღების გამრავლება, პირველ რიგში,—მაზრებში. ბაღებს გარდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოწყობილია კიდევ 47 საბავშვო სახლი, სადაც სხვა ბავშვებთან ერთად სახელმწიფო ხარჯზე იზრდებიან ობოლი—უპატრონო ბავშვები და ღარიბი გლეხების შვილები.

ჩვენს სასკოლო სისტემაში შემდეგ საფეხურს წარმოადგენს პირველი საფეხურის სკოლები—ოთხწლედები, რომელთა რიცხვი ამჟამად 1802 აღწევს. მიუხედავათ ამ საფეხურის სკოლების სწრაფი გამრავლებისა, ეს რიცხვი საკმაო არ არის.

დიდძალი სასკოლო შასაკის ბავშვებისა სკოლის გარეთ რჩება. მაგ. წინასწარი ცნობებით მიმდინარე სამოსწავლო წელს ოთხწლიან სკოლაში ვერ მოხვდება დაახლოვებით 15 ათასი ბავშვი. იმ მიზნით, რომ დავაჩქაროთ საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღება, აუცილებელი ხდება პირველი საფეხურის სასკოლო ქსელის გაფართოება უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე დღემდე ხდებოდა.

მეორე საფეხურის სკოლებს ჩვენს სისტემაში წარმოადგენს შვიდწლედები, — რომელთა რაოდენობა საქართველოში 350 შეადგენს. ცხრაწლედების რიცხვი კი უდრის 57. საქართველოს მშრომელი მოსახლეობისათვის საჭირო არ არის ამდენი ამ ტიპის სკოლები საერთო განათლების მისაღებად, რადგან ასეთი სკოლები ამრავლებენ უკვალიფიკაციო, პრაქტიკულ ცხოვრებისათვის გამოუდეგარ ინტელიგენტთა რიცხვს, რომლებიც აჭარბებ შრომის ბირჟებს უსაქმო ხალხით და ამრავლებენ უკმაყოფილო ელემენტებს სახელმწიფოში. ამიტომ გასულ წლიდან სწარმოებს შვიდწლედების გადაკეთება გლეხური ახალგაზრდობის სკოლებად, რომელნიც სოფელს აძლევენ საკმაოდ მომზადებულ საშუალო ცოდნის მეურნეს. ამჟამად გლეხურ 61. მიმდინარე წელს გაიხსნება კიდევ 88 ასეთი სკოლა; შემდეგისათვის მათი რიცხვი კიდევ უნდა გადიდდეს.

რაც შეეხება ცხრაწლედებს, საჭიროა მათი არა თუ გამრავლება, არამედ შემცირება, ხოლო რაც დარჩება მათ უნდა მიეცეს სათანადო პრაქტიკული ხასიათის განხრა: კოოპერატიული, პედაგოგიური, ტეხნიკური და სხვ.

გარდა ამ ტიპის სასწავლებლებისა საქართველოში ამჟამად მუშაობს 18 პედაგოგიური ტეხნიკუმი, 10 სასოფლო - სამეურნეო, 2 ქიმიური, 7 სამრეწველო ეკონომიური, — ერთი ფარმაცევტიული. ამით განისაზღვრება საშუალო სპეციალურ სასწავლებლების რიცხვი, რომელშიდაც არ შედის დაბალი, პროფესიონალური სკოლები და კურსები.

გარდა ამისა თბილისში მოქმედობს 4 მუშფაკი.

უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში ორია: სახელმწიფო უნივერსიტეტი და ლენინის სახელობის პოლიტეხნიკური ინსტიტუტი. პირველ მათგანში ამჟამად უმაღლეს განათლებას ღებულობს 6.790 სტუდენტი, ხოლო მეორეში 1.362, რაც სავსებით საკმარისია საქართველოსათვის.

იმ გარემოების ნათელსაყოფად, თუ როგორ წაიწია ჩვენში სახალხო განათლების საქმემ, საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი ციფრები: გასაბჭოებამდე საქართველოში იყო 108.648 მოწაფე, ამჟამად მათი რიცხვი აღწევს 269.200. მასწავლებელთა რაოდენობაც ორჯერ გაიზარდა და ეხლა მათი რიცხვი უდრის 10.189 კაცს.

დიდ მიღწევათ უნდა ჩაეთვალოს სახ. განათლების კომისარიატს აგრეთვე ის, რომ მან შესძლო ორივე საფეხურის შრომის სკოლა უზრუნველეყო სასწავლო წიგნებით და აგრეთვე უფრო ადრე ამ მხრივ ქვეყანაფერი რიგზე არ იყო. წელს ჩვენ მიერ მოწყობილია 200-მდე ფიზიკური კაბინეტი, 400-მდე ბიბლიოთეკა. ერთი სიტყვით კომისარიატის მიერ სკოლები აღჭურვილია ყოველგვარი საჭიროების საგნებით, და რაც შეეხება ისეთ წვრილმანებს, როგორიც არის სკოლებისათვის ცარცის, დაფის, საწმენდი ჩვრების და სხვა ასეთი აუცილებელი წვრილმანით მომარაგება, ამაზე მოვალენი არიან იზრუნონ ადგილობრივმა ორგანოებმა.

ეხება რა პოლიტ - საგანმანათლებლო მუშაობას, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამ დარგში ყველაზე მეტი ყურადღება ექცეოდა წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციას. 6 წლის განმავლობაში წ. კ. უც. სალიკვიდაციო პუნქტები გაიარა 146 ათასმა კაცმა.

გარდა ამისა ეწყობოდა ქოხ - სამკითხველოები, რომელთა რიცხვი 1921 წლის დამლევს უდრიდა 57; ეხლა 388 უდრის. მართალია ჩვენ გვეუბნებიან, რომ საჭიროა ჯერ მოზარდებზე ზრუნვა და შემდეგ გაზრდილებზეო, მაგრამ ჩვენ ორივე მხარეს თანაბარ მნიშვნელობას ვაძლევთ და სკოლის სისტემის გაფართოებასთან და გაუმჯობესებასთან ერთად ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას პოლიტ - განათლების დარგშიდაც.

კამათი ამხ. გოგუაძის მოხსენების გარშემო

განსაკუთრებული ინტერესით შეხვდენ დეპუტატი ქალები განათლების სახ. კომისარიატის წარმომადგენლის მოხსენებას. აღნიშნავდენ რა სკოლების რიცხვის გამრავლებას საერთოდ, დელეგატები მოითხოვდენ, რომ უფრო მეტი ყურადღება მიექცეს პირველი საფეხურის სკოლების და სკოლის შასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა მოწყობას. მათ უმჯობესად მიაჩნიათ შემცირდეს ხარჯები განათლების სხვა დარგებში და უფრო მეტი თანხა მოხმარდეს პირველი საფეხურის სკოლების ორგანიზაციას. განსაკუთრებით — ჩამორჩენილ და მიყრუებულ კუთხეებში, სადაც წ.-კ. უცოდინართა რიცხვი მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენს.

დელეგატების აზრით შვიდწლედებს უნდა მიეცეთ სასოფლო - სამეურნეო განხრა და უფრო მეტად სოფლად მოეწყოს სოფლის ახალგაზრდობის სკოლები. მათი აზრით საჭიროა გაუმჯობესდეს სწავლის დაყენება საშუალო საფეხურის სკოლებში, რომლებიც ამჟამად უშვებენ სრულიად მოუმზადებელ ახალგაზრდებს, რომელთაც არც უმაღლეს სასწავლებლებში ღებულობენ და არც სხვა პრაქტიკულ მუშაობისათვის ვარგიან.

ოპონენტებს პასუხი გასცა მომხსენებელმა, რომელმაც დაადასტურა სრული თანხმობა დელეგატთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებსა და განათლების კომისარიატის სასკოლო პოლიტიკის შორის.

დელეგატების არჩევა საკავშ. დეპუტატ ქალთა ყრილობისათვის

სრ. საკავშირო დეპუტატ - ქალთა ყრილობისათვის ერთხმად არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: **ბოლქვაძე მუხთა** (აჭარისტანიდან), **თორია** (აფხაზეთიდან), **გასანოვა** (სამხრეთ - ოსეთი), **იასაშვილი თეგრო** (სიღნაღის მაზ.), **ანანასიანი სათენიკ** (ახალქალაქის მაზრა).

ყრილობის რეზოლუცია

საბჭოების მუშაობისა და მასში მუშა და გლეხ ქალების მონაწილეობის შესახებ

საარჩევნო კამპანიამ დაგვანახვა, რომ სოფლის და ქალაქის ყველა ფენების პოლიტიკური აქტივობის აწევამ გავლენა იქონია მუშა და გლეხ ქალთა აქტივობის ზრდაზე. არჩეულ ქალთა ნაწილი სრული პასუხისმგებლობის გრძნობით მიდიოდა საარჩევნო კრებებზე და იქ აქტივობაში არ ჩამორჩებოდა მამაკაცების ამრჩევ ნაწილს, რითაც გახდა მამოძრავებელ ფაქტორად სოფლის და ქალაქის საზოგადო და პოლიტიკური ცხოვრებაში,

შედეგად მშრომელ ქალთა პოლიტიკური აქტივობის ზრდას მოყვა ახლად არჩეულ საბჭოებში ქალთა რიცხვის გადიდება. თუ 1926 წელს ჩვენ თემსაბჭოებში გვყავდა 1998 საბჭოს წევრი ქალი, ან 8,4 პროც., 1927 წ. კი გვყავს 2208 წევრი, ან 8,7 პროც. ქალაქის საბჭოებში 1926 წელს 196 საბჭოს წევრი ქალი ან 10,3 პროც 1927 წელს კი 11,8 პროც. მოიმატა აგრეთვე არჩეული ქალების რიცხვმა აღმასრულებელ ორგანოებში, სახელდობრ: თემაღმასკომებში არჩეულია 27 ქალი შარშანდელ 24 მაგივრად, სამაზრო აღმასკომებში 59 ქალი, შარშან კი იყო 41. სამაზრო ყრილობებზე მონაწილე ქალთა რიცხვმაც იმატა: 1926 წელს სამაზრო ყრილობებზე ღებულობდა მონაწილეობას 230 ქალი ან 7,4 პროც., 27 წელს კი 239 ქალი, ან 7,9. ეს ციფრები ნათლად ამტკიცებენ საბჭოში არჩეულ ქალთა რიცხვის თანდათანობით ზრდას.

ამ მიღწევებთან ერთად აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ზოგიერთი უარყოფითი მოვლენები, რომლებიც ხელს უშლიდნენ დეპუტატ ქალების მიერ საბჭოების მუშაობაში უშუალო პრაქტიკული მონაწილეობის მიღებას სახელდობრ:

1. შეუგნებლობა ქვედა საბჭოთა ორგანოების მხრით საბჭოს წევრ მუშა და გლეხი ქალების. საბჭოს და მისი სექციების ყოველდღიური და პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმის აუცილებლობისა
2. ხშირია ფორმალური მიდგომა ქალების საბჭოთა და საზოგადო მუშაობაში წამოყენების მიმართ, რაც ისაზღვრება საბჭოში და სხვა ორგანოებში რამოდენიმე ქალის არჩევით ქვედა საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები არ ღებულობენ შესაფერ ზომებს საბჭოს წევრ ქალების პრაქტიკულ მუშაობაში ჩასაბმელად, რაც ჰქმნის ქალებს პასიურ წევრებად.
3. შეუგნებლობა მამრობითი სქესის მცხოვრებთა, რომლებიც აცხადებენ, რომ ქალებს არ უნდა ჰქონდეთ ადგილი საბჭოებში და სხვა.
4. ხშირ შემთხვევაში ქალების მონაწილეობა საბჭოებში და მათ სექციებში ისაზღვრება მხოლოდ სხდომებზე დასწრებით (საკითხების გარჩევაში მონაწილეობის მიუღებლად), ქალების დაუსწრებლობა ღებულობს სისტემატიურ ხასიათს, რასაც იოლად ურიგდებიან თემსაბჭოების ხელმძღვანელები,
5. ზოგ შემთხვევაში საბჭოს წევრ ქალების პასიობას ხელს უწყობს აგრეთვე თვით საბჭოების საერთოდ სუსტი მუშაობა,
6. სულ ხშირად ქალების ჩაბმას საზოგადო საბჭოთა მუშაობაში ადგილები სთვლიან დაკვრითი ხასიათის საქმით. (გადარჩევები, საერთაშორისო დღე და სხვა) და არა სისტემატიური მოღვაწეობის საგნად.
7. საბჭოს წევრ ქალების თათბირის მოუწვევლობა თემის და მაზრის მასშტაბით
8. ქალი დეპუტატების მიერ თავის ამრჩევლებისადმი ანგარიშის ჩაუბარებლობა.

ვღებულობთ რა მხედველობაში, რომ ლოზუნგი „საბჭოების გამოცოცხლება“ არის ძირითადი ამოცანა დღევანდელ დღისა და რადგან საბჭოების გამოცოცხლება შეუძლებელია დეპუტატ ქალების საბჭოს ყოველდღიურ მუშაობაში აქტიური მონაწილეობის გარეშე, მუშა და გლეხი ქალების ყრილობა აუცილებლად სთვლის შემდეგ ღონისძიების გატარებას:

1. ჩაბმა მუშა და გლეხი ქალებისა საბჭოს საქმიანობაში ითვლებოდეს არა როგორც დაკვრითი კამპანია, არამედ როგორც ამოცანა ხანგრძლივ პერიოდისა, სისტემატიური ახსნა-განმარტებითი და აღმზრდელობითი მუშაობის გატარებით, როგორც დეპუტატ ქალებსა, ისე მამაკაცთა შორის.
2. ჩაბმულ იქნან საბჭოს წევრი ქალები ქალაქის და სოფლის საბჭოთა აღმშენებლობის ყოველ დარგში—სექციებში და კომისიებში ფაქტიური (და არა ფორმალური) მიმაგრებით—მათ მიერ კონკრეტიული დავალების შესრულების მიზნით.
3. უფრო გაბედულად წამოყენებული იქნან მუშა და გლეხი ქალი დეპუტატები ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ადმინისტრატიულ, სამეურნეო და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებში.
4. წარმოებულ იქნას სისტემატიური ბრძოლა ქალების ყოფა-ცხოვრების ხასიათის კულტურულ ჩამორჩენილობასთან, ცრუმორწმუნეობასთან და უვიცობასთან, რომლებიც ხელს უშლიან მშრომელ ქალების ფართო საზოგადო მოღვაწეობას.
5. გაძლიერებულ იქნას კავშირი და ხელმძღვანელობა საბჭოს წევრ ქალების მიმართ, ხელისუფლების ქვედა ორგანოების ხელმძღვანელების, აგრეთვე პროფესიონალური და ქალების ორგანიზაციების მხრით (დელეგატური კრებები).
6. შემოღებულ იქნას როგორც სისტემა, ანგარიშის ჩაბარება საბჭოს წევრ მუშა და გლეხ ქალების თავიანთი ამრჩევლების და ქალთა საერთო დელეგატო კრებების წინაშე.
7. წარმოებულ იქნას პერიოდულად საბჭოს წევრ ქალების თათბირის მოწვევა თემის, ქალაქის და მაზრის მასშტაბით, მათი გამოცდილების შეჯამების და ამათთვის შესაფერი ინსტრუქციის მიცემის მიზნით.
8. შემოღებულ იქნას, როგორც წესი, ცალცალკე საკითხების შესახებ დავალების მიცემა საბჭოს წევრ ქალებისათვის, რის შემდეგ მათი მოხსენება შესრულებულ მუშაობის შესახებ მოსმენილ იქნეს საბჭოს ან აღმასკომის სხდომაზე.
9. მთავარი ყურადღება მიექცეს საბჭოს წევრბის და მუშა ქალების ქალაქის აღმშენებლობის საქმეში ფართოთ ჩაბმას იმ სექციებში მონაწილეობის მიღებით, რომლებიც ყველაზე უფრო დაკავშირებულია ქალაქის სხვადასხვა დარგის მეურნეობასთან,—აგრეთვე საჭიროდ იქნეს ცნობილი ზოგ შემთხვევაში მუშა ქალების ყოფაცხოვრების გაუმჯობესების, დედის და ბავშვის დაცვის სექციების შექმნა და სხვა.

დეპუტატ ქალთა ყრილობაზე

(შთაბეჭდილებანი)

1927 წლის ორი ოქტომბერი დაუვიწყარ ისტორიულ თარიღად დარჩება საქართველოს მშრომელ ქალთა მოძრაობის ისტორიაში.

ამ დღეს საბჭოთა საქართველოს დედა-ქალაქში პირველად ერთი-მეორეს პირისპირ შეხვდენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის, სხვადასხვა თემის და ეროვნების მშრომელი ქალები.

მშრომელი მოსახლეობის ერთი ნახევრის საუკეთესო წარმომადგენლებმა თავი მოიყარეს იმ მიზნით, რომ ჯამი გაეკეთებიათ მშრომელი ქალის მოღვაწეობისათვის საზოგადოებრივ ასპარეზზე ამ შვიდი წლის განმავლობაში და ამავე დროს გამოემუშავებიათ პრაქტიკული ღონისძიებები იმისთვის, რომ მშრომელმა ქალმა სავსებით გამოიყენოს ის უფლებები, რომელიც მათ მიანიჭა ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ

ქალის წინაშე დადგა მეტად რთული და მძიმე ამოცანა: მას, საუკუნოებით ოჯახში კარჩაკეტილს, გარეთ გამოუსვლელს, უნდა თავი ედვა მისთვის უჩვეულო საქმე—პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობა. ამ გზაზე მას ჰყავს სასტიკი და ულმობელი მტერი—ესაა განმტკიცებული ტრადიცია, დახავსებული შეხედულება, რომელიც მუდამ ყველგან, ყოველ კუთხეში იდუმალი ხმით ჩასძახის ქალს, „რა შენი საქმეა სახელმწიფო-საზოგადოებრივი მოღვაწეობა, შენ ოჯახისთვის გაჩენილხარ და მასვე უნდა შეალიო შენი ძალღონეო“.

ეს მტერი მეტად საშიში და ხელმიუწვდომელია, რადგან იგი ფარულია და თოფ-იარაღით მასთან ბრძოლა უნაყოფოა. 10 წელიწადია რაც სწარმოებს ბრძოლა მის წინააღმდეგ, სწარმოებს რასაკვირველია, არა ფარხმალით, არამედ სხვა გზით,სხვა საშუალებით. ჩვენში ამ ბრძოლას კიდევ უფრო ხანმოკლე ისტორია აქვს. 7 წლით განისაზღვრება იგი.

2 ოქტომბერს შეიკრიბენ ისინი, ვინც თავიდანვე ამ უსისხლო ბრძოლის პირველ რიგებში ჩადგა. ამ ყრილობაზე მათ თვალი გადაავლეს ამ ბრძოლის ფრონტზე აღებულ პოზიციებს, გაითვალისწინეს 7 წლის ბრძოლის შედეგები, აწონ-დაწონეს თავიანთი ძალღონე და შემოიკრიბეს ენერგია ახალი იერიშებისათვის.

ტრიბუნაზე სალაპარაკოთ გამოსული ყოველი დელეგატი ჩამოსთვლიდა იმ ძვირფას განძს, რომელიც ყოველდღიური ბრძოლით მოუპოვებია მას და მის თანამებრძოლებს. რა არის ეს განძი? მუშაკ-ქალთა რიცხვის ზრდა საბჭოებში. გლეხკომებში, კოოპერატიულ ორგანიზაციებში, პროფკავშირებში და მრავალ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. მაგრამ ყველაზე უფრო დიდი განძი შვიდი წლის მუშაობით მოპოვებული არის ფართო მოსახლეობაში იმ შეგნების განმტკიცება, რომ ქალი საზოგადოებრივი მუშაობაში ისეთივე ნიჭით არის დაჯილდოვებული, როგორც მამაკაცი, რომ დედაკაცს შესწევს ძალა და ნიჭი ხელმძღვანელობა გაუწიოს საზოგადოებრივ ცხოვრებას, სოფლად თუ ქალაქად წარმოებულ აღმშენებლობას.

მასაში მათ ეს შეგნება შეიტანეს შვიდი წლის ენერგიული მუშაობით, საქმისადმი ერთგულებით და გულმოდგინებით.

ოჯახის შინა კაცების წინააღმდეგობა, თუ მთლად არა, რამოდენიმედ ძლეულია. გადალახულია აგრეთვე საბჭოების და სამეურნეო-კულტურულ დაწესებულებათა ხელმძღვანელ მამაკაცების გულგრილობა ქალის საზოგადოებრივი შრომისადმი.

გზა გამარჯვებისაკენ გაკვლეულია.

თვით ყრილობის ტრიბუნა, რომელზედაც ორი დღის განმავლობაში ქალი-ქალს სცვლიდა, მჭერმეტყველურად მოწმობდა, რომ მშრომელ ქალს საკმაოდ შეუთვისებია თავისი უფლება-მოვალეობანი საბჭოთა სახელმწიფოს და საზოგადოებრივობის წინაშე. ყოველი დელეგატის სიტყვა შთაწყებელი იყო იმ გარემოებით, რომ საზოგადო ასპარეზზე გამოსული ქალი გულისყურით ადევნებს თვალს, ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ-კულტურულ განვითარებას. მოწადინებულია მიიღოს მასში აქტიური მონაწილეობა. ხანდახან პირდაპირ განცვიფრებას იწვევდა მათი დაკვირვების, ცხოვრების სიღრმეში ჩაწვდომის უნარი

— განმტკიცებულ გულგრილობას, დახავსებულ შეხედულებებს დაესძლიეთ.—გაბედულად აცხადებენ ისინი. — მაგრამ ეს არ კმარა იმისათვის, რომ ქალმა მამაკაცთან ერთად თანაბრად ისარგებლოს მოპოვებული უფლებებით. ჩვენი შებორკვის მიზეზი უფრო ღრმად მარხია—ის არის ყოველდღიური ოჯახური მოვალეობა, რომელიც გამოწვეულია ოჯახის მეურნეობაზე ზრუნვით მზრუნველობით უფრო მეტად კი ბავშვების აღზრდით.

რა იხსნის ქალს, ამ მდგომარეობიდან?

საბავშვო ბაღები. ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულებები—აძლიერებ ზიმოხსნებულ კითხვაზე ერთხმად პასუხს და მოითხოვენ სახალხო განათლების კომისარიატისაგან საბავშვო სახლების და ბაღების მოწყობას.

— მოგვაშორეთ ყოველდღიური ოჯახურ დავიდარაბას და მაშინ ნახავთ, შევძლებთ თუ არა საზოგადოებრივ მუშაობასო.— ამბობენ დელეგატი ქალები. არანაკლებ პრაქტიკული და ცხოვრების სინამდვილესთან დაახლოებული იყო მიდგომა სხვა საკითხებისადმი—საბჭოების მუშაობის გაცხოველების, საექიმო დახმარების, დედათა და ბავშვთა კონსულტაციების მოწყობის და სწავლა-განათლების მეტად საკითხებისადმი

განსაკუთრებით კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდენ მუსულმანი და აჭარელი დელეგატები, რომელთა სიტყვებსაც ახასიათებდა საკითხის ცოდნა, კონკრეტულობა და ლაკონიურობა, ნუ თუ ეს მოკლე დრო საკმაო იყო. რომ ქალის [illegible] ნიჭი ასე სწრაფად გამოაშკარავებულიყო.

ღრმა შთაბეჭდილებით დატვირთული სტოვებ დარბაზს და გამოდიხარ იმ რწმენით, რომ დიდი მანძილი არ გვაშორებს იმ დროს, როდესაც, „ყოველი მზარეული ქალი შესძლებს სახელმწიფოს მართვა-გამგეობას“.

მ—ნი.

ქრონიკა

წყალში დამხმარე ბიურო

თბილისში არსდება წყალში დახრჩობისაგან გადამრჩენი ცენტრალური ბიურო, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს საქართველოში მომქმედ წყალზე დამხმარე ყველა ორგანიზაციებს.

საზ-გა „ნაკუწი ჩვარი“

საქართველოს საგეგმო კომისიამ მიზანშეწონილად სცნო საქართველოში საქციო საზ-გა „ნაკუწი ჩვარი“-ს დაარსება. „ნაკუწი ჩვარი“ დაგროვებს და გადაამუშავებს ყოველგვარ ჩვარს და ძველ ტანსაცმელს. ამ მიზნით რესპუბლიკაში მოეწყობა ჩვრის შემგროვებელი პუნქტები და მისი გადასამუშავებელი ქარხანა.

დაკიდებული გზა

ბორჯომის მინერალურ წყლების სამმართველოს საგეგმო კომისიამ ნება დართო ბორჯომის შუშის ქარხანასთან მოაწყოს დაკიდებული გზა.

ხე-ტყის მასალის ექსპორტი

ა. კ. სახ. ვაჭრობამ მარსელში გასაგზავნათ, დატვირთა 78.000 ცალი მუხის ტკეჩი, გამბურგში გასაგზავნათ 100 ტონა კაკლის ხე და ნიუიორკში გასაგზავნათ 30.000 ფუთი კაკლის ხე.

იტალიიდან მრავალი მოდის მოთხოვნილება წიფლის მასალაზე.

ა. კ. სახ. ვაჭრობა აფხაზეთის ხე-ტყის ქარხნებში ამზადებს 150.000 ფუთ დახერხილ საყუთე მასალას ახლო - აღმოსავლეთში საექსპორტოთ.

მიმდინარე წელს განზრახულია შპალების და საქართველოს სახ. მრეწველობის მიერ დამზადებულ გრეხილ - ავეჯის ნახევარ ფაბრიკატების ექსპორტი ეგვიპტეში.

თბილისის აღმასკომში

◆ ზოოლოგიური ბაღი. ყოფ. საკათედრო ტაძარში ახლო ხანში მოეწყობა თბილისში განზრახულ ზოოლოგიურ ბაღის მინიატურული გამოფენა.

◆ მოხეტიალე ძაღლები. ქალაქში ცოფიანი ძაღლებისა და სისუფთავის დაცვის მიზნით, ყოველ დღე სწარმოებს მოხეტიალე ძაღლების დაჭერა. პატრონებს შეუძლიათ 3 დღის განმავლობაში მოიკითხონ ძაღლი და გადაიხადონ 50 კ. ნომრისათვის.

სახალხო მეურნეობის უმ. საბჭოში

◆ ლუდის ქარხანა. ახალციხეში ლუდის ქარხნის აღსადგენად ს. მ. უ. საბჭომ გადადო 3000 მან.

◆ ხე-ტყის ქარხანა. სამრეწველო საგეგმო განყოფილებას დაევალა შეადგინოს სამხრეთოსეთში ხე-ტყის ქარხნის მოწყობის პროექტი.

◆ კრახმალის ქარხანა. ს. მ. უ. საბჭო ახალციხეში აწყობს კრახმალის ქარხანას.

◆ შაქრის ქარხანა. გორში შაქრის ქარხნის ასაგებათ წინასწარი მუშაობისათვის ს. მ. უ. საბჭომ გადადო 30,000 მანეთი.

ხელოვნების ქრონიკა

— კონცერტები. ორშაბათს, 17 და შაბათს 22 ოქტომბერს სახ. კონსერვატორიაში გაიმართება ვიოლონჩელისტი სიმონ ბეზროდნის კონცერტები.

— ოპერის თეატრის სეზონი გაიხსნება 15 ოქტომბერს „აბესალომ და ეთერი“-თ. 16 ოქტომბერს მიდის „აიდა“.

შემთხვევები

ბავშვი ტრამვაის ქვეშ

გუშინ, ნაშუადღევის 6 ნახ. საათზე, რუსთაველის პროსპექტზე ოპერის თეატრის წინ, ტრამვაის ვაგონმა № 204 (პირველი მარშრუტი), რომელსაც მართავდა ვატმანი **დიმიტრი ჯავახიშვილი** დაეჯახა 12 წლის **ზრუბან ბიდრიჩიანს** (მცხოვრები საპიორის ქ., № 39), და მძიმედ დაშავა.

შემთხვევის ადგილზე გამოცხადდნენ სისხლის სამართლის უფროსის მოადგილე **შ. მელაძე**, სისხლის სამართლის მილიციის რწმუნებული **ლ. ნადარეიშვილი**; აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს გამომძიებელი **ბ. ნოზაძე** და ოლქის სასამართლოს პროკურორი **გ. ტატიშვილი**.

კვლევა-ძიებით გამოირკვა; რომ ვატმანს ვაგონი მიჰყავდა დიდი სისწრაფით და ბავშვის დანახვისას მან დროზე ვერ მოუჭირა მუხრუჭი; რამაც გამოიწვია უბედური შემთხვევა.

ბავშვი გადაგზავნეს რესპუბლიკის საავადმყოფოში. მას დაზიანებული აქვს თავი და ნადრძნები ხელები.

გამომძიებლის განკარგულებით გამოწვეული იქნა ექიმი, რომელმაც შეამოწმა ვატმანი ჯავახიშვილი. იგი ფხიზელი აღმოჩნდა.

დაკითხვისას ვატმანმა განაცხადა, რომ მან მიიღო ზომები ვაგონის შესაჩერებლად, მაგრამ ვერ გააჩერა.

ვატმანი ჯავახიშვილი დაპატიმრებულია. კვლევა-ძიება გრძელდება.

—:—

◆ **ქურდი ქალიშვილი.** 3 ოქტომბერს, ტროცკის ქ. № 7, ანა არეშკოს ბინა გაქურდა მისმა ქალიშვილმა ევგენია არეშკომ. წაიღო 300 მ. ნივთები და მიიმალა.

◆ ტრამვაის რწონდაში ზემელისეულ აფთიაქთან ევგენი ევანიას ამოაცალეს 164 მ. და საბუთები.

◆ სახ. უნივერსიტეტის ეზოში 3 ოქტ. გიორგი ბახტაძეს ამოართვეს საათი.

◆ **შეპყრობა.** 3 ოქტ. ქურდობისათვის დააპატიმრეს დანიელ ოგანესის ძე ოგანესიანი.

◆ რკ. გზის სადგურში მოქ. ჩოლოგირდოლსთვის ხელიდან ჩემოდანის გამოტაცების გამო, შეიპყრეს მიხეილ ფრიდონიძე ჩუგანოვი.

◆ **ქურდობა.** 3 ოქტ. რიყის ქ. № 24, გაქურდეს მარიამ ბალდასაროვის ბინა.

—:—

შრომის კომისარიატი

გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ჩვენი გაზეთის გუშინდელი ნომრის „შემთხვევების“ განყოფილებაში ნახსენები ოლიდანტე კვანტალიანი და ვახ. გვეტაძე (რომლებიც დაპატიმრებული არიან ფულის გატაცებისათვის) არ ყოფილან ამ კომისარიატის თანამშრომლები.

რკინის გზის ტექნიკუმის საზეიმო გახსნა

ამ.-კავკ. რკ. გზ. პროფგანათლების განყოფილებას თბილისში გახსნილი აქვს რკინისგზის ტექნიკუმი. აქამდე იგი მოთავსებული იყო ისეთ შენობაში, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებებს და შეუძლებელი იყო იქ მუშაობის ფართოდ დაყენება.

ამ უკანასკნელად გზის პროფგანათლების განყოფილებამ ნინოშვილის ქუჩაზე (ყოფ. ალექსანდროვის) შეიძინა სახლი № 13, რომელიც შეაკეთა კაპიტალურად და მოაწყო ყოველმხრივ ისე, როგორც ამას საჭიროება მოითხოვდა. იქ მოთავსებულ იქნა აღნიშნული ტექნიკუმი, ტექნიკუმში მოწყობილია ფიზიკური კაბინეტი, ხაზვის და ტელეგრაფის კლასები. განზრახულია ცალკე სახელოსნოს და საქონლის სადგურის მოწყობა.

გუშინ საღამოს მოხდა ტექნიკუმის ახალ შენობის საზეიმო გახსნა, რასაც დაესწრნენ: ამხ. **შ. ელიავა** და პარტიულ, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომა გახსნა ა.-კ. რკ. გზ. პროფგანათლების განყოფილების გამგემ ამხ. კიკნაძემ, რომელიც თავის სიტყვაში შეეხო ტექნიკუმის მნიშვნელობას.

მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. შ. ელიავამ, ტექნიკუმის გახსნას მიესალმნენ აგრეთვე: ამხ. **რინენბერგი** — საკავშირო კომკავშირის ა.-კ. საოლქო კომიტეტიდან, ამხ. **ურუშაძე**—საქ. კომპარტიის (ბ) ლენინის რაიკომიდან, ამხ. **აბდულაევი**—ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირიდან, ამხ. **ასლანოვი** —ა.-კ. რკ. გზ. გამგეობიდან, ამხ. **ლისენკო**—რკ. გზ. სოცაღმზრდელობის სკოლიდან, ტექნიკუმის პედაგოგიური საბჭოს სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ამხ. **სმოლიანოვი**, და მოწაფეთა სახელით — **მალინენკო**.

მისალმებების შემდეგ, ტექნიკუმის პედაგოგიურ საბჭოს წინადადებით ამხ. შ. ელიავა არჩეულ იქნა საბჭოს საპატიო თავმჯდომარედ.

დასასრულ ტექნიკუმის გამგემ ამხ. ჩიხლაძემ ტექნიკუმის სახელით ამხ. შ. ელიავას მიართვა ადრესი.

საბავშვო კომისიაში

საქართველოს ცაკთან არსებულმა საბავშვო კომისიამ აგვისტოსა და სექტემბრის განმავლობაში დახმარება აღმოუჩინა 252 ბავშვს. აქედან ვაჟები — 179, ქალები — 73.

ეროვნული შემადგენლობა: ქართველი—148, რუსი — 56, სომეხი — 35, დანარჩენი ერივნების — 13. თავ-თავის სამშობლოში გაიგზავნა და საბავშვო სახლების მიერ გადაიგზავნა წალვერში და ქობულეთში — 125 ბავშვი; ერთდროული დახმარება მიეცა — 16-ს.

გაიგზავნა ამბულატორიაში და საავადმყოფოში — 7, ბავშვების სახლში — 1, საერთო ბინაზე — 2, მცხეთის საბავშვო კოლონიაში — 61, მედიკურ ტექნიკუმში — 2, აღმშენებელთა კავშირში — 1, მუშფაკში — 1, ქიქოძის სახელობის საფ. საქ. სკოლაში — 1.

სტიპენდია ეძლევა — 16 ბავშვს.

მცხეთის კოლონიაში გაგზავნილია ბავშვები დუშეთის, ოზურგეთის, ლეჩხუმის, ბორჩალოს და ბორჯომის მაზრებიდან, „ბავშვთა მეგობრობი“-ს საბავშვო სახლიდან, კოლექტორიდან და უპატრონოთა საერთო ბინიდან.

ბავშვების სამშობლოში გაგზავნაზე დახარჯულია 134 მან. 23 კაპ., გაცემულია სტიპენდიების და ერთდროული დახმარების სახით— 384 მან. 10 კაპ. ავტომატიურ სასწორებიდან, მარკების რეალიზაციიდან, ლატარიების და პირველ მაისის ნიშნის რეალიზაციით საბავშვო კომისიას აგვისტოს და სექტემბრის განმავლობაში შემოსვლია სულ 1.299 მან. 06 კ. საბავშვო კომისიის პრეზიდიუმმა დაადგინა ბორჯომის საბავშვო სახლს სახელოსნოების მოსაწყობად მიეცეს 1.200 მანეთი.

სას.-სამეურნეო სესხი

სესხი წითელარმიელთა ოჯახებს

გლეხ წითელარმიელთა და წითელ ფლოტელთა ოჯახების მეურნეობის დასახმარებლათ საქართველოს სასოფლო სამ. ბანკმა გადადო გრძელ ვადიანი სესხი 5.000 მან. რაოდენობით. სესხის განაწილება მოხდება ამ დღეებში.

გრძელვადიანი სესხი კოლექტიურ მეურნეობათ

საქართველოს სასოფლო - სამ. ბანკმა გადასდო გრძელვადიანი სესხი 7.500 მან. რაოდენობით, რომელიც მოკლე ხანში დაუნაწილდება საქართველოს კოლექტიურ მეურნეობათ.

სესხი შინა-მრეწველობას

საქართველოს, აჭარისტანის, აფხაზეთის და სამხრეთ - ოსეთის შინა - მრეწველობას სასოფლო - სამეურნეო ბანკმა გაუნაწილა გრძელ ვადიანი სესხი 15.000 მან. რაოდენობით.

საძოვრები

საქართველოში მეცხვარეობის საქმის გაუმჯობესების მიზნით მიწათმოქმედების კომისარიატმა გადაწყვიტა შეიდგეს საძოვრების გაუმჯობესება—გამწირებული საძოვრების გაანოყიერება ხელოვნურად და მათზე დათესვა ახალი ბალახი. საძოვრები დასწმენდოს ქვებისაგან და დაიცვან ზვავებისაგან. აგრეთვე იმ საძოვრებზე სადაც არ იშოვება წყალი, გამოიყვანოს წყაროები და არხები და აწარმოოს მათი რაციონალურად გამოყენება.

საქართველოში ამჟამად საძოვრებს უჭირავს 738,944 დესეტინა, აქედან საზაფხულო საძოვრებია—508,842 დეს., საზამთრო 230,000 დეს., ამ საძოვრებს, აღნიშნულ ზომების მიღების შემდეგ, შეუძლიათ გამოკვებონ ორჯელ მეტი ცხვარი.

ამ ზომებს გარდა, მიწათმოქმედების კომისარიატს განზრახვა აქვს ზოგიერთი საძოვრები რამდენიმე ხნის განმავლობაში სრულებით დაკეტოს ნიადაგის შესვენების მიზნით, დანარჩენი კი განტვირთოს ზედმეტი საქონლისაგან.

ამასთან ერთად განზრახ. ზოგიერთ საზ. საძოვრებზე ალპიური მეურნეობის მოწყობა და სხვა.

სასამართლო

თბილისელ „ჩუბაროველთა“ საქმე

გუშინ, 6. პ—ს ქალმა გამოიცნო შემთხვევის ღამეს დაპატიმრებული ოთხი ხულიგანი.

გუშინვე მეხუთე უბნის სახალხო გამომძიებელმა **დ. მიქელაძემ** მოახდინა ბოროტმოქმედების ადგილის დათვალიერება.

დათვალიერებით გამოირკვა, რომ თავდასხმის ადგილი—ლოტკინის ქუჩა (ნაძალადევში) წარმოადგენს მიყრუებულ ადგილს. ამ გარემოებამ დიდათ შეუწყო ხელი ხულიგნებს ბოროტ მოქმედების ჩადენაში.

განაჩენი ქურთიაშვილის საქმეზე

სასამართლომ ბრალდებულ ქურთიაშვილს ს. გვენეტაძის მოკვლისათვის მიუსაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლაციით.

საქონლის დამზადება

ახალი სამეურნეო წლისათვის

ცალკე კოოპერატიული კავშირების წარმომადგენლობათა გაუქმების შემდეგ, ამიერ-კავკასიის კოოპერატიული კავშირის წარმომადგენლობამ თავის სისტემაში გააერთიანა დიდ მუშაობა კოოპერატიულ გაერთიანებათა წარმომადგენლობა.

ამჟამად რესპუბლიკანურ კოოპერატიულ ცენტრებისათვის საქონლის მიწოდებას აწარმოებს ა.-კ. კოოპ. კავშირის „ზაკსოიუზი“-ს წარმომადგენლობა.

მომავალ სამეურნეო წლიდან შაქრის, ლითონის ნაწარმოების, მანუფაქტურის გარდა რომელთა მიწოდების შესახებ უკვე დადებული გენერალური ხელშეკრულება მრეწველობასთან, ეწყობა კოოპერატივების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სილიკატების, მარილის და ტყავეულობის მიწოდება. ამჟამად ცალკე კოოპერატიულ ცენტრების მიერ სწარმოებს მხოლოდ საგალანტერიო საქონლის შესყიდვა. ახალი სამეურნეო წლიდან ამ საქონლის შეძენაც იწარმოებს საერთო წარმომადგენლობის საშუალებით.

ამ ღონისძიებებით შესამჩნევად დაკლებული იქნება დანართი ხარჯები.

მეოთხე კვარტალისათვის რამოდენიმედ შეცვლილ იქნა ფართლეულობის განაწილების წარმოება: მთელი შემოზიდული ფართლეულობის ნახევარი დანიშნულია სოფლებისათვის.

მიმდინარე კვარტალის დამლევისათვის ამიერკავკასიაში შემოტანილი უნდა იქნეს სულ 150 ვაგონი მანუფაქტურა. აქედან „ზაკსოიუზი“ ღებულობს 75 ვაგონს. გარდა ამისა „ზაკტორგ“-ის მიერ შეძენილია ნიჟეგოროდის ბაზარზე—25 ვაგონი მანუფაქტურა. თბილისს-ბაქო-ერევანს გარდა, 12 ვაგონი მანუფაქტურა დაურიგდება დანარჩენ ქალაქების მუშათა კოოპერატივებს.

ფილოქსერის შესწავლა

17 ივლისიდან 1 ოქტომბრამდე სახალხო მამულის „წინანდალი“-ს თელიანის უბანში აგრონომი ალექსიძე, პროფ. მარდვილკოს ხელმძღვანელობით აწარმოებდა ფილოქსერის ბიოლოგიურ შესწავლას. პროფ. მორდვილკომ მოახდინა და შეისწავლა ფილოქსერის გაჩენის და მის გავრცელების მიზეზები, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მთელ ამიერ - კავკასიისათვის ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. აგრონომი ალექსიძე და პროფ. მორდვილკო უკვე დაბრუნდნენ თბილისში და შეუდგნენ დაგროვილ მასალების დამუშავებას, რის შემდეგ ცალკე შრომათ გამოქვეყნებული იქნება გამოკვლევის შედეგები.

აგრო-დახმარება

საშემოდგომო მუშაობის დამთავრებასთან ერთად თავის მუშაობას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაამთავრებენ აგრონომიული დახმარების ორგანოებიც. ეხლა უკვე შესაძლებელია ჯამი გაუკეთდეს ზემოხსენებულ ორგანოების საქმიანობას მთელი წლის განმავლობაში. მაგ. თელავის მაზრაში ადგილობრივი აგრონომები მუშაობას ორი მიმართულებით აწარმოებდენ: გლეხებისათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღების მიწოდება და აგრონომიული ცოდნის გავრცელება. მეორე ხასიათის მუშაობა სწარმოებდა განსაკუთრებით საგაზაფხულო მუშაობის დაწყებამდე. მთელ ამ ხნის განმავლობაში ლექციები და საუბრები ჩატარებული იყო 37 სოფელში. ამავე დროს 8 სოფელში მოეწყო მოკლე ვადიანი კურსები მევენახეობა-მეღვინეობასა, მეფუტკრეობასა და მერძეობაში. კურსები გაიარა 400-დე გლეხმა.

9 სოფელში მოეწყო პურის, ქერის სიმინდის და საკვები ბალახის საჩვენებელი თესვა. გასაქირავებელი პუნქტების მანქანებით მიმდინარე წელს დაიხნა 100 დესეტინაზე მეტი მიწა 22 სოფელში და გაწმენდილ იქნა 10 ათას ფუთზე მეტი სათესლე მასალა, პრემიალური ფონდიდან სანიმუშო მეურნეობათ დაურიგდა 37 სასოფლო-სამეურნეო მანქანა. აგრონომები ხელმძღვანელობდენ სათბურებზე და სანერგეებში წარმოებულ მუშაობას. მიმდინარე წელს თელავის მაზრაში დამყნილ იქნა სულ 3.178.200 ცალი ვაზი. აქედან გლეხობას დაურიგდა — 1.550.000 ცალი. დანარჩენი მოხმარდა ტრესტის სახალხო მამულებს.

ფასების დაკლება

სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ სამრეწველო - საგეგმო განყოფილებას დაავალა შეადგინოს 1927—28 საანგარიშო წელში ფასების დაკლების პროექტი სხვადასხვა ტრესტების მიერ დამზადებულ მასალებზე და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს. სამრეწველო - საგეგმო განყოფილებას დაევალა ფასების დაკლების საკითხის დასამუშავებლად მოიწვიოს სახ. მეურ. საბჭოს ყველა ტრესტების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც ტრესტების მიერ დამზადებულ პროდუქტებზე ფასების დაკლების საკითხის გარდა, განხილული იქნება ნედლი მასალის თვითღირებულების გაიაფების საკითხიც.

მე-3 საგლეხო სესხი

კუპონებს ღებულობენ

საქართველოს სამეურნეო ბანკმა გასცა განკარგულება საკრედიტო ამხანაგობების სახელზე, რომ თუ გლეხები მე-3 საგლეხო სესხის ობლიგაციების შეძენის დროს ფულის ნაცვლად წარმოადგენენ სხვადასხვა სესხების კუპონებს, ასეთები მიიღონ ფულის ანგარიშში და გადმოგზავნონ სასოფლო სამეურნეო ბანკში.

ქუთაისი დამატებით თხოულობს ობლიგაციებს

ქუთაისის სას.-სამ. ბანკის განყოფილება იტყობინება, რომ მაზე გადაცემული მე-3 საგლეხო სესხის ობლიგაციები უკვე გასაღებულია და მოითხოვს დაჩქარებით გადმოიგზავნოს დამატებით ობლიგაციები არა ნაკლებ 1.000 მანეთისა.

ღვინის მოსავალი

მიწადმოქმ. სახ. კომისარიატის ცნობით, წელს საქართველოში ღვინის მოსავლის მდგომარეობა ასეთია:

კახეთში

პირველ ხანებში ცხელი ამინდებისა და შემდეგ ხშირი წვიმების გამო კახეთში ვენახები საგრძნობლად დაზიანდა, რის გამო ღვინის მოსავალი შარშანდელთან შედარებით ნაკლები იქნება. მოსავლის მოწევა პირველად დაიწყო 19 სექტემბერს მუკუზანში, შემდეგ ნაფარეულში, წინანდალში და კარდანახში. ამჟამად ფუთი ყურძენი ფასობს 3 მ. 50 კაპიკიდან 4 მ. 25 კაპიკამდე. ყურძენზე ასეთი მაღალი ფასები გამოწვეულია, როგორც აღვნიშნეთ, ვენახების ნაწილობრივ სიცხეებისა და ნაწილობრივ სეტყვისაგან დაზარალებით. მარტო თელავის მაზრაში სეტყვამ დააზარალა 1600 დესეტინა ვენახი. ღვინო ღირსებით კარგი დგება.

ქართლში, გარე - კახეთში

ქართლის, ბორჩალოს და გარე - კახეთის მაზრებში ყვავილობის დროს ხშირი წვიმების გამო ვენახები საგრძნობლად დაზიანდენ. გარე-კახეთში ყურძნის კრეფა ჯერ არ დაუწყიათ. ბორჩალოს რაიონში გიაურ - არხის სახალხო მამულში მოსავალი კარგია. ცნობილი ჯიშის ყურძენი „მუსკატ - ალექსანდრ“ ფუთი იყიდება 6 მ. სეტყვისაგან ბორჩალოს მაზრაში დაზარალდა 578 დესეტინა.

შულავერის რაიონში

შულავერის რაიონში ყურძნის კრეფა სულ რამდენიმე დღეა, რაც დაიწყო. ფუთ ყურძენზე ფასი აღწევს 4 მან.

ასურეთის რაიონში

ყურძნის მოსავალი ასურეთის რაიონში საშუალოა. ყურძენი ფუთი იყიდება 4—5 მანეთად. ფუთი მაჭარი ღირს 5—6 მანეთი.

სპორტი

ა.-კ. ფიზკულტურის დღესასწაული

საქართველოს და სომხეთის ფიზკულტურელების გამგზავრება ბაქოში

გუშინ, საღამოს 7 საათზე და 20 წუთზე, ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის პირველ დღესასწაულზე ბაქოში გაემგზავრნენ საქართველოს ფიზკულტურელები, 200 კაცამდე.

საქართველოს ფიზკულტურელებთან ერთად გაემგზავრნენ სომხეთის ფიზკულტურელებიც—160 კაცი, რომლებიც თბილისში ჩამოვიდნენ გუშინ დილით და შეუერთდნენ ჩვენს ფიზკულტურელებს.

საქართველოს ფიზკულტურელებს ხელმძღვანელ პირებად გაჰყვნენ: მერკვილაძე, ეგნატაშვილი, კვინიხიძე, ჯავრიშვილი და სხვა.

ბაქოში გამგზავრების წინ საქ. პროფკავშირთა საბჭოს ფიზკულტურის ბიუროს გამგემ გ. მერკვილაძემ განაცხადა:

ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის დღესასწაულზე საქართველოდან მიემგზავრება 189 ფიზკულტურელი. აქედან 15 კაცი შეადგენს ბათომის და ჭიათურის სამთო-მადნო მუშაკების გაერთიანებულ გუნდს. საქართველოდან მიმავალ ფიზკულტურელებთან 30 პროცენტი ქალებია.

მთელი დღესასწაული ჩატარებულ იქნება გუნდთა შორის შეჯიბრებებში.

ჩვენი ფიზკულტურელების შესახებ ჯერ-ჯერობით ლაპარაკი ძნელია. უნდა აღინიშნოს, რომ ზაფხულის შემდეგ ჩვენი გუნდები დასუსტდენ. წვრთნა, დღესასწაულის წინ. სწარმოებს უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში, რაც ცხადია საკმაო არ არის. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზოგიერთი სახის სპორტებში პირველობას ავიღებთ.

ბაქოში მისვლისას. დღესასწაულის წინ. ერთი დღე ჩვენს განკარგულებაში იქნება და ფიზკულტურელები წაივარჯიშებენ. ვიცხოვრებთ ბანაკათ, კარვებში.

დასასრულ გ. მერკვილაძე შეეხო თვით დღესასწაულს და განაცხადა: „ცხადია, ჩვენ არ მივდივართ იმისათვის, რომ ვინმე „დავამარცხოთ“ ან ჩვენ „დაგვამარცხონ“. მთავარი მნიშვნელობა დღესასწაულისა გამოიხატება იმაში, რომ მან უნდა შეაკავშიროს ერთმანეთთან ამიერკავკ. სხვადასხვა რესპუბლ. ფიზკულტურელები აქამდე არ არსებობდა ისეთი მჭიდრო კავშირი რომელიც საჭიროა ამიერ-კავკასიის ფიზკულტურელებისათვის.

მეცნიერება და ტექნიკა

ვარსკვლავების ტემპერატურა

ამერიკელი მეცნიერი აბბოტი, ვილსონის ობსერვატორიაში (კალიფორნიაში) ახდენს დაკვირვებებს ვარსკვლავების ტემპერატურაზე. ისარგებლა რა მეტად მგრძნობიარე რადიოთერმომეტრით, აბბოტმა რიგელის ვარსკვლავის ზედაპირის ტემპერატურა განსაზღვრა 16.000 გრადუსით (ცელსიუსით), ვარსკვლავ ბატელჰეიზესი კი — 260.000 გრადუსით. პროფ. ედინგტონი ფიქრობს, რომ ტემპერატურა ამ ვარსკვლავების შიგნით უდრის 40 მილიონ გრადუსამდე, ცელსიუსით.

აბრეშუმი სიმინდის ღეროებიდან

ამჟამად ამერიკელი ექსპერტები იკვლევენ აღმოჩენას უნგრელ მეცნიერ დ-რ ბელა დორნერისას, რომელმაც შეიმუშავა სიმინდის ღეროებიდან სხვადასხვა პროდუქტების დამზადების წესი. სიმინდის ღეროებიდან, თურმე, შესაძლებელია დამზადდეს: ხელოვნური აბრეშუმი, ქაღალდი და ზოგიერთი პროდუქტები, რომლებიც საჭიროა საავტომობილო მრეწველობაში. პირველი შესამოწმებელი ცდები, რომლებიც მოახდინეს ამერიკელმა ქიმიკოსებმა, ამოწმებენ ბელა დორნერის დასკვნებს.

საჰაერო მატარებლები

გერმანიაში მოახდინეს შემდეგი ცდა: ჰაეროპლანებზე მიაბეს პლანერი (უმოტორო ჰაეროპლანი), რომელიც ჰაეროპლანმა წაიყვანა კასელიდან ფრანკფურტამდე — მაინზე, ორასი კილომეტრის მანძილზე. ფრენის დროს პლანერი ჰაეროპლანზე მიბმული იყო 30 მეტრის სიგრძე ბაწრით და ჰაერში უფრო მაღლა იყო, ვიდრე ჰაეროპლანი, ცდა წარმატებით დასრულდა. განზრახულია გაიმეორონ ცდები, და თუ მოსახერხებელად სცნეს, მოაწყონ მთელი „საჰაერო მატარებლები“. ჰაეროპლანზე მიაბამ ექვსამდე პლანერი. თითეული პლანერი დაიტევს 6—8 კაცს.

„საჰაერო მატარებლები“, ეჭვს გარეშეა, გააადვილებენ ჰაერით მგზავრების გადაყვანას.

სეისმოგრაფი სამთო მრეწველობაში

ნავთიან ადგილების გამოსაკვლევად შეერთებულ შტატებში ფართოდ სარგებლობენ სეისმოგრაფით (მოწყობილობით, რომელიც აღნიშნავს ნიადაგის რყევას მიწისძვრების დროს). გამოკვლევის მეთოდი ასეთია განსაზღვრულ მანძილზე სეისმოგრაფიდან, რამდენიმე პუნქტში ახდენენ აფეთქებას. ნიადაგის რყევა აფეთქების გამო უფრო სწრაფად ვრცელდება ნავთიან რაიონებში, ვიდრე სხვა ადგილებში სხვადასხვა მიმართულებიდან სეისმოგრაფებამდე ნიადაგის რყევის ტალღის მისვლის დროის რეგისტრაციის საშუალებით სპეციალისტები ადგენენ ნავთიან ადგილების რუკას.

ნარევი

წიგნების დანომვრის შესახებ

ინგლისში აღძრეს საკითხი წიგნების დანომვრის სასურველობის შესახებ არა დასაწყისიდან, არამედ ბოლოდან. ამ წინადადების დამცველები აცხადებენ, რომ მკითხველისათვის ის კი არ არის საინტერესო, თუ რამდენი გვერდი წაიკითხა, არამედ ის, თუ რამდენი დარჩა წასაკითხავი. ამის გასაგებათ, მკითხველს სჭირდება გამოანგარიშება, რაც ზედმეტი შეიქნება, როცა წიგნი ბოლოდან იქნება დანომრილი.

გამოცდა ზრდილობაში კონდუქტორებისათვის

გლაზგოში და ლონდონში (ინგლისში) ტრამვაისა და ავტობუსის კონდუქტორებისათვის შემოღებულია გამოცდა ზრდილობაში და თავაზიანობაში. კონდუქტორებმა გამოცდის დროს უნდა უჩვენონ, თუ როგორ მოიქცევიან, როცა მგზავრს არ აღმოაჩნდება ფული, როცა მგზავრები ერთმანეთს ეჩხუბებიან ან როცა ვაგონში ნაპოვნ ნივთზე რამდენიმე მგზავრი აცხადებს პრეტენზიას. კონდუქტორმა უნდა იცოდეს აგრეთვე სათანადო კილოთი ლაპარაკი მოსახლეობის ხვადასხვა კლასების წარმომადგენლებთან (ე. ი. იცოდეს თავმდაბალი ამაყ ლორდთან და მედიდური ღარიბებთან).

მსოფლიო კინო-სტატისტიკა

კინემატოგრაფი ევროპაში გამოიგონეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან ყველაზე უფრო მეტი გავრცელება და განვითარება ჰპოვა ამერიკაში.

უკანასკნელი სტატისტიკური ცნობებით, (ჩრდილოეთი და სამხრ.) 25.000 კინო-თეატრი 20.000.000 ადგილით. მაყურებელთა რაოდენობა უდრის 1.750.000.000. ამ რიგათ თითეულ 1000 მაყურებელზე მოდის 10½ ადგილი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს საშუალო ციფრი ძლიერ მერყეობს ცალკე ქვეყნების მიხედვით. ასე მაგალითად, ამერიკაში 1000 მაყურებელზე მოდის 53 ადგილი, ავსტრალიაში —44, ევროპაში—20, აფრიკაში—1½, აზიაში —3/5, ცალკე მხარეების მიხედვით კინო-თეატრების რიცხვი ასე ნაწილდება: ევროპაში 22.000 კინო-თეატრი 9.000.000 ადგილით, ამერიკაში (ჩრდილოეთი და სამხრ.) 25.000 კინო - თეატრი 11.000.000 ადგილით, ავსტრალიაში—1.200 კ. თ. 350.000 ადგილით, აფრიკაში—800 კ. თ. 200.000 ადგილით, აზიაში—3.000 კ. თ. 600.000 ადგილით. ყველა ამ კინო-თეატრების ღირებულება უდრის 2.759.000 დოლლარს.

ჩრდილოეთ-ამერიკის თეატრების მთელი შემოსავალი (ბილეთების ფასიდან) წლის განმავლობაში უდრის მილიარდ დოლლარს.

მოყვანილი ციფრები მჭერმეტყველურად მოწმობენ კინემატოგრაფიის უდიდეს გავრცელებას შეერთებულ შტატებში, სადაც იგი 2½ ჯერ უფრო მეტადაა განვითარებული, ვიდრე ევროპაში.

მთავრობის დადგენილებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

ისეთ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის შენობათა და ნაგებობათა ძეგლთა და პლასტიური ხელოვნების ყოველგვარ მხატვრულ ნაწარმოებთა შესახებ, რომელთა პროექტების შედგენისათვისაც საჭიროა კონკურსის გამოცხადება.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების დაგეგმვისა და გადაგეგმვისა, ასეგი შენობებისა და ნაგებობებისა, ძეგლებისა და პლასტიური ხელოვნების ყოველგვარი მხატვრული ნაწარმოების პროექტების შედგენისათვის, კონკურსის გამოცხადების წესების დამტკიცების შესახებ“ 1927 წ. იანვრის 31-ს თარიღით და 15 №-რით გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლის შენიშვნის თანახმად — საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული სია ისეთ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის შენობათა და ნაგებობათა, რომელთა პროექტების შედგენისათვისაც საჭიროა კონკურსის გამოცხადება.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. პ. ჯუღელი.**

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. ალმასხ. **ს. სტეფანოვი.**

1927 წ. ოქტომბრის 3.
თბილისი—სასახლე.

ს ი ა

ისეთ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის შენობათა და ნაგებობათა, ძეგლთა და პლასტიური ხელოვნების ყოველგვარ მხატვრულ ნაწარმოებთა, რომელთა პროექტის შედგენისათვისაც საჭიროა კონკურსის გამოცხადება.

1) სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაწესებულების შენობა;
2) ბანკი, თეატრი, სახალხო სახლი, ცირკი, და კინო;
3) საავადმყოფო და სანატორიუმი;
4) შვიდწლედი და ცხრაწლედი სკოლა, ტექნიკუმი და უმაღლესი სასწავლებელი, მუზეუმი და ბიბლიოთეკა (რაც ნავარაუდევია 200.000 ტომზე მეტი რაოდენობისათვის);
5) სასტუმრო, რომელშიაც 30 ნომერზე მეტი იქნება ქალაქად და კურორტებზე, საერთო სარგებლობის აბანო;
6) სასაკლაო;
7) სახელმწიფო დაწესებულების თანამშრომელთა საცხოვრებელი სახლი, სასპორტო და საგანმანათლებლო დაწესებულება;
8) საქარხნო - საფაბრიკო და ელექტროსადგურის შენობა;
9) სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ძეგლი;
10) ქვისა, ბეტონისა და რკინის ხიდი, ვიადუკი და აკვედუკი სიგრძით 10 მეტრი და მეტიც — ქალაქად და კურორტებზე.

დადგენილება № 35—111

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

1927 წლის სექტემბრის 5

ლენინგრადის სამანქანო ტრესტის ქარხანა „კრასნი პუტილოვეც“-ის წარმოების ტრაქტორ „ფ. პ“-ს სამარაგო ნაწილებისა და ყველა სისტემის საიმპორტო სამარაგო ნაწილებზე საზღვრითი ფასების დაწესების შესახებ

თანახმად ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის ა.-წ. აგვისტოს 26-ს დადგენილებისა, № 16.—ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

§ 1.

დაწესებულ იქნეს ლენინგრადის სამანქანო ტრესტის ქარხანა „კრასნი პუტილოვეც“-ის წარმოების ტრაქტორების „ფ. პ“ სამარაგო ნაწილებზე შემდეგი საცალო ფასები მომხმარებელთათვის საქართველოს ტერიტორიის ყოველ ადგილზე — ფრახტისა და ორგანიზაციისა ზედნადები და საორგანიზაციო ხარჯებისა, მოგებისა და სხვ. ჩათვლით, — ზედნადები ხარჯების მთელი ჯამისა და სამარაგო ნაწილების ღირებულების უცხოეთის ვალიუტაზე გადაყვანით — 2 მან. 50 კაპ. 1 (ერთი) დოლლარში ფორდის კატალოგის მიხედვით.

§ 2.

ამა დადგენილების § 1 გავრცელებულ იქნეს ყველა სისტემის საიმპორტო სატრაქტორო სამარაგო ნაწილებზე.

§ 3.

ა.-კ. სას. სამეურნ. იარაღებით ვაჭრობის ამხანაგობის („ზაკსელმაშ“) ანგარიშების გასწორების პირობები მოვაჭრე ორგანიზაციებთან ტრაქტორებისა და ყველა ტიპის გუთნების საიმპორტო სამარაგო ნაწილებისათვის, მოწესრიგდება სათანადო ხელშეკრულებების გათვლის შენებული წესით, მაგრამ იმ პირობით კი, რომ საბითუმო საგასაცემო ფასები არ აღემატებოდეს 2 მანეთს 1 დოლარისათვის ფირმის კატალოგის მიხედვით — ფრანკო - ბათომის ნავთსადგური.

§ 4.

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში, რომელნიც შედიან საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკაში და ყველა ადგილობრივი აღმასკომის შინავაჭრობის კომისიას ევალება ფხიზლად ადევნონ თვალყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

§ 5.

ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

§ 6.

დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში **ათაბეკოვი.**

შ.-ვ. მომწესრიგებელ განყოფილების უფროსი **ლორთქიფანიძე.**

საქმეთა მმართველი **მგალობლიშვილი.**

იურიდიული რჩევა-დახმარება

კითხვა

მე მსურს შევიდე სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაგრამ მეტრიკით დაბადებული ვარ 1912 წელში. უნივერსიტეტში არ ღებულობენ 17 წლამდე. მე კი ნამდვილად დაბადებული ვარ 1910 წელში. რაც მოწმეების საშუალებით შემიძლია დავამტკიცო, როგორ მოვიქცე.

პასუხი

საქართველოს რევკომის დეკრეტი № 28 თანახმად, თქვენ უნდა მიმართოთ სათანადო განცხადებით სასამართლოს, სადაც მოწმეების საშუალებით უნდა დაამტკიცოთ თქვენი ნამდვილი დაბადების დრო (წელი, თვე და რიცხვი).

რწმუნებულების შემოწმების შესახებ

კავშირის წევრს პარმენ—სირბილაძეს

პასუხი

რწმუნებულება საერთო წესით ბათილობის რიდით უნდა იქნეს შემოწმებული სანოტარო წესით, მაგრამ თანახმად საპროცესო კოდექსის მუხ. 19-ისა, სანოტარო წესით შემოწმების ნაცვლად რწმუნებულობა შეიძლება შეამოწმებინოს, ა) მუშა-მოსამსახურეთათვის დაწესებულებ. საწარმოს, ბ) წითელ არმიელმა თავის სამხედრო ერთეულს და გ) მშრომელ გლეხობამ ადგილობრივ აღმასკომს.

ასეთი რწმუნებულების წარდგენა სრულიად საკმარისია სასამართლოსათვის, რომ მისი წარმდგენი ცნობილ იქნეს უფლებამოსილად საქმის წარმოებისათვის.

მოქ. ლადო და სიმონ ცინცაძეებს

პასუხი

მიმართეთ სათანადო განცხადებით ადგილობრივ შრომის სასამართლოს და თუ ასეთი თქვენ რაიონში არ არსებობს, მიმართეთ ადგილობრივ სახალხო სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებას.

საგზაო ბეგარის შესახებ

ხარაგოულის თემის (შორაპნის მაზრა) მცხ. ნოე ასათიანს

კითხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ გვეკითხებით, შრომის საგზაო ბეგარას იხდიან თუ არა მუშა-მოსამსახურეები, რომელნიც სოფლად ცხოვრობენ, აქვთ თავიანთი მეურნეობა და ეწევიან მეურნეობას დაქირავებული შრომით.

გიპასუხებთ:

თანახმად შრომის საგზაო ბეგარის შესახებ არსებული დებულების მუხლი ოთხისა (გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკაში“ ა. წ. 24 სექტემბრიდან № 1584-ით), ყველა ის პირნი, რომელნიც იმყოფებიან სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულება-წამოწყებებში მუდმივ სამსახურზე, არ გაიწვევიან შრომის საგზაო ბეგარის მოსახდელად. (ე. ი. აღნიშნული პირები სრულიად თავისუფალი არიან ასეთისაგან, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ მეურნეობა სოფლად).

მოქ. პეტრე სიგუას

კითხვა

თქვენ გვეკითხებით, ვალდებული ხართ თუ არა მოიხადოთ შრომის საგზაო ბეგარა, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ხართ უკვე მოხუცი, თითქმის შრომის უნარი დაკარგული.

გიპასუხებთ

თანახმად შრომის ბეგარის შესახებ არსებულ დებულების მუხ. ოთხის აბზაცი „ა“-ის, ყველა ის პირნი, რომლებმაც დაჰკარგეს შრომის უნარი სამუდამოთ ან და დროებით ავადმყოფობისა ან და დასახიჩრებისა გამო და ყველა ის პირნი, რომელთაც უკვე შეუსრულდათ 50 წელი დაბადებიდან, სრულიად თავისუფალი არიან შრომის საგზაო ბეგარის ნატურით (ე. ი. საკუთარი შრომით) ან ფულის სახით მოხდისაგან (იხ. იქავე მუხ. 8 და 5).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის **არსენალის რაიკომი** იუწყება, რომ დღეს, 5 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრ. კლუბის შენობაში **მოწვეულია რაიკომის გაფართოებული პლენუმი.**

არსენალის რაიკომის ყველა წევრთა და კანდიდატთა დაუგვიანებლად დასწრება სავალდებულოა.

— **საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი** იუწყება, რომ ხუთშაბათს, 6 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, სახ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის პოლიტგანათლების კაბინეტში რუსთაველის პროსპ. № 21, შესავალი ეზოდან, (მესამე სართული), მოწვეულია **საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის მე-14 მოწვევის მეექვსე დახურული პლენუმი.**

პლენუმის ყველა წევრ - კანდიდატები ვალდებული არიან დაუგვიანებლად გამოცხადდნენ.

— 5 ოქტომბერს, დღის 2 საათზე, **მოწვეულია ამხ. კახიანის სახელობის მუშფაკის ახ. ლ. კ. კ. ბიურო - კოლექტივის და უჯრედის ბიუროების გაერთიანებული სხდომა.** აგრეთვე მოწვეულია სახ. ახ. ლ. კ. კ. ყველა ის წევრ-კანდიდატები, რომლებიც ირიცხებოდნენ მუშფაკის უჯრედში საზაფხულო არდადეგების დროს.

ოთხშაბათს, 5 ოქტომბერს, საღამოს ექვს საათზე, პროფსაბჭოს მცირე დარბაზში **გაიხსნება სოფლის უჯრედების მდივნების თათბირი.**

ოთხშაბათს, ხუთ ოქტომბერს, დილის ათ საათზე, ცეკას ბეჭდვითი განყოფილებაში შესდგება კოლეგიის მორიგი სხდომა.

დღის წესრიგი: 1. სახელგამის გამომკვლევ კომისიის მოხსენება. (ამხ. **კვარაცხელია და დგვაზავა**). 2) მოხსენება გაზ. „მუშის“ რედაქციის მუშაობის შესახებ, მუშკორსა და გლეხკორების შორის. (ამხ. **პ. საყვარელიძე**). 3. მიმდინარე საკითხები.

კრებას აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები:

თოდრია, ასრიბეკოვი. კანდელაკი, კვარაცხელია, ბიბინეიშვილი, თათარიშვილი, მიქაძე, კიკნაძე ნ., საყვარელიძე; ს. ქურიძე; ცქვიტინაძე; ცხაკაია, ვოლსკი და არაბიძე.

ლენრაიონის მ. გ. ქალთა შორის მომუშავე განყოფილება ამით აცნობებს, რომ ორშაბათს 5 ოქტომბერს ა. წ. საღამოს ექვს საათზე მეექვსე უბნის სახლ. დარგის კლუბში მოწვეულია დელეგატ-ქალების ახალ მოწვევის სხდომა.

— ყველა ის ამხანაგები, რომლებიც 22 ივლისიდან — 26 სექტემბრამდე გატარდენ საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის მიმღებ კომისიაში და დღემდე არ გამოცხადებულან თბილისის კომიტეტში, ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ თბ. კომ. სააღრიცხვო სტატისტიკურ განყოფილებაში ამხ. ანტონოვთან.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ რაიკომის მიმღებ კომისიაში 5 ოქტომბერს, საღამოს 6 საათისათვის:

მე-24 უჯრედიდან: ივანე გევორკოვი, უსოვი,

მე-53 უჯრედიდან: სარქის ამბარცუმიანი, აზათ მატინიანი, ალექსანდრე მკირტიჩიანი.

მე-19 უჯრედიდან: გიორგი ცაბაძე, აკში გრუშენკო, გიორგი ჯიბლაძე.

მე-18 უჯრედიდან: ვალიკო ობოლაძე, ამირან ნაჭყებია, ალექსანდრე დელაფერი, ვ. დავითიანი.

მე-48 უჯრედიდან: დიმიტრი ლეჟავა, ბესარიონ ხელაშვილი, გერასიმე ყუბლაშვილი, ქსენია პატარაია, გოგონა დეკანოზიშვილი. გაბრიელ შოთაშვილი, ნიკოლოზ კვინტრაძე, კონდრატ ბიბლაშვილი.

მე-3 უჯრედიდან: სევერიანე ჭკუსელი, კონსტანტინე ლეონტიევი, შალვა დიღმელაშვილი, გიორგი იაშვილი, გიორგი სარქისოვი (მეათე უჯრედიდან), გრიგოლ ბიბილუროვი (პირველი უჯრედიდან).

მე-26 უჯრედიდან: იაკობ დუბოვიცკი, გორდეი ცურუკო, ივანე მინია, ივანე ბარონოვი, გრიგოლ სალაუტინი, პეტრე კრასნოშჩეკოვი, თედორე რიბაკოვი. პავლე ბლაკიროვი (მე-15 უჯრედიდან, ანა ზიკოვა (მე-21 უჯრ.), პარმენ აფხაძე, მე-67 უჯრედიდან).

მე-29 უჯრედიდან: დომენტი სვანიძე, დიმიტრი ქურტანიძე, მელიტონ ჯაყელი, კონსტ. ჯიბისაშვილი, სევერიანე ლომია, იასონ თათარიშვილი, დავით ციკორიძე, პიმენ ლომინაძე; გიორგი ქურიძე; მიხეილ კოჩაიშვილი, რაჟდენ მურცხვალაძე, ვლადიმერ მხეიძე.

მე-22 უჯრედიდან: იგნატი პოლკანოვი, ისაი ზაიცევი, პონტელ. სკორინი. კარაპეტ მოსიკოვი, რუბენ სუკიასიანი. გურგენ ოვანოვი; ათან. იგნატიევი და ალექსანდრე აივაზოვი (მე-20 უჯრედიდან) დიმიტრი დავიდოვი (მე-9 უჯრედიდან) იაკობ ერივანცევი (მე52 უჯრ.) ზინო ბოსტანიშვილი. (მე-37 უჯრედ.) სპირიდონ ასატუროვი (მე-60 უჯრედ.) სისო ფანცხავა და შალვა ცქვიტინაძე (მე-23 უჯრედ. გიორგი მასილაშვილი.

გულდათუთქული მეუღლე ბარბალე გლახუნის ასული, შვილები ნიკოლოზი, ოლღა, ნადია, ლიუბა, გუგა და დათიკო, რძალი მილიცა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებსა და ნაცნობებს, რომ ა. წ. 3 ოქტომბერს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

ეფრემი გრიგოლის-ძე ბრეგვაძე

პანაშვიდი ოთხშაბათს, 5 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, პრიუტის ქუჩა № 25. 27

ღრმად დამ უხრებული შვილები ნესტორ ანტონის-ძე ფურცელაძე და ივლიტა ანტონის ასული ქარცივაძისა, სიძე ილია გიტოს-ძე ქარცივაძე, შვილიშვილები: დავით, შალვა, ჯანსუღ, გიორგი, ანტონ, ბიძინა, თეიმურაზ და ამირანი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 4 ოქტომბერს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

მარიამ მოსეს ასული ფურცელაძისა

პანაშვიდი 5 ოქტომბერს, ნაშუადღევის 5 საათზე. დაკრძალვა მოხდება ვერის ახალ სასაფლაოზე, ხუთშაბათს, 6 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4½ საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან—მატინოვის ქუჩა № 21. 42

აპოლლო
არფასტო სოლეი
დარბაზი
0—2 ნ. 1388

დღეს და ყოველდღე
ამოკ
დადგმა ქ. მარჯანიშვილის
ოპერატორი ხ. ზაგოჯლაევი
მთავარ როლებში: ნატა ვაჩნაძე, ალ. იმედაშვილი
სიმებიანი ორკესტრი.
პირველად თბილისში სეზონის საუკეთესო სურათი
„ა ნ ი ა“
დადგმა თ. პრეობრაჟენსკის

„კომუნისტი“
გაზეთზე ხელის მოწერა
— და —
განცხადებების მიღება
სწარმოებს
მთავარ კანტორაში
რუსთაველის პრ. № 34
ტელეფონი 8—81.

ქ. ქუთაისსა
და მის რაიონში
„გაზ. კომუნისტ“-ზე
ხელის მოწერა და ყოველგვარ განცხადებათა მიღებას
აწარმოებს მხოლოდ
კონტრაგენტი
მინა წყაბლაძე
„კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა
3—1

ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ მისს ფართლის ხავაჭროს, ა/წ. 1-ლ აგვისტოდან

ლიკვიდაცია ეყო.

ნ. 17 ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტი

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოგორიშვილი

ამით აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში განათლების ქუჩაზე სახლი № 2, დანიშნულია 14 ოქტომბერს 1927 წ. დილის 10 საათზე **საჯარო ვაჭრობა** ერმილე ქიშმარეიშვილის ქონების: სარკის, საკერავი მანქანის, მაგიდების სკამების, პირისაბანის სხვების, შეფასებულს 81 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან ნინა კახიძის ძიების დასაკმაყოფილებლად. ნ. 16

ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს რომ 17 ოქტომბერს 1927 წელს, დილის 10 საათზე ადგილობ. ქ. ქუთაისში ივანოვ-მარდალეიშვილის ქუჩაზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** გაიყიდება ელენე მელიტონის ასულის ღულაძის და იულია ვარლამის ასულის ლორთქიფანიძის ქვიტკირის სახლი, რომელიც შეიცავს ორ ოთახს და ერთ საკუჭაო ოთახს, დახურული კრამიტით, ანდრო ბიბილეიშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად. სახლი შეფასებულია 350 მან. საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობა, აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი 10 პროც. ნ. 16

ექიმი მ ე გ რ ა ბ ი ა ნ ც ი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
ფილტვების, ძლეკის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და სალ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ.. 13—1

ექიმი ქ. ხ. ფონ-ირტელი
საშარდე, სახქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყოფობანი
(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) ს პ ე ც ი ა ლ ი ს ტ ი.
ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს-მდე, საღამოს 5—7 ს-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანის ახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 3645—18—1

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო
ხაწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 1—25

ე ქ ი მ ი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნ ო ე“-ს პირდაპირ 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“ პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი ყოფ.პლეხანოვის შესახვევი) № 8

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული და სიფილისი.
დილ. 9—12, სალ. 6—8. პლეხანოვის პროსპექტი № 7, კ. მარქსის ძეგლთან, შესავალი ამ სახლის კუთხიდან. 25—1

ე ქ ი მ ი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—

მ ე დ ი ც ი ნ ი ს დ ო ქ ტ ო რ ი
ა. ა. მ ო ნ ს ე
განაახლა ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 10—1 საათამდე და სად 6—7 საათამდე
როგორც მოზრდილთა, ისე ბავშვთა შინაგანი ორგანოებისა და ნერვიული სისტემის ავადმყოფობათა მკურნალობა, გიპნოზი.
კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩა № 17, ზემო სართული. 25—

ექიმი ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფობის მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25 | 1

ე ქ ი მ ი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02. 25—1

ე ქ ი მ ი
ბ. ი. მირიანაშვილი
შინაგანი სნეულებანი
მიღება დილის 8—10
ორჯონიკიძის (ყ. ანდრეევის) ქ., № 74

სათვალეების მორგება
უ ფ ა ს ო დ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ელექტრო-სინათლით მკურნალობის კაბინეტი.
ი. გ. კანტოროვიჩი
მიღება 11-დან 3-დე და 6-დან 8-დე კოსმეტიური მასაჟი და პირის სახის მკურნალობა უცხოეთის უახლეს მეთოდებით. 1—25

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და დაიწყო ავადმყ.
მ ი ღ ე ბ ა
შინაგან და ნერვიულ ავადმყ.
ელექტრონით და სინათლით მკურნალობა
ავადმყ. მიღება ახალი მისამართით ლენინის ქუჩა (ოლღას ქ.) № 11 სალ. 7—8 საათ.
ტელ. 4—82 25—1

დაკარგვა კომკავშირის საწევრო წიგნაკი № 2230 ლევან ჯანდიერის სახელზე, ჩ. გ. 31

დაკარგვა განათლების კავშირის იერ გაცემული კავშირის საწევრო წიგნაკი იაკობ ყარყარაშვილის სახელზე, ჩ. გ. უ.

დაკარგვა ქორწინების ამონაწერი მიხეილ ფილიპესძე და თამარ იასონის ასული ჩაჩავას სახელზე, ჩ. გ. 28

დაკარგვა საანგარიშო წიგნაკი № 17 გ. ს. კამოევის სახელზე, ჩ. გ. 30

დაკარგვა ღვინის ჩამოსატანი კუპონის რვეული № 47 და სამხედრო საარიცხვო ბარათი მიხეილ ლუარსაბოვის სახელზე, ჩ. გ. 29

დაკარგვა სალექციო წიგნაკი № 537 აგრონ. ფაკულ. ალექსანდრე შარაშიძის სახელზე, ჩ. გ. 37

დაკარგვა პროფკავშირის წიგნაკი № 711 თამარა ვარდენის ასული წერეთლის სახელზე, ჩ. გ. 36

დაკარგვა კავშირის წიგნაკი № 1191 და პირადობის მოწმობა, გაცემული თბილისის მე-10 უბნის მილიციიდან ისაკი დიმიტრის-ძე შენგელიას სახელზე, ჩ. გ. 34

დაკარგვა პასპორტი № 2005 სევერიანე პაპუკიშვილის სახელზე, ჩ. გ. 40

დაკარგვა პასპორტი შემუელ მოშეს-ძე დედიაშვილის სახელზე, ჩ. გ 39

დაკარგვა აღმშენებელთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 3959, მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 19584, საანგარიშო წიგნაკი № 188 და ავიოქიმის საწევრო წიგნაკი კონსტანტინე ივანეს-ძე ჩანტლაძის სახელზე, ჩ. გ. 38

დაკარგვა სამხედრო საარიცხვო მოწმობა გრიგორი იაგორის-ძე კერესელიძეს სახელზე, ჩ. გ. 33

დაკარგვა ქუთაისის მე-6 შვიდწლედის შრომის სკოლის მოწმობა № 461 და მეტრიკული ამონაწერი № 2024 მარიამ კონსტანტინეს ასული ქუმბურიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 16

დაკარგვა პირადობის მოწმობა № 452 და სამხედრო საარიცხვო ფურცელი ფორმა № 4 § 9 სერგო ფარსადანის-ძე ქელიძეს სახელზე, ჩ. გ. ნ. 16

დაკარგვა საარიცხვო წიგნაკი № 280 ნიკოლოზ ალიმბარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 41

დაკარგულია საწევრო წიგნაკი, გაცემული ამხ-ბა „ნაწყემსი“-ს მიერ და თოფის ტარების მოწმობა ილო სანდროს-ძე ოზბეთელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 38

დაკარგვა მოწმობა შორაპნის მაზრის სოფელ ქვედა საზანოს შრომის სკოლის მე-2 საფეხურის პირველ კონცენტრის „შვიდწლედის“ დამთავრების შესახებ № 20, გაცემული 26 აგვისტოს 1927 წ. და დაბადების მოწმობა № 43, გაცემული 1927 წ. ივლისის 22-ს შორაპნის მაზრის საზანოს თემის აღმა კომიტეტის მაზრიდან ლევან ვასილის-ძე აღავაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 16

ალმასკომის სტამბა. კამოს ქ. [illegible]